ლიბერალი

№ 51 / 8 - 14 ნოემბერი / 2010

პოლიტიკა: ტელე-ჯაშუშები გვ. 31

ხოდორკოვსკი: ძალმომრეობასთან ბრძოლის სიმბოლო გვ. 20

რუსული კინოს ფესტივალი – დავესწროთ, თუ არა? გვ. 08

ამერიკელი ახალგაზრდების საყვარელი „პოლიტიკოსი“ გვ. 37

თეთრი ღამეები – უძილობა, როგორც ავადმყოფობა გვ. 33

რეპორტაჟი გარდაბნის სკოლიდან გვ. 10

ნინია კაკაბაძე: მაშასადამე, მე ვარ საქართველო! გვ. 40

ნიკო ნერგაძე: ჩემი პირველი (ელექტრო) წიგნი გვ. 44

რატი ამაღლობელი: JUST TIKUNEBI გვ. 46

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528

9 771987 752008

საქინეს ოჰი სახე

გვ. 14

მთავარი თემა:
მომხმარებელთა უფლებები
გვ. 23

FM
ცნობი
98.0

ლიბერალი

№ 51 / 8 - 14 ნოემბერი / 2010

ფოტო: ლევან ხარბედილაძე

გარდაბნის მე-6 საჯარო სკოლის პირველკლასელები, ნოემბერი 2010

ნომერში:

02 რედაქტორის სვეტი
04 ლიბერალის ვებგვერდიდან
06 მოკლედ
08 **ორი აზრი**
რუსული კინოს ფესტივალი – დავესწროთ თუ არა?
ნინო ანჯაფარიძე VS თეო ხატიაშვილი
10 **რეპორტაჟი**
მოჩვენებითი ინტეგრაცია
მსოფლიო
14 საქინე მოჰამადის ორი სახე
ირანი
17 საქინე მოჰამად აშთიანი: 1968 – ?
ირანი და საქართველო
19 თეირანისკენ – სრული სვლით
მიხეილ ხოდორკოვსკის საქმე
20 ძალმომრეობასთან ბრძოლის სიმბოლო
23 **მთავარი თემა**
გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება!
ვირტუალური მაღაზიები
29 საყიდლები.com
პოლიტიკა
31 ტელეჯაშუშები – „ენვერის“ ისტორია

საზოგადოება
33 თეთრი ღამეები
37 **თვალსაზრისი**
ამერიკელი ახალგაზრდების საყვარელი „პოლიტიკოსი“
გიორგი ცხადაია
38 **თვალსაზრისი**
ევროპული არმია
მარკ მალენი
მედიაკრიტიკა
40 მაშასადამე, მე ვარ საქართველო!
კულტურა
42 ასი დღე ომისა და ბავშვობის შემდეგ
44 ჩემი პირველი (ელექტრონული) წიგნი
ნიკო ნერგაძე
46 **თვალსაზრისი**
Just Tikunebi
რატი ამაღლობელი
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
48 ლეგიონია ჩემი სახელი ვინაიდან მრავალნი ვართ

გარეკანზე:

საქინეს ორი სახე
ფოტო: მალ ლანგსდონი, Reuters

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

რედაქტორის სვეტი

ჩემი შვილი 6 წლისაა და საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეა. მის მიერ მოყოლილ ამბებში, ყველაზე ხშირად ციტირებადი სიტყვა „მანდატურია“. მანდატურმა, მანდატურს, მანდატურის... მანდატური ლუკას სასკოლო ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მანდატური ხვდება დილით, სკოლის ზღურბლზე; მანდატური ხვდება დერეფანში შესვენების დროს; მანდატური აცილებს ტუალეტში, თუ მუცელი სტკივა; მანდატური „მიუთითებს“ თუ ბევრს ირბენს ან იმაზე მეტ დროს გაატარებს სკოლის შენობაში გაკვეთილების შემდეგ, ვიდრე ეს „დასაშვებია“; კლასელებთან ურთიერთობაშიც მანდატურია – „სანდროს სათამაშო ჰქონდა ჯიბეში და ჩვენ ვუთხარით, რომ არ შეიძლებოდა, იმიტომ რომ მანდატური გაუბრაზდებოდა“. თუ რამეს დააშავებს, მასწავლებელი მანდატურს მოიხმობს; სათვალთვალო კამერები და მანდატური აკვირდებიან, ვის გამოჰყავს ლუკა სკოლიდან; ლუკა თავის პატარა ძმასაც მანდატურით ემუქრება და ძალიან უკვირს, როცა ლაზარეს ამაზე რეაქცია არა აქვს (ის ხომ ჯერ ბაღის ბავშვია). მოკლედ, მანდატური ლუკას ცნობიერების განუყოფელი ნაწილი გახდა. ის ერთდროულად მის შიშსა და პატივისცემას იწვევს. მისთვის შემეცნების სამყარო მანდატურით დაიწყო. ეს სამყარო შიშნარევია და მკაცრად სტრუქტურიზებული. მას აკვირდებიან, მას უთვალთვალებენ და მას უნდა ეშინოდეს ცუდად მოქცევის. მას უნდა ეშინოდეს!

ამერიკულ სკოლებშიც არიან მანდატურებიო, გვამშვიდებდნენ, ვიდრე მანდატურების პროგრამა დაიწყებოდა. კი, არიან, ოღონდ 4000 მოსწავლიან სკოლებს ორ-ორი მანდატური ჰყავთ, რომელსაც სკოლის შენობაში პრაქტიკულად ვერ ნახავთ. ისინი გარეთ არიან და თუ რამე ხდება, მალევე ჩნდებიან. მასწავლებელსა და მოსწავლის ურთიერთობას მანდატური არ არეგულირებს, ამერიკაში და სხვაგან დირექტორი მართავს სკოლას და არა მანდატური.

ცალკეული დირექტორები აცნობიერებენ, რომ სკოლები სასჯელაღსრულების განყოფილებებს ემსგავსებიან, მაგრამ მხოლოდ ჩუმად გამოთქვამენ აღშფოთებას. საჯარო პროტესტი ან დიალოგის დაწყება სამინისტროსთან – წარმოუდგენლად მიაჩნიათ. მათაც ეშინიათ განათლების სამინისტროსი და ის ფორმალური ავტონომიაც კი, რაც სკოლებს შემორჩათ, კიდევ უფრო ფორმალური ხდება.

ამ დღეებში ასევე გაირკვა, რომ ყველა გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოს თანამესაკუთრე სახელმწიფო, ანუ განათლების სამინისტრო ხდება. სამინისტრომ თავის თავს ამ სახელმძღვანელოების საავტორო უფლებების შესყიდვის უფლება მიანიჭა. „ახალი წესით, თავისუფალი ბაზრის განვითარებას უნდა შევუწყოთ ხელი,“ განაცხადა დიმიტრი შაშკინმა. სახელმწიფო ხდება შუამავალი სახელმძღვანელოების ავტორებსა და გამომცემლობებს შორის და ამით „თავისუფალი კონკურენციის პირობები“ უნდა შექმნას. ჭეშმარიტად ლიბერთარიანული თეზაა, ვერაფერს იტყვი. „60 მილიონ ლარიან ბაზარზეა საუბარიო“ – აგვიხსნა შაშკინმა თავის მოტივაცია ერთ-ერთ ინტერვიუში. მოტივაცია სავსებით გასაგებია, მაგრამ:

ბატონო მინისტრო,

რადგან თქვენი შვილები არ სწავლობენ საჯარო სკოლაში და კერძო სკოლის მოსწავლეები არიან, ალბათ, არ იცით, როგორ აისახება თქვენი გადაწყვეტილებები სხვისი შვილების ცხოვრებაზე. ვიდრე ლუკას, მისი მშობლების, მისი მასწავლებლების და დირექტორის მაგივრად მიიღებდეთ ყველა გადაწყვეტილებას, იქნებ შეგვხდეთ და გვკითხოთ, რა გვინდა და როგორ წარმოგვიდგენია ის სასწავლო გარემო, სადაც თავისუფალი და გონიერი ადამიანები უნდა გაიზარდონ? ჩვენ ხომ, თქვენი თქმის არ იყოს, თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ?

შორენა შავერდაშვილი

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **სოფო ჭაავა** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / ჟურნალისტური გამოძიება **ბესო კურტანიძე** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ახალი ამბები **ნათია ახალაშვილი, ნანა საჯაია** / ვებგვერდის რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი**

ჟურნალისტები: მაია წიკლაური, ნინო გოგუა, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, ანიტა თვაური, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი

კონტრიბუცია: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, ლევან იზორია, ნანა საჯაია, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, მოლი კორსო, ლექსო ჩქარეული, ემილ სულეიმანოვი, ირაკლი კობახიძე, დიანა ჩაჩუა, გიორგი ლომსაძე, ქეთი ქანთარია

რედაქცია: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **პაატა შამუგია** / კორექტორი **თამარ ლონღაძე**

გამოცემლობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**

გამოცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

www.liberali.ge

ISSN 1987-7528

ლიბერალი

იკითხეთ ლიბერალის პორტალზე
www.liberali.ge

 თინი ნოღაიდელი-მიშელის ბლოგი

ქართველები საფრანგეთში

ჟილბერტის ისტორია: საქს-გამბეტაზე (ლიონში საკმაოდ კომერციული უბანია, მაღაზიებით, სილამაზის სალონებითა და რესტორნებით) ჩამოიარეს ქართველმა ბიჭებმა, თუ გინდათ, არავინ შეგეხოთ და შეგაწუხოთ, მოგებიდან წილი გადაგვიხადეთ და ჩვენ დაგიცავთ, თითსაც ვერავინ დაგაკარებთო. ერთ კომერსანტს მოერიდა და არაფერი უთხრა, მეორემაც უარეაქციოდ დატოვა. მესამემ პოლიციაში დაასმინა და ახლა გავიგე, უკვე აუყვანიათ სათითაოდ.



ნინო გელეიშვილის ბლოგი

უცნაური ჰიბრიდი

მგონი, არავის ეპარება ეჭვი, რომ საპარლემენტო ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარის გია თორთლაძის მიერ მომზადებულ „თავისუფლების ქარტიას“ საქართველოს პარლამენტი აუცილებლად მიიღებს – თანაც, ერთხმად.

გიორგი კიკონიშვილის ბლოგი

უხმო MTV – ალტერვიზია 2010

„MTV საუკეთესო არხია მთელს მსოფლიოში, ოღონდ მთავარია ტელევიზორს ხმა გაუთიშოთ და ისე უყუროთ. აბა სხვაგან სად ნახავთ ასეთ ლამაზ სანახაობებს?" – პარადოქსია, მაგრამ ეს ფრაზა 80-იანებში არც მეტი არც ნაკლები ჟურნალ Rolling Stone-სთან ინტერვიუში წარმოთქვა ერთმა კარგმა მუსიკოსმა. რა შუაშია მუსიკა და სანახაობა? ამაზე ცოტა მოგვიანებით. იქამდე კი გეტყვით რა მოხდა.



მულტიმედია

ჭაბუკიანის 100 წლის იუბილე

2010 წლის 27 თებერვალს ქართული პროფესიული ბალეტის ფუძემდებლის, ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა. თარიღი, რომელიც იუნესკომ წლის 63 მნიშვნელოვან მოვლენათა სიაში შეიტანა, მართალია ცოტა დაგვიანებით, მაგრამ გასულ კვირას თბილისშიც აღინიშნა. ოპერაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო სპექტაკლები რუსთაველის თეატრსა და ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა. ბალეტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქორეოგრაფისა და მოცეკვავის იუბილის აღსანიშნავად თბილისში არაერთი ქართველი და უცხოელი ბალეტის ვარსკვლავი ჩამოვიდა.

ნინო ნატროშვილი

ყველაზე სახიფათო დომენები

კომპანია McAfee-მ ინტერნეტსაფრთხეების შესახებ 2010 წლის ანგარიში Mapping the Mal Web გამოაქვეყნა. კომპანიის სპეციალისტებმა ჯამში 27 მილიონზე მეტი საიტი გააანალიზეს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ვებგვერდების 6,2% მომხმარებლებისთვის განსაკუთრებით სახიფათოა. გასულ წელს ეს მაჩვენებელი – 5,8%, 2008 წელს კი 4,1% იყო. .GE დომენი რისკის შემცველი საიტების სიაში მე-19 პოზიციაზეა. ეს პოზიცია მესამე კატეგორიას მიაკუთვნება. McAfee-ს სპეციალისტები მომხმარებლებს ურჩევენ ფრთხილად იყვნენ ამ კატეგორიის დომენების ვებგვერდებზე შესვლისას. კომპანიამ სულ 2311 ქართული საიტი გააანალიზა, მათგან 162 საფრთხის შემცველი აღმოჩნდა.

მულტიმედია

თბილისში ავტობუსის 35 ხაზი გაუქმდა

1 ნოემბრიდან თბილისში ავტობუსის 35 სამარშრუტო ხაზი გაუქმდა, ხოლო 33 ხაზს მიმართულება შეეცვალა. მერიამ ასეთი გადაწყვეტილების მიზეზად აღნიშნულ ხაზებზე მგზავრთა სიმცირე დაასახელა.

ფეისბუქზე გამოქვეყნებული ინფორმაცია საჯაროა თუ პირადი?

რასაც მე დავდებ ჩემს ფეისბუკზე ან ჩემს ბლოგზე, ის საჯაროა. ხოლო თუ სტატიაში ან სადმე გამოიყენებენ, სასურველია ავტორის მითითება ან ორიგინალი ბმულის. სასაცილოა, დღეს მომწონს რომ იყოს საჯარო და ხვალ თუ თანამდებობაზე დამნიშნეს, ეს არავინ არ უნდა გაიგოს. მემგონი, საჯაროობას და გამჭვირვალობას ალტერნატივა არა აქვს, მით უმეტეს, თუ საჯარო პირი ხარ.

მიხეილ კალანდაძე

„მოკლედ, ფეისბუკი, როგორც ასეთი, ტიპური საჯარო სივრცეა, სადაც პრივატულობის კუთხე-კუნჭულების მოწყობაცაა შესაძლებელი.“ მთლად ასეც არ არის, საერთოდ რომ არ გინდოდეს საჯაროობა და სულ არ დარეგისტრირდე ფეისბუქზე, შესაძლოა ვიღაცამ დადოს შენი ფოტო და იძულებით გაგასაჯაროს.

სტუმარი

ფეისბუკი არის საუკეთესო საკომუნიკაციო საშუალება და ამავე დროს საკუთარი პიროვნების გაშიშვლების ადგილი. იქ ვერ დამალავ საკუთარ პიროვნებას. დღეს იქნება თუ ხვალ ნიღაბი ჩამოგეხსნება და გაიყიდები თხასავით.

იქ დარეგისტრირებული ადამიანები ფუტკრებივით ეძებენ ინტერნეტ სივრცეში მათთვის საინტერესო სტატიებს, ვიდეო კლიპებს და კიდევ მრავალ ნუგბარ სასუსნავს. ამის შემდეგ დებენ საკუთარ გვერდზე, რომელიც დამეგობრებული ადამიანების კედლებზე ჩნდება. შენ კი ისღა დაგრჩენია, რომ დაეწაფო შენთვის სასურველ ობიექტს.

გელა–ჯვანია

საბჭოური ტრადიცია: ბრძოლა სიმბოლოებთან

ეს პრობლემა ჩემი აზრით არ არის წმინდა საბჭოური, უბრალოდ საბჭოურმა მენტალიტეტმა ძალიან მკაფიოდ გამოხატა ის ფარისევლური თვისებები, რომელიც თუნდაც სახარებისეულ იუდას გააჩნდა. ქრისტე მაგალითად თავისი ცხოვრების წესით აბსოლუტურად უარყოფდა ფორმალობას, მის მოძღვრებაზე აგებული ეკლესია კი იმდენად აღიჭურვა სიმბოლიზმითა და ფორმის თაყვანისცემით, რომ ძალიან გაუჭირდება იქ შესულ ადამიანს ამდენ ზიზილ-პიპილოებში ქრისტეს სადა მსუბუქი სამყაროს დანახვა. მოკლედ ალბათ ადამიანები ძირითადად ზარმაცები ვართ და არსებითი განსჯა გვეზარება, გვირჩევნია ყოველდღიურობით გავერთოთ, რადგან ზუსტად ვიცით, რომ მიწას მაინც ვერ გავცდებით, ჩვენი ადგილი კი ცაშია:))) ისე, მართლა, ცოტა თუ არ გამოვსწორდით საერთოდ არ მესახება ამ ქვეყნის მომავალი. :(

ბექა



მარკ ცუკერბერგს მოსწონს შენი სტატუსი

მარკ ცუკერბერგს არ მოსწონს ეს ფილმი. ამის თაობაზე რამდენჯერმე განაცხადა. უფრო მეტიც თქვა: „კარგი იქნებოდა ფილმის ავტორებს ჩემთვის მოემართათო, იმას მაინც ავუხსნიდი, რომ ფეისბუქი ქალებთან პრობლემების გამო კი არა, კომუნიკაციის პრობლემის გამო შევქმენიო“.

ქედანა

ალბათ, ყველა, ვისაც ფილმი ასე მოეწონა, facebook-ის აქტიური მომხმარებელი უნდა იყოს. მიუხედავად ფინჩერის დიდი პატივისცემისა The Social network-ი იგივე წარმატებით შეიძლება უკვე ბოლსაც გადაეღო. ალბათ facebook-ის მომხმარებელთა ეიფორიის ბრალია, რომ Panic Room-ის შემდგომ ყველაზე უინტერესო ფილმი ასეთი პოპულარობით სარგებლობს. ისე კი 3D-ში გადაღება როგორ ვერ მოიფიქრეს, 10 ჯერ მაინც გაზრდიდა შემოსავალს. საშუალო დონის მსახიობების, საშუალო დონის შესრულება. მთავარი როლის შემსრულებელი ჯესი აისენბერგი კი იმდენად ერთფეროვანია, რომ რთული გასარჩევია ზომბილენდს, ედვენჩერლენდს თუ მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერის შესახებ ფილმს უყურებ.

ივანე

მღელვარე „დიქსი“, თითქმის, როგორც „სტიქსი“

ფესტივალის აღდგენას თელავის მუსიკალური საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა, მაგრამ მსმენელთა დიდი ნაწილი, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ფესტივალზე ვერ მოხვდა, რადგან ბილეთები ძირითადად თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში გაიყიდა. დარბაზში ხმაური შემთხვევითმა „მსმენელმა“ გამოიწვია, რასაც ბატონ გია ყანჩელის სამართლიანი გულისწყრომა მოჰყვა. ვწუხვარ და ბოდიშს ვიხდი თელაველ მუსიკის მოყვარულთა სახელით, რომელსაც ბედმა გაუღიმა და ამ შესანიშნავ ფესტივალზე მოხვდა.

მანანა

უხმო MTV – ალტერვიზია 2010

გააჩნია, თავად ორგანიზატორებმა რის მიხედვით განსაზღვრეს ჯგუფების ნიუქამერობა: ეს უნდა ყოფილიყო ახლადშექმნილი ბენდი, ბენდის წევრები გამოუცდელები უნდა ყოფილიყვნენ. თუ მხოლოდ პირველი კრიტერიუმის მიხედვით განსაზღვრეს, მაშინ U.R. ნიუქამერია. (თუ არ ვცდები 2010 თუ 2009 წელს შეიქმნა) თუ ორივე კრიტერიუმის მიხედვით, მაშინ – არა. მგონი, მეორე უფრო სწორი განსაზღვრებაა.

DreaMar

სატანა VS ჭინჯა

გიორგი კიკონიშვილის ბლოგი

„ნუ იქნებით უცხოური მოდის ბრმა თაყვანისმცემლები!“ – ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, ილია მეორეს ეკუთვნის. ამის თქმა იყო და მთელ ერს ჯერ ფსიქიკური ერექცია დაემართა, მერე კი ყველა ერთად წამოიშალა ერთი ჩვეულებრივი კოსტუმირებული კარნავალის – ჰელოუინის წინააღმდეგ.

შევადაროთ: ქუჩაში იწვება საბურავები, ფიცრები, ყველანაირი ნაგავი, აგიზგიზდება თუ არა მყრალი ცეცხლი, ალზე რიგრიგობით დახტუნავენ მართლმადიდებელი თუ არამართლმადიდებელი ახალგაზრდები.

ცეცხლზე მოხტუნავე გოგო-ბიჭები სატანებს (ჩვენებურად, ალქაჯებს) განასახიერებენ.

ამ დროს ეკლესია დუმს. რა თქმა უნდა, არც ჭიაკოკონას მონაწილეს მოუვა აზრად, რომ ის სატანაა, სატანისტია და „ქართველობის“ დანგრევა უნდა. ჭიაკოკონობა ხომ ერთი ქუჩის გასართობი სანახაობაა, უბრალოდ არაცივილური ფორმით.

სატანას, ზომბს და სხვადასხვა „ბოროტ“ პერსონაჟს (ჩვენებურად, ალქაჯებს, ჭინკებს) განასახიერებენ ჰელოუინზეც, თანაც, გაცილებით ცივილურად, სანახაობრივად, კოსტუმირებულად და თეატრალურად, მუსიკის ფონზე.

რატომღაც, ცეცხლზე მოხტუნავეთაგან განსხვავებით, საკარნავალო კოსტუმში გამოწყობილი ახალგაზრდა სატანისტი, ღვთისმგმობელი, არაადამიანი და მართლმადიდებლობის მტერია.

საქმე ისაა, რომ ქართული შოვინიზმისა და პატარა ერის შვილობის კომპლექსის დამსახურებით, ბევრ ქართველს თავი ჯერ კიდევ ყველაზე აღმატებული ერის შვილი ჰგონია. მათ სძულთ „ამერიკული“, უცხოური, „ფირმა“ – და ზოგადად, ყველაფერი, რაც კი დასავლური ცივილიზაციის მონაპოვარია.

ამ დროს, როგორია თავად ეს ქართველი?

ის დადის უახლესი თაობის მობილური ტელეფონით, აცვია ჯინსები და კედები. ოთახში აუცილებლად უდგას პიანინო, უნთია ნათურა, აქვს მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა, რბილი იატაკი. კლუბებში და ბარებში ერთობა. აუცილებლად უსმენს ლედი გაგას, ან ბითლზს, ან 2 Pac და 50 Cent-ს. ძალიან უყვარს აიპოდი.

არადა, იცის, რომ ეს ყველაფერი იმ „უცხოური მოდის“, დასავლური ცივილიზაციის დამსახურებაა, რომელზეც პატრიარქი მოგვიწოდებს, არ უნდა აჰყვეთო.

თავის დროზე, ეკლესიის მიერ ლამის ეშმაკის მანქანად შერაცხულ კომპიუტერს დღეს უკვე თვითონ საეკლესიო პირებიც მშვენივრად იყენებენ და ეშმაკის მეორე მანქანად შერაცხული ტელევიზორითაც სიამოვნებით გადასცემენ თავიანთ ქადაგებებს. იმ ეკლესიაში, რომელიც უცხოური მოდის აყოლას „გვიკრძალავს“, უმაღლესი პირები ძალიან კომფორტულადაც დაქრიან „უცხოურ მოდაზე“ აწყობილი 100 000-იანი ჯიპებით და მშვენივრად ლაპარაკობენ „უცხოური“ 2000 ლარიანი აიფონებით.

რას აკეთებს ამ დროს მრევლი? რას აკეთებენ ჩვენი მორალისტი გოგო-ბიჭები? – სხედან „უცხოურ“, ბორბლებიან, კომფორტულ სკამებზე, „უცხოურ“ კომპიუტერებთან და თვალებდაჭყეტილები მასტურბირებენ „უცხოურ“ პორნოებზე. მერე უცებ გაიგებენ, რომ პატრიარქმა ბრძანა „უცხოურ მოდას“ ნუ აჰყვებითო. პორნოს დააპაუზებენ, შემოცვივდებიან „ამერიკულ“ ფეისბუკზე და „ამერიკული“ Fuck You-თი დაგიწყებენ ლანძღვას მხოლოდ იმიტომ, რომ შენ „ამერიკულ“ ჰელოუინზე წახვედი, რომელიმე პერსონაჟის კოსტუმი გეცვა და მეგობრებთან ერთად კარგად მოილხინე!

ცხვრების მთელი ჯოგი გიწოდებს სატანისტს, სულით არაქართველს, ამოსაძირკვს და გადასაშენებელს. მოიხდის ვალს ფარის წინამძღოლის წინაშე, ჩაკეცავს ფეისბუკს, დაპაუზებულ პორნოს ყურებას გააგრძელებს, ორგაზმს „ამერიკულ“ ჯინსებში განიცდის.

მერე კმაყოფილი სახით ადგება, „უცხოური“ მობილურით მეგობრებს შეეხმიანება, სახლიდან გავა, გზაში, ავტობუსში უახლესი მგზავრის უკანალზე მიჭყლეტილი პირჯვარს გადაისახავს, მეგობრები სადმე ერთად მოსხდებიან, მოილხენენ, დათვრებიან. გაახსენდებათ არასრულფასოვნების კომპლექსი, დაიწყებენ შარის ძიებას, იჩხუბებენ, დაალეწავენ თავზე ერთმანეთს ყველა „უცხოურ“ ნივთს და თავპირდალეწილი (ან სხვისთვის თავ-პირის დამლეწავი) მაინც აუცილებლად იფიქრებს, რომ ჰელოუინის კოსტუმირებული კარნავალი სატანიზმია, მისი ქეიფი და გართობა კი – ქართულია, მართლმადიდებლური, ღვთით ნაკურთხი და კეთილი.

რესპუბლიკური პარტიის "სახლში" დაბრუნება

„ძალიან ცუდი გრძნობა იყო“, – თქვა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ არჩევნების შემდგომ პრესკონფერენციაზე, როცა დამარცხებულ თანაგუნდელებთან შეხვედრის შესახებ ჰკითხეს. ამერიკის პრეზიდენტმა აღიარა, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრია და მას ეს იმედგაცრუებულმა მოსახლეობამ შუალედურ არჩევნებზე უჩვენა.

იანვრიდან აშშ-ს საკანონმდებლო პროცესს დიდწილად „რესპუბლიკელები“ წარმართავენ. 1948 წლის შემდეგ მათ შუალედური არჩევნების გზით უმრავლესობაში მოსვლის ყველაზე ეფექტური მაჩვენებელი აქვთ: კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატებს 60 ადგილი აართვეს. „დემოკრატიულ პარტიას“ სენატის უმრავლესობა დარჩა.

პოზიციების ასეთი გადანაწილება არჩევნებზე, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის პირველი ორი წლის საქმიანობის შეფასების ერთგვარ რეფერენდუმად აღიქმება, ბარაკ ობამასთვის სერიოზულ მარცხად შეფასდა. „რესპუბლიკელების“ გამარჯვებით შემცირდება „დემოკრატი“ პრეზიდენტის პოლიტიკური მანევრირების შესაძლებლობები.

თუმცა, „რესპუბლიკელების“ დაბრუნებით „დემოკრატები“ კმაყოფილები უნდა იყვნენ. აქამდე „დემოკრატების“ დომინაციის გამო წარუმატებლობებზე პასუხისმგებლობას მხოლოდ პრეზიდენტის პარტია იღებდა. „რესპუბლიკელების“ შემომატებით კი მათ გადაბრალების ობიექტი უჩნდებათ.

ქვეყნის პრეზიდენტისგან მილოცვის მიღების შემდეგ კონგრესის ქვედა პალატის მომავალი სპიკერი, „რესპუბლიკელი“ ჯონ ბოინერი მხარდამჭერებს საბიუჯეტო ხარჯების შეკვეცას, ხელისუფლების მოცულობის შემცირებას და კონგრესის მუშაობის რეფორმირებას დაჰპირდა.

კონგრესში ყველაზე დიდ ვნებათაღელვას ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების საკითხთან დაკავშირებით ელიან. ბოინერმა ობამას „მონსტრი“ რეფორმის შეჩერების პირობა დადო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ეს „სამუშაო ადგილების შემცირებას, მსოფლიოში საუკეთესო ჯანდაცვის სისტემის ნგრევას და ქვეყნის გაკოტრებას გამოიწვევს“.

ობამა „რესპუბლიკელების“ რჩევების „მოსმენის პირობას“ დებს. თუმცა იქამდე ის 2012 წლის საპრეზიდენტო რბოლაში ჩაერთვება. როგორც ამბობენ, საპრეზიდენტო არჩევნები შუალედური არჩევნების მეორე დღეს იწყება.

ბუშის მემუარები

გამოქვეყნდა ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუში უმცროსის მემუარები. წიგნში – „გადაწყვეტილების მიღების დროს“ – ყოფილი პრეზიდენტი საკუთარ მიღწევებზე და შეცდომებზე ყვება, მათ შორის ერაყის ომზე და ქარიშხალ „კატრინაზე“. პრეზიდენტი მემუარებში 2008 წლის პეკინის ოლიმპიადაზე პუტინთან დიალოგს იხსენებს:

„ბუში: – მიხეილ სააკაშვილი ცხელსისხლიანია.

პუტინი: – მეც ცხელსისხლიანი ვარ.

ბუში: – არა ვალოდია, შენ ცივსისხლიანი ხარ!“

MTV და ჩოჯი თბილისში

საქართველოში რამდენიმე როკ-კონცერტის გამართვისთვის მთავრობა MTV-სთან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს, წერს ვებგვერდი eurasianet.org კონცერტებს ახლად შექმნილი MTV Impact ეკონომიკის განვითარების წასახალისებლად აწყობს. ევრაზიანეტის ინფორმაციით, მსგავსი ტიპის თითო კონცერტში დაახლოებით 2 მილიონი დოლარი იხარჯება. მსგავსი კონცერტი უკვე გაიმართა მალტაზე, სადაც სხვა მომღერლებთან ერთად ლედი გაგაც ჩავიდა.

სასკოლო სახელმძღვანელოების ბიზნესში სახელმწიფო ეჰევა

განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, ყველა გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოს თანამესაკუთრე სახელმწიფო ხდება. სამინისტრომ ამ სახელმძღვანელოების საავტორო უფლებების შესყიდვის უფლებაც დაისაკუთრა. განათლების მინისტრის განცხადებით, ამ ცვლილების მთავარი მიზანი სახელმძღვანელოების ხარისხის გაუმჯობესება და ფასების შემცირებაა. „ახალი წესით თავისუფალი ბაზრის განვითარებას უნდა შევუწყოთ ხელი," – განაცხადა დიმიტრი შაშკინმა, რომლის განმარტებითაც, აქამდე წიგნების ბაზარზე გამომცემლობები მონოპოლიას და „შეუსაბამოდ მაღალ ფასებს" ქმნიდნენ. წიგნების ფასების დარეგულირების გარდა სახელმწიფომ ავტორთა შემოსავლის განსაზღვრაც გადაწყვიტა: ნებისმიერი საავტორო უფლების მქონე პირი მოგების 25%-ს მიიღებს.
ახალი წესებით სახელმძღვანელოების შედგენაზე კონკურსი უკვე გამოცხადდა.

სკოლებში საატესტატო გამოცდები ბრუნდება

საჯარო სკოლებში საატესტატო გამოცდები ბრუნდება, მე-12 კლასის მოსწავლეებს სკოლის დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად 8 საგანში მოუწევთ გამოცდის ჩაბარება.
გამოცდა ნებაყოფლობითია, თუმცა იმ მოზარდს, რომელიც ტესტირებას არ გაივლის, ატესტატის ნაცვლად მხოლოდ სერტიფიკატი მიენიჭება და შესაბამისად, ეროვნულ გამოცდებზე არ დაიშვება.
დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები გამოცდებს სასწავლო წლის დასასრულს ჩააბარებენ. საატესტატო გამოცდები ინტერნეტით ჩატარდება. სისტემის პილოტირება მარტში იგეგმება.

ფოტო: ბარბარა ქოჩიაშვილი

ქართველები მალაიზიაში

მალაიზიაში დაკავებული ქართველების საქმესთან დაკავშირებით პოლიციამ ერთ-ერთი დაკავებულის – ბაბუცა გორდაძის მეუღლე ელდარ დავითიანი თბილისში დაკითხა.
26 წლის გორდაძეს მალაიზიის სასამართლომ ბრალი ნარკოტრეფიკის მუხლით წაუყენა, რაც ადგილობრივი სისხლის სამართლის კოდექსით სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს.
გორდაძის ოჯახის წევრები მომხდარში სიძეს – დავითიანს ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ დაკავებული ქალბატონები მალაიზიაში სამუშაოდ მან წაიყვანა.
დარეჯან კოხტაშვილი და ბაბუცა გორდაძე 27 ოქტომბერს „მეტაფინის" გადატანის ფაქტზე დააკავეს. 37 წლის დარეჯან კოხტაშვილის საქმის განხილვა 8 ნოემბერს დაიწყო.

ციფრები

35
ავტობუსის ხაზი გააუქმა თბილისის მერიამ.

80%
არ ენდობა ეროვნულ ვალუტას.

5%-ით
შემცირდება სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა.

მე-12
ადგილზეა საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით.

სიტყვები

„მე თუ ვიტყოდი, რომ თევზი წყალში ცხოვრობს, ისინი იტყოდნენ – „არა!".
ბარაკ ობამა „რესპუბლიკელებზე"

„როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელს, მე მინდა, რომ ბაზარზე იყოს კეთილსინდისიერი კონკურენცია."
განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი სახელმძღვანელოების გრიფირებაზე

„ევროკავშირი არის ის, რისკენაც საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანები შეიძლება, ილტვოდნენ."
ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნები ოკუპირებულ ტერიტორიებზე

„მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი იტანჯება ქრონიკული შპიონომანიით ანტირუსულ ნიადაგზე".
რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფასება ჯაშუშების დაკავებაზე.

მომხრე
ნინო ანჯაფარიძე
კინოფესტივალ „პრომეთეს“ დირექტორი.

ჩუსული კინოს დავესწრო

■ ვფიქრობ, რომ ის ძველი „თბილი“ ურთიერთობები დამთავრდა. დღეს ურთიერთობა ახალი ფურცლიდან უნდა დავიწყოთ. ამისთვის კი ახალგაზრდა თაობებმა ერთმანეთი უნდა გაიცნონ. მოდი, კინოდან დავიწყოთ! იქნებ კულტურიდან – კინოდან, ლიტერატურიდან, მხატვრობიდან დაიწყოს ახალი ურთიერთობა და არა ომიდან?

მიმაჩნია, რომ ყველა კინოფესტივალს აქვს არსებობის უფლება. კინო უნივერსალური ენაა, რომლითაც შეიძლება, დამყარდეს კონტაქტი არა მარტო კინოს სფეროში, არამედ ასევე, გაიხსნას გზები ახალი ურთიერთობებისთვის. მით უმეტეს, რომ მოდის ახალი თაობა, რუსი რეჟისორების ახალი ტალღა. საინტერესოა, რას აკეთებენ ისინი. მგონია, რომ კულტურული თანამშრომლობა პოზიტიურ წვლილს შეიტანს დაძაბულ გარემოში. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რუსეთი საუკეთესო მეზობელია და რომ მასთან აუცილებლად უნდა ვიმეგობროთ.

მესმის იმ ადამიანებისაც, რომლებიც ამბობენ, რომ რაკი რუსეთი ჩვენი დამპყრობელია, ამ ქვეყნის ფესტივალი აქ არ უნდა ტარდებოდეს. მეც მაქვს პროტესტი იმის მიმართ, რაც მოხდა, მაგრამ მინდა, რომ ეს პროტესტი გამოვხატო კინოს პოზიციიდან და კინოს საშუალებით. მტერთან უნდა ითანამშრომლო, ოღონდ არ უნდა დაივიწყო, რომ ის მტერია. ეს ნიშნავს, რომ მასთან ურთიერთობაში ყოველთვის უნდა დააფიქსირო შენი პოზიცია – იქნება ეს ფილმების ჩვენების, დისკუსიის თუ სხვა ფორმით.

გარდა ამისა, ჩემი პირადი გამოცდილებით შემიძლია ვთქვა, რომ რუს კინემატოგრაფისტებს შორის არიან ადამიანები, რომელთა დამოკიდებულებაც სრულიად განსახვავებულია და არ ასახავს პოლიტიკოსთა განწყობებს. ეს განსაკუთრებით რეჟისორების ახალ თაობას ეხება. ამიტომ, კინოს და ზოგადად, ხელოვნების საშუალებით შესაძლოა მცირედი წვლილი მაინც შევიტანოთ იმაში, რომ სამომავლოდ ახალ თაობებს შორის მაინც არ იყოს მტრული დამოკიდებულება.

ვფიქრობ, რომ ის ძველი „თბილი“ ურთიერთობები დამთავრდა. დღეს ურთიერთობა ახალი ფურცლიდან უნდა დავიწყოთ. ამისთვის კი ახალგაზრდა თაობებმა ერთმანეთი უნდა გაიცნონ. მოდი, კინოდან დავიწყოთ! იქნებ კულტურიდან – კინოდან, ლიტერატურიდან, მხატვრობიდან დაიწყოს ახალი ურთიერთობა და არა ომიდან?

მე დადებითად ვაფასებ ყველა იმ მოვლენას, რომელიც ხელს შეუწყობს ორი ახალი თაობის დაკავშირებას. მით უმეტეს, კინო დღეს, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა ქვეყნების კო-პროდუქციებია და არა ერთი რომელიმე ქვეყნის ნაციონალური ნაწარმი. თანაც, რატომ უნდა ვთქვათ უარი ისეთ დიდ ბაზარზე, როგორიც რუსეთია? ხომ შეგვიძლია, ასეთი ღონისძიებები ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ?



ფესტივალი - ი თუ არა?

ეს ფესტივალი ვერაფერს შეცვლის – რამდენი რუსული ფილმი გვინახავს და რამდენჯერ „ჩაგვიხედავს თვალებში“ რუსი კინემატოგრაფისტებისთვის, რამდენჯერ მოგვისმენია დითირამბები ნიჭიერი, თავისუფლებისმოყვარე ქართველებისადმი და რამდენჯერ დაგვიბრუნებია საპასუხო „სადღეგრძელო“ ერთმორწმუნე დიდი რუსული კულტურის სადიდებლად?

მოწინააღმდეგე
თეო ხატიაშვილი
ხელოვნებათმცოდნე

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, ინტენსიური განხილვის საგანი გახდა რუსული კინოს ფესტივალი, რომელსაც ხელოვნებისა და კულტურათაშორისი დიალოგის საერთაშორისო ფონდი ატარებს. „მიუხედავად სირთულეებისა ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობებში, მიუხედავად 2008 წლის ტრაგიკული ომისა, ურთიერთლტოლვა ქართველ და რუს ხალხებს შორის უდავოა და, ვფიქრობ, უძლეველია. რუსი კინემატოგრაფისტები თბილისში ჩამოვიდნენ წმინდა გულით, სიყვარულითა და გასაოცარი სიმპათიის გრძნობით ნიჭიერი, თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის მიმართ. და თუკი ჩვენ ამ დღეებში არა მხოლოდ გაგაცნობთ ბოლო წლების სხვადასხვა თაობისა და მხატვრული მიდრეკილებების რეჟისორთა მნიშვნელოვან ნამუშევრებს, არამედ შევხვდებით კიდეც, ვისაუბრებთ და თვალებში შევხედავთ ერთმანეთს, თბილისში რუსული კინოს I ფესტივალის მთავარი ამოცანა შესრულებული იქნება.“ – ვკითხულობთ ფესტივალის პრეზიდენტის ელ. რიაზანოვის მიმართვაში.

რამდენად მიზანშეწონილია ამ ფესტივალის ჩატარება დღევანდელ საქართველოში? მართალი გითხრათ, ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არ მაქვს. ვერც ზუსტ ანალოგიას მოვნახავდი გერმანიის მიერ ოკუპირებულ საფრანგეთსა და აგვისტოს ომის შემდგომ საქართველო-რუსეთის ურთიერთდამოკიდებულებას შორის, რომელიც ოკუპანტი ქვეყნის კულტურისადმი წინააღმდეგობისა და ბოიკოტის მაგალითად მოჰყავთ ხოლმე.

არც ის ვიცი, რეალურად რამდენ ადამიანს აინტერესებს რუსული კინოს ტენდენციები (რომელიც, სინამდვილეში, არაფრით გამოირჩევა), ან თბილისში ჩამოსულ რუს რეჟისორებს რამდენად გულწრფელად აღელვებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა. არ ვიცი, რა აქვთ სათქმელი ქართველ და რუს კინემატოგრაფისტებს ერთმანეთისთვის, რომელთა შორის პრინციპულად არაფერი შეცვლილა აგვისტოს მერე, ან რამდენად აქტიურად ჩაერთვებიან ჟურნალისტები სტუმრებთან დისკუსიაში და რამდენად მწვავე და კრიტიკული გამოვა ის.

მხოლოდ ერთი რამ ვიცი ზუსტად, რომ ეს ფესტივალი ვერაფერს შეცვლის რეალურ სიტუაციაში – რამდენი რუსული ფილმი გვინახავს და რამდენჯერ „ჩაგვიხედავს თვალებში“ რუსი კინემატოგრაფისტებისთვის, რამდენჯერ მოგვისმენია დითირამბები ნიჭიერი, თავისუფლებისმოყვარე ქართველებისადმი და რამდენჯერ დაგვიბრუნებია საპასუხო „სადღეგრძელო“ ერთმორწმუნე დიდი რუსული კულტურის სადიდებლად?

ჩემი აზრით, ეს არის მორიგი თავის მოტყუება რომანტიკული მითით, რომ „ხელოვნება გადაარჩენს სამყაროს“ (მით უმეტეს, თუ ის მაინცდამაინც კარგი ხელოვნება არ არის); მორიგი ფარისევლობა, ურთიერთკეკლუცი, რაც იმპერია/კოლონიის ცოტა სადო-მაზოხისტური ვნებებისა და კომპლექსების საუკუნოვან ციკლს აგრძელებს.

P.S. ისე, სტუმრებისთვის ტრადიციული მცხეთა-სვეტიცხოვლის მარშრუტის სანაცვლოდ წეროვანის მონახულება არ იქნებოდა ურიგო. იქ მცხოვრებთ უფრო ბევრი სათქმელი ექნებოდათ რუსი თუ ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის.

ფოტო: ლევან ხარბედიანი

ეთნიკური უმცირესობები

მოჩვენებითი ინტეგრაცია

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი მოსწავლეების განათლებაზე დღემდე აზერბაიჯანის მთავრობა უფრო ზრუნავს, ვიდრე საქართველოს განათლების სამინისტრო.

მაია წიკლაური

ამ პირველკასელი ბიჭის მომავალი საქართველოში პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად ისწავლის ქართულ ენას. გარდაბნის მე-6 საჯარო სკოლა, ნოემბერი 2010

სოფლის ორღობის ხრეშიან გზაზე 14 წლის აზერბაიჯანელი გოგონა სარმინაზ ვალიევა სკოლისკენ მიაბიჯებს. გზაში ქართულის გაკვეთილისთვის ახალ სიტყვებს იმეორებს. სარმინაზი ყოველდღე, სკოლიდან სახლამდე და შემდეგ – უკან, თითქმის ნახევარ კილომეტრს ფეხით გადის.

ამ დროს სკოლის შენობას დირექტორის, მაჰმუდ მეჰდიევის ჯიპი უახლოვდება. მეჰდიევი უკვე ორი წელია, საკრებულოს წევრი აღარ არის, თუმცა სკოლის დირექტორს ყველა ცნობს და გზაში ხელის აწევით ესალმებიან.

თბილწყაროს დასახლების გზაზე ორსართულიან შენობას აზერბაიჯანულ ენაზე აწერია: „გარდაბნის მეექვსე საჯარო სკოლა“. მას ისეთივე პრობლემები აქვს, რაც, ალბათ, საქართველოს რეგიონული სკოლების უმრავლესობას: შენობაში სულ 6 საკლასო ოთახია. მცირე ფართის გამო, ბავშვებს სწავლა ორ ცვლაში უწევთ. სკოლაში ელექტროენერგია არ არის, ამიტომ ზამთარში მეორე ცვლის გაკვეთილებს ნაადრევად, დაბნელებამდე ამთავრებენ. სკოლას არც დერეფანი აქვს, ამიტომ მოსწავლეები გაკვეთილების დაწყებამდე და შესვენებებზე გამოთავისუფლებულ დროს ეზოში ატარებენ – შუაგულში აღმართული საქართველოს დროშის გარშემო იკრიბებიან და თამაშობენ.

„ოპოზიციონერები ხომ არ ხართ?“ – გვეკითხება სკოლის დირექტორი, ვიდრე საკლასო ოთახებს დაგვათვალიერებინებს.

დირექტორი ამბობს, რომ საქართველოს მთავრობამ მისი სკოლისთვის რაც შეეძლო, უკვე გააკეთა: სახურავი შეაკეთეს, გათბობის სისტემაც დაამონტაჟეს. თუმცა, დირექტორის ჩამონათვალი აქ წყდება. კლასების შემოვლის შემდეგ კი ვარკვევთ, რომ შენობამდე გაზის 200-მეტრიანი მილი ჯერაც არ არის მიყვანილი. ამიტომ რადიატორებს ვერ რთავენ და ოთახებს მაინც შეშის ღუმელებით ათბობენ.

სკოლას არც საკეტი აქვს და არც დაცვა ჰყავს. ამიტომ სკოლის ერთადერთ კომპიუტერსაც ინფორმატიკის მასწავლებელი გაკვეთილების ჩასატარებლად ყოველდღე სახლიდან ატარებს.

სკოლის ბიუჯეტი მხოლოდ დირექტორის, ბუღალტრის, დარაჯის და 16 მასწავლებლის მიზერულ ხელფასს ფარავს.

ამ სკოლაში 102 აზერბაიჯანელი ბავშვი სწავლობს.

ამ ბავშვების ქართულენოვან გარემოში ინტეგრაცია განათლების სამინისტროს ერთ-ერთი დეკლარირებული პრიორიტეტია. სამინისტრომ ეს ეფექტური სასწავლო პროგრამებით უნდა შეძლოს.

ეს პრიორიტეტი დაახლოებით ოთხი წლის წინ გამოიკვეთა. სწორედ ამ დროს ქართული ენის სწავლება ყველა ასეთ სკოლაში სავალდებულო გახდა,

საათების რაოდენობა კი გაიზარდა. ახლა გარდაბნის მეექვსე საჯარო სკოლაშიც კვირაში 2-3 საათის ნაცვლად, ქართულ ენას ხუთი საათი ეთმობა. ბავშვები სახელმწიფო ენის სწავლას პირველი კლასიდან იწყებენ. თუმცა სასწავლო პროცესის დახვეწას არა მხოლოდ ბევრი სკოლისთვის ნაცნობი საყოფაცხოვრებო პრობლემები უშლის ხელს, არამედ – მასწავლებლებისა და სახელმძღვანელოების დაბალი დონეც. პირველ რიგში, ეს ქართული ენის სწავლებას ეხება.

„როგორ ხარ?“, „გამარჯობა“, „რა გქვია?“ – ასეთ მარტივ რაღაცებს თუ მკითხავთ, ყველაფერს გავიგებ, კითხვითაც ვკითხულობ, მაგრამ ქართულად ლაპარაკი მაინც ძალიან მიჭირს. თანაც სახლში ქართული არავინ იცის და რასაც სკოლაში ვსწავლობ, მავიწყდება ხოლმე“, – აზერბაიჯანულად გვიხსნის მერვეკლასელი აიდა.

ბიან, რისთვის სჭირდებათ სახელმწიფო ენის ცოდნა. ქართულენოვანი სამყარო ამ სკოლის მოსწავლეებისთვის ქართულის გაკვეთილის შემდეგ, ზარის დარეკვისთანავე სრულდება.

ოთხი წლის წინ პრეზიდენტის ინიცირებული პროგრამა, რომელიც განათლების რეფორმის ყველაზე კარდინალური ცვლილებებით სავსე ეტაპს დაემთხვა, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართულის მასწავლებლებს მაღალი ანაზღაურების გამო იზიდავდა. განათლების სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, 2009-2010 წლებში 1000-მდე პედაგოგმა გამოთქვა სურვილი, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართულ ენის მასწავლებლებად წასულიყვნენ, მაგრამ კონკურსის საფუძველზე მხოლოდ 64 კანდიდატი შეარჩიეს. სულ საქართველოში 124 აზერბაიჯანული სკოლაა.

„თათრებს“ ეძახდა იმიტომ, რომ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო ეთნიკური უმცირესობებით სავსე კლასში. არადა, „თათარი“ – ეს რომ აზერბაიჯანელისთვის შეურაცხმყოფელი მიმართვაა, ამას ბავშვებიც კი აცნობიერებენ“, – ამბობს ორგანიზაცია „ტოლერანსის“ წარმომადგენელი რამილია ალიევა.

„თავიდან ბავშვებთან ურთიერთობა მიჭირდა. თუმცა უკვე 4 წელია, აქ ვარ და ცოტა აზერბაიჯანულიც ვისწავლე. უკეთ ვახერხებ მათთან ურთიერთობას, გაკვეთილის ახსნას, ვიდრე – ადრე“, – ამბობს აფხაზეთიდან დევნილი, დაწყებითი კლასების პედაგოგი, ნინა ფერცულიანი, რომელიც აზერბაიჯანულ სკოლაში შეთავსებით ქართულ ენას ასწავლის.

ლურჯად შეღებილ საკლასო ოთახში სარმინაზს და მის შვიდ თანაკლასელს ისტორიის გაკვეთილი დაეწყოთ. მერხებზე გადაშლილ წიგნებში ტექსტის ნახევარი

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

ქართული ენის გაკვეთილი, სოფელ კაპანახჩის საჯარო სკოლა, ნოემბერი 2010

განათლების სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, 1000-მდე პედაგოგმა გამოთქვა სურვილი, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართულ ენის მასწავლებლებად წასულიყვნენ, მაგრამ კონკურსის საფუძველზე მხოლოდ 64 კანდიდატი შეარჩიეს.

სოფელი, სადაც აიდა ცხოვრობს, მთლიანად აზერბაიჯანელებითაა დასახლებული. იქ მცხოვრები 2 ქართული ოჯახიც აზერბაიჯანულად ლაპარაკობს. ამიტომ, განათლების სამინისტროს ფრაგმენტული და არათანმიმდევრული პროექტების ფონზე, ვერც მოსწავლეები და ვერც მშობლები, ბოლომდე ვერ ხვდებიან, რისთვის სჭირდებათ სახელმწიფო ენის ცოდნა. ქართულენოვანი სამყარო ამ სკოლის მოსწავლეებისთვის ქართულის გაკვეთილის შემდეგ, ზარის დარეკვისთანავე სრულდება.

ოთხი წლის წინ პრეზიდენტის ინიცირებული პროგრამა, რომელიც განათლების რეფორმის ყველაზე კარდინალური ცვლილებებით სავსე ეტაპს დაემთხვა, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართულის მასწავლებლებს მაღალი ანაზღაურების გამო იზიდავდა. განათლების სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, 2009-2010 წლებში 1000-მდე პედაგოგმა გამოთქვა სურვილი, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართულ ენის მასწავლებლებად წასულიყვნენ, მაგრამ კონკურსის საფუძველზე მხოლოდ 64 კანდიდატი შეარჩიეს. სულ საქართველოში 124 აზერბაიჯანული სკოლაა.

არასაკმარისი კადრების გამო, გარდაბნის სკოლის დირექტორმა ქართული ენის მასწავლებელი ვერ იპოვა. ამიტომ ახლა მის სკოლაში ქართულს დაწყებითი კლასების პედაგოგი და მუსიკის მასწავლებელი ასწავლიან.

„ეს დაუშვებელია. ყოფილა შემთხვევებიც, როცა მასწავლებელი ბავშვებს ქართულად, ნახევარი კი აზერბაიჯანულად წერია.

ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელმა აშკინ ასლანოვმა მოსწავლეებს გაკვეთილი აუხსნა და ტექსტის წაკითხვა დაავალა. რამდენიმე წუთში ბავშვებმა მასწავლებლის კითხვებს უნდა უპასუხონ. თუმცა, ბავშვებს დაბნეული სახეები

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

ამ ბავშვებისთვის შეხება ქართულ რეალობასთან ზარის დარეკვისთანავე სრულდება, სოფელ კაპანახჩის საჯარო სკოლის მე-9 კლასელები, ნოემბერი 2010

აქვთ. ბორძიკით კითხულობენ ქართულ ტექსტს და ემჩნევათ, რომ აზრის გამოტანა ძალიან უჭირთ. თუმცა, გაკვეთილის შინაარსს ბოლომდე ვერც აზერბაიჯანული ნაწილის წაკითხვის შემდეგ ხვდებიან.

ისტორიის მასწავლებელი გვეუბნება, რომ აზერბაიჯანულ ტექსტში ისტორიული სახელწოდებები და ტერმინები შეცდომით წერია, რაც ბავშვებს ძალიან აბნევს. ასეთი შეცდომები, ასლანოვის თქმით, ქიმიის, ბიოლოგიის და მათემატიკის სახელმძღვანელოებშიც მრავლადაა.

აქამდე აზერბაიჯანულენოვანი სკოლებისთვის პროგრამას აზერბაიჯანის მთავრობა ადგენდა და საჭირო წიგნებსაც თვითონ გზავნიდნენ. თუმცა მას შემდეგ, რაც საქართველოში სწავლების 12-წლიანი სისტემა შემოიღეს, სკოლებიც ქართულ პროგრამაზე გადავიდნენ. აზერბაიჯანის მთავრობა ახლა მხოლოდ აზერბაიჯანული ლიტერატურის წიგნებს გზავნის.

საქართველოს განათლების სამინისტრო კი ქართული პროგრამის წიგნებს ეთნიკური უმცირესობებისთვის სპეციალურად თარგმნის, როგორც ირკვევა, ხშირად – შეცდომებით.

„წიგნის გარეკანზეც კი „გეოგრაფია“ აზერბაიჯანულად შეცდომით წერია“, – ამბობს აშკინ ასლანოვი.

– „მალე ამ პატარა შენობის ნაცვლად ახალი შენობა გვექნება, აი, იქ ავაშენებთ“ – სკოლის გვერდით ცარიელ მდელოზე მიგვითითებს მერვე სკოლის დირექტორი მაჰმუდ მეჰდიევი.

– განათლების სამინისტროა ინიციატორი?

– დიახ, ოღონდ აზერბაიჯანის განათლების სამინისტრო. ორი წლის წინ მინისტრი მისირ მარდანოვი პირადად დამპირდა, რომ მშენებლობისთვის ფინანსებს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ფონდიდან გადმორიცხავენ“, – ამაყობს მაჰმუდ მაჰდიევი.

„ხშირად აქაური აზერბაიჯანელების პრობლემების შესახებ საქართველოს განათლების სამინისტრო ინფორმაციას აზერბაიჯანის მთავრობისგან იგებს. აზერბაიჯანის მთავრობა აქაური აზერბაიჯანელების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის ყოველწლიურად სხვადასხვა პროექტს აფინანსებს “, – ამბობს რამილია ალიევა.

აზერბაიჯანის დიასპორის კომიტეტი – ეს ის ადგილობრივი ორგანიზაციაა, რომელმაც საქართველოს განათლების სამინისტროს აზერბაიჯანულ სკოლებში ქართული ენის დამატებითი გაკვეთილების დაფინანსება შესთავაზა.

შედეგად, დღეს 124 აზერბაიჯანულენოვან სკოლაში სპეციალური ჯგუფებია გახსნილი, სადაც უფროსი კლასის მოსწავლეები ქართულ ენაში, დამატებით კვირაში სამჯერ, ემზადებიან.

კლასში დაახლოებით 20 მოსწავლე ზის. მასწავლებლებს ხელფასს აზერბაიჯანის მთავრობა უხდის.

ირანი

საქინე მოჰამადის ოჰი სახე

მსოფლიოს აღშფოთებამ ირანელი ქალის ჩაქოლვის განაჩენი შეცვალა. თუმცა, საქინეს სიკვდილით მაინც სჯიან.

ლექსო ჩქარეული

43 წლის ირანელი ქალის საქინე მოჰამადის ისტორიამ მსოფლიო შეძრა. ამ ქალბატონის ჩაქოლვის წინააღმდეგ მიმართულმა საქვეყნო გაღიზიანებამ იმ ზღვარს მიაღწია, რომ პროტესტი ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის ლიდერმა და ამერიკის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ჰილარი კლინტონმა გამოთქვეს. საქინეს საქმით ერთდროულად რამდენიმე წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაცია დაკავდა. მსოფლიო გამოხმაურება ირანის ხელისუფლებამ „ყურად იღო“ და ქმრის ღალატში ბრალდებული ქალის ჩაქოლვის განაჩენი ჩამოხრჩობით ჩაანაცვლა.

საქინე მოჰამადის მხარდასაჭერად გასულ ზაფხულს მსოფლიო მასშტაბით არაერთი საპროტესტო აქცია გაიმართა. შეკრებილები საქინეს შავთეთრი ფოტოს თანხლებით მისთვის სასჯელის შემსუბუქებას ითხოვდნენ.

ერთი ასეთი აქცია საქართველოშიც მოეწყო. ირანელი ქალის ბედმა ზოგს ცნობილი ლიტარატურული გმირიც კი გაახსენა. ქართველი პოეტის ნატო ინგოროყვას ლირიკული ლექსი, რომელიც მან მოჰამადის ისტორიით ინსპირირებულმა დაწერა, ასე მთავრდება: „საქინე მოჰამადი ქართულად მარიტას ნიშნავს!“

ალბათ, სასჯელის ულმობლობამ გამოიწვია ის, რომ არავინ იკითხა, რა დააშავა მოჰამადიმ სინამდვილეში; უფრო სწორად, დაკმაყოფილდნენ ინფორმაციით, რომ მან ქმარს უღალატა და ამის გამო ისლამური ირანის შარიათზე დაფუძნებული სამართლის ადეპტებმა გადაწყვიტეს, მისთვის სასჯელის უმაღლესი ზომა – ჩაქოლვით სიკვდილი მიესაჯათ.

მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად არ არის. „საქინე მოჰამადი“ არ არის ირანელი „მარიტა“.

ირანის პარლამენტის მე-6 და მე-7 მოწვევების დეპუტატმა, ჟურნალისტმა, საერთაშორისო ეკონომიკის მაგისტრმა და ასევე, იურისტმა, პირველი ხარისხის ადვოკატმა აქბარ ალამიმ თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა საინტერესო ჩანაწერი სათაურით „საქინე მოჰამადის მსოფლიო პოპულარობა და კატალიზატორები, რომელსაც ირანის ისლამური რესპუბლიკა „აწარმოებს“.

ამ ჩანაწერიდან ირკვევა, რომ აქბარ ალამიმ, როგორც პარლამენტის დეპუტატმა და საგანგებო რწმუნებულმა 2010 წლის 10 აგვისტოს საგანგებო ოთხსაათიანი მისიით მოინახულა თავრიზის ცენტრალური ციხე და მათ შორის, ამ ციხის ქალთა

ფოტო: ბილ ლუნდალეზი / Reuters

საქინე მოჰამადის სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგოდ გამართული საპროტესტო აქცია, პარიზი, 28 აგვისტო 2010

კოლონია, სადაც სასჯელს, სხვა სიკვდილმისჯილებთან ერთად, საქინე მოჰამადიც იხდიდა.

შეხვედრის დროს საქინე მოჰამადიმ პარლამენტარს გადასცა წერილი, სადაც, ფაქტობრივად, კიდევ ერთხელ აღიარა, რომ მოქალაქე ისა ზაჰერისთან მართლაც ჰქონდა არაკანონიერი ურთიერთობა. მასთან ერთად დაგეგმა და სისრულეში მოიყვანა ქმრის – ებრაჰიმ ყადერზადეს მკვლელობის ჩანაფიქრი, როცა ამ უკანასკნელს ჯერ ძალით გაუკეთეს რაღაც გამაბრუებელი ნემსი, მერე კი უკანა ტანიდან დენი მიუერთეს.

ირანელი დეპუტატისა და ადვოკატის განცხადებით, საქინე მოჰამადი თავის წერილში ნანობდა ჩადენილს და სთხოვდა მას, ეშუამდგომლა სათანადო ორგანოებთან, რათა დანაშაული ეპატიებინათ და შეემსუბუქებინათ მოსალოდნელი სასჯელის ნორმა.

იმავე ჩანაწერიდან ირკვევა, რომ აქბარ ალამიმ მართლაც მიმართა ირანის უზენაესი სასამართლოს იმჟამინდელ თავმჯდომარეს აიათოლა შაჰრუდის, ესაუბრა მას საქინე მოჰამადის პრობლემაზე და სთხოვა, გაეთვალისწინებინათ მისი ორი შვილის უმძიმესი მდგომარეობა და დაენდოთ იგი, მუსლიმური კანონით დაშვებულ ფარგლებში.

ამასობაში კი სასამართლოს მეექვსე განყოფილებამ ირანული კალენდრის 19, 06, 1485 წლის 85/6/19-38 განაჩენით ქალბატონ საქინე აშთიანი მოჰამადის, სიძვის ბრალდების გამო, ჩაქოლვა მიუსაჯა.

საქინე მოჰამადის აღიარებითი ჩვენება, სადაც ის ქმრის მკვლელობაზე საუბრობდა, ირანის ტელევიზიითაც გადაიცა. ბევრისთვის დასავლეთში ეს აღიარება არაფერს ნიშნავს – სასტიკი წამების შედეგად ხომ ყველაფერი შეიძლება, ადამიანს ათქმევინო?!

ირანში ისევე კარგად ესმით ყველაფერი, როგორც ევროპასა თუ ამერიკაში. ირანელი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის პოზიცია საქინე მოჰამადის საქმესთან დაკავშირებით თითქმის სრულად ემთხვევა დასავლეთისას. იქ კარგად იციან, რომ ირანი, ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ, სამოთხე არ არის. თუმცა, იმასაც ხვდებიან, რომ საქინე მოჰამადის ბედი ბევრისთვის დასავლეთშიც სულ ერთია, როგორც ირანის მთავრობისთვის. მთავარი ამ საქმეში ხომ ირანის, როგორც მტრის ხატის წარმოჩენა იყო. მსოფლიო ლიდერების რეაქციათაგან ზოგიერთის მიზანი მხოლოდ ირანის ხელისუფლების შერცხვენა და წნეხის ქვეშ მოქცევა იყო.

პარლამენტარი აქბარ ალამი საკუთარ ვებ-გვერდზე წერს: „ჩვეულებრივ, ადამიანებმა რომ სახელი გაითქვან, უამრავი სიძნელის გადატანა და არაჩვეულებრივი საქმეების აღსრულება უწევთ. მხოლოდ მაშინ აღწევ პოპულარობას, როცა, ვთქვათ, მეცნიერებაში რაიმე მნიშვნელოვან აღმოჩენას გააკეთებ, ანდა სპორტსა თუ ხელოვნებაში თავს გამოიჩენ. ქალბატონი საქინე მოჰამად აშთიანმა კი მსოფლიო პოპულარობა ქმრის მკვლელობით მოიხვეჭა და ისეთი სახელგანთქმული ქალი გახდა, რომ მისი ფოტოები, კინოვარსკვლავთა სურათების მსგავსად, მსოფლიო პრესის ფურცლებიდან არ ჩამოდის.“

თუმცა, ირანელი პარლამენტარი იქვე აღნიშნავს, რომ საქინეს პოპულარულობაში ყველაზე დიდი წვლილი თავად ირანის მთავრობას მიუძღვის: „უზენაეს სასამართლოში ჩვენ მიერ გაგზავნილი წერილისათვის დროულად რომ მიექციათ საკმარისი ყურადღება (სანამ ისლამური რესპუბლიკის, ისლამისა და მუსლიმების მიმართ ამ თავდასხმათა მთელი კასკადი წამოვიდოდა), უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს შეეძლო, ეს კულტურული და საზოგადოებრივი ხლართი ძალმომრეობის კბილებით კი არა, კეთილგონიერების თითებით გამოეხსნა. მაგრამ ვაი, რომ ირანელ ჩინოვნიკებს გულშემატკივრული კრიტიკის მოსმენას მეხოტბეთა მლიქვნელური სიტყვებით ტკბობა ურჩევიათ!“

მართალია, მსოფლიო საზოგადოების აღშოთებამ 43 წლის ირანელი ქალის ჩაქოლვით დასჯა რამდენიმე თვით გადაავადა, მაგრამ ორი შვილის დედას საშინელი სიკვდილი კვლავ ემუქრება, თანაც – ძალიან მალე. მისი ადვოკატის ცნობით, ირანის ხელისუფლებამ საერთაშორისო ყურადღების მოდუნება იგრძნო და თავრიზის ციხეში საქინეს სიკვდილით დასჯის ბრძანება უკვე მიიღეს. თარიღიც დაინიშნა – 2010 წლის 5 ნოემბერი, პარასკევი.

ამ ინფორმაციამ მსოფლიო პროტესტის კიდევ ერთი მძლავრი ტალღა გამოიწვია. თუმცა სავარაუდოდ, პროტესტი უკვე ვერაფერს შეცვლის. „საქინე მოჰამადის საქმე“ ირანის მთავრობისთვისაც „ღირსების საკითხად“ იქცა – უღირსების ღირსება ზოგჯერ ასეთი ძვირი ღირს.

ერთადერთი, ვინც ირანელი ქალის გადარჩენისთვის ბოლო წუთამდე ყველა ღონეს ხმარობდა, მისი ვაჟი – 22 წლის საჯადი იყო, რომელსაც, როგორც ეუბნებიან, საქინე მოჰამადმა მამა მოუკლა.

მართალია, მსოფლიო საზოგადოების აღშფოთებამ 43 წლის ირანელი ქალის ჩაქოლვით დასჯა რამდენიმე თვით გადაავადა, მაგრამ ორი შვილის დედას საშინელი სიკვდილი კვლავ ემუქრება, თანაც – ძალიან მალე.

ირანი

საქინე მოჰამად აშთიანი: 1968 - ?

ირანელი ქალის დასჯა რამდენჯერმე გადაიდო. ბოლოს ჩამოხრჩობის თარიღად 5 ნოემბერი დასახელდა. ამ დრომდე არავინ იცის, ცოცხალია თუ არა 43 წლის საქინე.

დიანა ჩაჩუა

1968 წელს ირანის ერთ-ერთ პროვინციაში, ასქარ მოჰამად აშთიანის ოჯახში დაბადებულ საქინეს დღეს მთელი მსოფლიო იცნობს, როგორც ქალს, რომელსაც ქმრის ღალატის გამო სიკვდილით დასჯიან.

4 წელია, საქინე აშთიანის შვილები საჯადი და საიდე დედის ჩაქოლვის შიშით ცხოვრობენ. ამ დროის განმავლობაში, დედას ყოველ ორშაბათს ციხეში ხვდებოდნენ და არც ერთმა იცოდა, დადგებოდა თუ არა შემდეგი ორშაბათი საქინესთვის.

თავდაპირველად გადაწყდა, რომ საქინე ქვებით უნდა ჩაექოლათ, თუმცა რამდენიმე თვის წინ მას სასჯელი ჩამოხრჩობით შეუცვალეს.

ბოლო ორი თვეა, საქინესთან ყველანაირი კომუნიკაცია შეწყდა. მანამდე მან, შუამავლების დახმარებით, ციხიდან რამდენიმე წერილის გამოგზავნა შეძლო.

საქინეს ისტორია ყველა გავლენიანი საერთაშორისო გაზეთისა თუ ჟურნალის ფურცლებზე მოხვდა. თუმცა, ამ ქალის შესახებ ძალიან ცოტაა ცნობილი: გვარი, შვილების სახელები, დაბადების თარიღი და ერთადერთი ფოტო, რომელიც ქვით ჩაქოლვის წინააღმდეგ მსოფლიო კამპანიის სიმბოლოდ იქცა.

შვილებისთვის მიწერილ პირველ წერილში ის თავის გაუსაძლის მდგომარეობაზე ჰყვება:

„ვეღარ ვუძლებ ციხეში ყოფნას. ყოველი დღე იმაზე ფიქრში გადის, თუ როდის გამათავისუფლებენ. ვოცნებობ, აქედან სწრაფად გამოვიდე...“

სხვა წერილებში პატიმარი ქალი საერთაშორისო საზოგადოებასაც მიმართავს.

„მე ვარ საქინე მოჰამედ აშთიანი, თავრიზის საპყრობილედან. მადლობელი ვარ ჩემს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის. მე-5 კლასამდე სკოლაში დავდიოდი, შემდეგ გამათხოვეს და ორი შვილი შემეძინა. მას შემდეგ ჩემი ცხოვრების ერთადერთ მიზანს და იმედს ჩემი შვილები წარმოადგენენ“.

„იმ დღიდან, როდესაც ჩემი შვილის, საჯადის თანდასწრებით მათრახი 99-ჯერ დამარტყეს, სულით დავეცი. ჩემი სიამაყე და გული სამუდამოდ გატყდა. როდესაც ქვებით ჩაქოლვა მომისაჯეს, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს დიდ ორმოში ჩამაგდეს და გონება დავკარგე. უკვე მერამდენე ღამეა, ძილის წინ იმაზე ვფიქრობ, თუ როგორ უნდა გაიმეტო ადამიანი ჩასაქოლად? როგორ უნდა ისროლო ქვა? რატომ? აქ თავრიზის ციხეში დამწყვდეული თქვენზე ვფიქრობ. გთხოვ, უთხარით ყველას, რომ სიკვდილის მეშინია. დამეხმარეთ, რომ გადავრჩე.“ – წერდა საქინე თავრიზის საპყრობილედან.

2008 წელს ჰოლივუდმა გადაიღო ფილმი „სორაიას ჩაქოლვა“. ამ ფილმის მთავარი გმირის ისტორია ძალიან ჰგავს საქინე მოჰამად აშთიანის ამბავს.

რეალურ ისტორიაზე დამყარებული ერთ-ერთი ყველაზე თამამი კინოპროექტი, რომელიც ჩაქოლვის პრაქტიკას და ქალთა უუფლებობას გმობს, ასევე ღალატის თემაზე ვითარდება.

14 წლის გოგოს ცოლად მოყვანის სურვილით შეპყრობილი ქმარი, პირველი ცოლის თავიდან მოშორების მიზნით მას მრუშობაში ადანაშაულებს და ამისთვის ორი მოწმის „შოვნაც“ არ უჭირს.

ფილმის ფინალში სორაიას ქვებს ესვრიან ქმარი, მამა, ვაჟი და მეზობლები.

ეს ისტორია ევროპაში სორაიას თამამი ნათესავი ქალის წყალობით მოხვდა, რომელმაც ის სოფელში შემთხვევით ჩამოსულ უცხოელ ჟურნალისტს მოუყვა.

საქინეს ისტორიამ ფილმს განსაკუთრებული აქტუალობა შესძინა. წელს მას ხელმეორედ უჩვენებენ მსოფლიო ეკრანებზე.

ამბობენ, რომ ამ ფილმმა საქინეს ვაჟს დედის უფლებებისთვის ბრძოლა შთააგონა.

1979 წელს, ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ შარიათი ამ ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველი ოფიციალურად გახდა. თუ შაჰის მმართველობის დროს ცოლ-ქმრული ღალატის გამო ქალები მხოლოდ ჯარიმით და საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებით ისჯებოდნენ, დღეს მოღალატე ქალისთვის მხოლოდ სასიკვდილო განაჩენი გამოაქვთ.

ქვით ჩაქოლვის და სიკვდილით დასჯის ნებისმიერი სტატისტიკა ირანში საიდუმლო ინფორმაციაა. თუმცა,

საერთაშორისო ორგანიზაციები ბოლო 15 წლის განმავლობაში ირანში, ნიგერიაში, სომალიში, სუდანში, ერაყში, ავღანეთსა და პაკისტანში ქვით ჩაქოლვის ათასზე მეტი შემთხვევის შესახებ იტყობინებიან.

როგორც Amnesty International-ი ამბობს, გასულ წელს ირანში ქვებით ჩაქოლვას 11 ადამიანი ელოდა, აქედან 9 ქალი.

„მე თურქული ფესვები მაქვს და სპარსულად წერა-კითხვა არ შემიძლია. როდესაც მოსამართლემ განაჩენი გამოაცხადა, ვერც მივხვდი, რომ ჩაქოლვა მომისაჯეს. მათ სასჯელის წერილის ხელმოწერა მთხოვეს, რაც გავაკეთე კიდეც. საკანში დაბრუნების შემდეგ ჩემი განაჩენი მეზობელმა პატიმარმა გადამითარგმნა. გული წამივიდა. რატომ მემუქრება ეს მე? პასუხი მარტივია: ქალი ვარ. ამ ქვეყანაში ფიქრობენ, რომ ქალი ყველანაირი სასჯელის ღირსია. ამ ქვეყანაში ქალები უუფლებონი არიან, მათ განქორწინების უფლებაც არ აქვთ,“ – წერია საქინეს ერთ-ერთ წერილში.

„გთხოვთ, ნუ დაუშვებთ, რომ სიკვდილით ჩემი შვილის თვალწინ დამსაჯონ,“ – ეს, შესაძლოა, საქინეს უკანასკნელი თხოვნა იყო.

საჯადი და საიდე 2006 წელს დაობლდნენ, როდესაც მამა მოუკვდათ. იმავე წელს მათი დედაც დააპატიმრეს. ღალატში ბრალდებული საქინე მალე ქმრის მკვლელობაშიც დაადანაშაულეს.

„ძვირფასო დედა, ძალიან დავიღალეთ. ისე გვენატრება შენი სითბო და თანადგომა. დავიღალეთ ამდენი ბრალდებებისგან. გვიჭირს და გვეშინია ამ ცხოვრებაში მარტო დარჩენა. უძვირფასესო დედა, უკვე წლებია ჩვენს ცხოვრებაში აღარ ხარ, არც შენ და არც მამა. სულ კარებს ვუყურებთ იმედით, რომ შენ შემოხვალ. საკუთარ თავს ვეკითხებით: ვინ ვართ? რატომ ვართ აქ? რა აზრი აქვს ჩვენს არსებობას? მხოლოდ ტანჯვა? კიდევ რამდენი ხანი? ახლა მხოლოდ ერთმანეთი დაგვრჩა. მაშინ, როდესაც სხვა პატარა გოგონები დედის კალთაში თბილად თამაშობენ, ჩემი პატარა დაიკო შენი ციხის მაღალ ღობესთან ყინვაში დგას და შენთან შეხვედრას ელის. როდესაც ჩემი ტოლი ბიჭები მამებთან ერთად საშინაო დავალებას ამოწმებენ, მე საკუთარი მამის მკვლელობის, დედის ღალატში დადანაშაულებისა და ქვით ჩაქოლვის მოწმე ვარ,“ – დღემდე არ არის ცნობა, წაიკითხა თუ არა საჯადის ბოლო წერილი მისმა დედამ.

არავინ იცის, ახლა რა მდგომარეობაშია საქინე – თავრიზის საპყრობილის 24 ტუსაღს შორის ერთ-ერთი, რომელიც სიკვდილით დასჯას ყოველ წამს ელის.

ირანი და საქართველო

თეირანისკენ - სიფრი სვლით

მოხდება თუ არა ირანთან ურთიერთობის დათმობა საქართველო-ამერიკის პარტნიორობის ხარჯზე?

ემილ სულეიმანოვი

ირანსა და საქართველოს შორის უვიზო რეჟიმის შემოღებამ, პირდაპირი ავიარეისების დანიშვნამ და ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია: უნდა აღვიქვათ თუ არა რეგიონში აშშ-ს მთავარი მოწინააღმდეგის – ირანის – მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი ტრადიციული პროამერიკული კურსიდან გადახვევად? უნდა განვიხილოთ თუ არა ეს მოვლენები ქართულ-ამერიკული სტრატეგიული პარტნიორობის შესუსტების კონტექსტში, რისი მოწმეც ვაშინგტონში ბარაკ ობამას მოსვლის შემდეგ ვხდებით?

2008 წლის შემდეგ ამერიკის პოლიტიკა, სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში, მართლაც შეიცვალა. თეთრი სახლის ახალი ადმინისტრაციის ყურადღება შიდაპოლიტიკურ, კერძოდ – ეკონომიკურ საკითხებზე გადავიდა.

ბოლო წლებში ამერიკაში მოვლენები გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე მიმდინარეობდა, რომლის გავლენა განსაკუთრებულად იპოთეკური და საბანკო კრიზისის ფონზე იგრძნობოდა. შიდაპოლიტიკური სახის ზოგი საკითხი ახალ პრიორიტეტებს შეეწირა. კავკასიასა და კასპიის რეგიონში ჯორჯ ბუშის შედარებით სწორხაზოვანი შიდა პოლიტიკისგან განსხვავებით, რომლის მიზანსაც რუსული გავლენის შემცირება წარმოადგენდა, მოსკოვთან მიმართებაში „გადატვირთვის“ პოლიტიკა ამოქმედდა.

თავის მხრივ, დათმობაზე წავიდა რუსეთიც, თანაც, ამერიკისთვის ისეთ სტრატეგიულ საკითხებში, როგორიც ნატოს ავღანურ კამპანიაში მონაწილეობა და ირანის ატომური პროგრამაა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რომლის დროსაც ვაშინგტონი „ვერბალური დიპლომატიით“ შემოიფარგლა, ამერიკული მხარდაჭერის შესუსტებას თბილისში ცივად შეხვდნენ. ეს ბუნებრივიც არის, რადგან საუბარია ქვეყანაზე, რომელიც სხვა ყველაფრის გარდა, ერაყში და ავღანეთში აშშ-ს და ნატოს სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობს და სამხედრო დანაკარგებს ინაწილებს.

თუმცა ირანსა და საქართველოს შორის უვიზო რეჟიმის შემოღება ამერიკულ-ქართული ურთიერთობების გაცივებად არ უნდა აღვიქვათ. საქართველოსთვის ამას ნათელი, ეკონომიკური დატვირთვა აქვს. თანამედროვე ირანი 75-მილიონიანი ქვეყანაა, სადაც სოლიდური საშუალო ფენა არსებობს. ქვეყანა ტურისტული შესაძლებლობების მხრივაც საინტერესოა. რეფორმისტულად განწყობილმა ქალაქელმა ირანელებმა, რომელთაც გაცილებით თავისუფალ სახელმწიფოში ცხოვრება სურთ, თურქული კურორტების, სომხეთის და აზერბაიჯანის ვიზიტებს მოუხშირეს.

ვაშინგტონში ეს მოვლენები საქართველოს ამერიკული ორბიტიდან გასვლად არ უნდა აღიქმებოდეს. იმიტომ, რომ ასწლოვანი საერთო ისტორიის მიუხედავად, ირანისა და საქართველოს კულტურული და პოლიტიკური მიზნები ძალიან განსხვავდება.

სამხრეთ კავკასიური ქვეყნები ირანელებისთვის ერთგვარი სამოთხეა. ერევანი, მაგალითისთვის, 10 მილიონიანი თეირანიდან ნახევარი საათის ფრენაშია. ეს ქალაქი უკვე იქცა ბევრი ახალგაზრდა ირანელის საყვარელ ადგილად, სადაც უქმეების თავსაბურავების გარეშე გატარების, რესტორნებში ალკოჰოლის მიღების, ღამის ცხოვრებით დატკბობის და საყვარელ ადამიანთან ერთად სასტუმროს ნომრის აღების საშუალება აქვთ.

ერევანში და ბაქოში ხშირად იმართება ირანის რევოლუციის შემდეგ ქვეყნიდან ემიგრირებული ესტრადის მომღერლების კონცერტები, რომელთაც საკუთარ ქვეყანაში შესვლა ეკრძალებათ. ერევნის ბიუჯეტს ირანული ტურიზმის წყალობით ათობით მილიონი დოლარი შესდის. თბილისს სავიზო რეჟიმის გაუქმების შემთხვევაში იგივე მოლოდინები აქვს.

თეირანი, თავის მხრივ, დაინტერესებულია, საკუთარი ინტერესების სფეროში არსებულ ნებისმიერ მეზობელ სახელმწიფოსთან მოაგვაროს ურთიერთობები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ირანთან უშუალო საზღვარი არ გააჩნია და არც ირანის სტრატეგიული ისლამური ინტერესების სფეროში ჯდება, თეირანში ამ სამხრეთ კავკასიულ სახელმწიფოს მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება (გაცილებით დიდი დატვირთვა აქვს სომხეთსა და აზერბაიჯანს). ირანის თეოკრატიული რეჟიმი საქმის კურსშია, თუ რით არიან მათი თანამემამულე ტურისტები ერევანში დაკავებულნი, თუმცა თვალებს ხუჭავს – ამ ყველაფრის ირანში კეთება გაცილებით დიდი დანაშაული იქნებოდა.

ვაშინგტონში ეს მოვლენები საქართველოს ამერიკულ ორბიტიდან გასვლად არ უნდა აღიქმებოდეს. პირველ რიგში იმიტომ, რომ ასწლოვანი საერთო ისტორიის მიუხედავად, ირანისა და საქართველოს კულტურული და პოლიტიკური მიზნები ძალიან განსხვავდება. მეორეც, ბოლო წლებში ამერიკას საქართველოს მისამართით საკმაოდ უმნიშვნელო ნაბიჯები აქვს გადადგმული იმისთვის, რომ მას ირანის აბსოლუტური იგნორირება მოსთხოვოს. გაცილებით სახიფათო იქნებოდა თბილისის ორიენტაციის მოსკოვის მიმართულებით გადატანა, რაც რეალური სიტუაციის გათვალისწინებით, პრინციპში, შეუძლებელია. ასე რომ, როგორც იტყოდნენ, ბაღდადში სიმშვიდეა.

მიხეილ ხოდორკოვსკის სასამართლო პროცესი, 6 აპრილი 2010

მიხეილ ხოდორკოვსკის საქმე

ძალმომხეობასთან ბრძოლის სიმბოლო

ხოდორკოვსკის სასამართლოს იმედი არ აქვს. ღმერთო, დაიფარე მოქალაქე ანდრეი ხარტლი!

ქეთი ქანთარია

მწერალ ლიუდმილა ულიცკაიას მდიდრები არ უყვარდა. თუმცა, რუსეთის რეგიონებში მოგზაურობისას ერთი რამ მოხვდა თვალში: ძალიან ბევრ სკოლაში მაშინ ზეობაში მყოფი მაგნატის, მიხეილ ხოდორკოვსკის სოციალური პროგრამები მოქმედებდა. წლების შემდეგ, მან ციხეში მყოფ ხოდორკოვსკის სიმპათიის და თანაგრძნობის ნიშნად წერილი გაუგზავნა. ცნობილი ტუსაღი პასუხად წერდა, რომ თურმე შალამოვი ყოფილა მართალი, და არა სოლჟენიცინი, რომელიც თვლიდა, რომ პატიმრობა ადამიანს აძლიერებს. შალამოვი კი ამბობდა, რომ ციხე არაბუნებრივი გარემოა, რომელიც ადამიანის დეგრადირებას იწვევს. თუმცა, ხოდორკოვსკის გაუტეხელობა, თავდაჭერილობა, უცვლელად კორექტული ტონი, რისი მოწმეცაა რუსული საზოგადოება, სწორედ პირველ შეხედულებას ადასტურებს.

ნავთობკომპანია „იუკოსის“ დამფუძნებელსა და თანამფლობელს, ხოდორკოვსკის და ამავე კომპანიის მმართველს, პლატონ ლებედევს 2005 წელს, ორწლიანი პატიმრობის შემდეგ ბრალი „იუკოსის“ შვილობილი კომპანიების აქციების მითვისებაში, შემდეგ მათ გათეთრებაში, 350 მლნ. ტონა ნავთობის საფასურის დატაცებაში („ამდენი ნავთობით რომ მატარებლის შემადგენლობა დატვირთო, ეკვატორს სამჯერ შემოერტყმება,“ – ამბობს ხოდორკოვსკი) დაედოთ ბრალი. სახელმწიფო აპარატის მცდელობების მიუხედავად, ბრალის დამტკიცება შეუძლებელი აღმოჩნდა. 2011 წელს მათ პატიმრობის ვადა გასდიოდათ, მაგრამ შარშან, 2009 წლის დასაწყისში ხოდორკოვსკისა და ლებედევის წინააღმდეგ მეორე პროცესი დაიწყო.

ის, რომ „იუკოსის“ ყოფილ შეფებს ბრალი კვლავ წინა პროცესის ეპიზოდებში ედებათ, ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამაც კი აღნიშნა და მედვედევს პრესის მეშვეობით პოლიტიკურად მოტივირებულ ბრალდებაზე მიუთითა. „ხოდორკოვსკიმ გასათავისუფლებლად სამი რამ უნდა გააკეთოს“, პრესითვე უპასუხა მედვედევმა – „პრეზიდენტს მიმართოს, დანაშაული აღიაროს და შეწყალება ითხოვოს“.

ეს სწორედ ისაა, რასაც ბრალდებულები არ თანხმდებიან, ბუნებრივიცაა, მათ ხომ ბრალეულობა არ უდასტურდებათ. პროცესი აშკარად კაფკასეულ ასოციაციებს იწვევს. აბსურდული მართლაც ბევრია: პუტინისთვის ხოდორკოვსკის მეორე პროცესზე ხან არაფერია ცნობილი, ხან, სადაცაა, მის გათავისუფლებას მოელის (როგორც მანქანით სეირნობისას ერთ კორესპონდენტს მიუგო, ხოდორკოვსკიმ გადასახადებთან დაკავშირებით რაღაც „იმამაძაღლა“, ვადას მოიხდის და გათავისუფლდება), ხანაც აცხადებს, რომ ყოფილ მაგნატს ხელები „სისხლში აქვს ამოთხვრილი“.

მეორე პროცესი დაახლოებით ოცი თვეა გრძელდება და დეკემბერში უნდა დასრულდეს. ამჯერად ბრალდება ხოდორკოვსკისა და ლებედევისთვის 14-წლიან პატიმრობას ითხოვს, ამ ვადას კი წინასწარ პატიმრობაში უკვე გატარებული 8 წელი გამოაკლდება.

ხოდორკოვსკი მხნეობას ინარჩუნებს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ სიცოცხლეში გათავისუფლება არ ეღირსება. 2 ნოემბერს ხომოვნიკის სასამართლოში მან განაჩენის გამოტანამდე უკანასკნელი სიტყვა წარმოთქვა. ესეც პირქუშად ჟღერს. თუმცა, ამ ადამიანმა პატიმრობის წლებში ისეთი სიმბოლური კაპიტალი მოიპოვა, რომელიც მას მსოფლიოს ბევრი გამოჩენილი დისიდენტის გვერდით აყენებს. თავის დროზე, მათი გათავისუფლებაც უიმედო საქმედ ჩანდა,

მიხეილ ხოდორკოვსკი 1963 - ?

1981–86 – სწავლობს მოსკოვის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, არის კომკავშირის აქტივისტი.

1989 – აარსებს პირველ კომერციულ ბანკს, რომელიც შემდგომ „მენატეპის“ სახელითაა ცნობილი.

1996 – მსხვილი მეწარმეების, მათ შორის, ხოდორკოვსკის მხარდაჭერით, ქვეყნის პრეზიდენტი ელცინი ხდება.

2003 – ოპოზიციურ „იაბლოკოს'' პარტიის ფინანსური მხარდაჭერის შესახებ ღიად აცხადებს.

– მოსდის კონფლიქტი ვ. პუტინთან „ჩრდილოეთის ნავთობის“ გაყიდვისა და ჩინეთის დასავლეთ ნაწილში ნავთობსადენის გაყვანაზე უარის მიღების გამო.

– „იუკოსის“ და „სიბნეფტის“ აქტივები ერთიანდება, რაც იუკოსს მსოფლიოში სიდიდით მეოთხე ნავთობმომპოვებელ კომპანიად აქცევს, მარაგების მხრივ – მეორე კომპანიად.

– მიხაილ ხოდორკოვსკის და პლატონ ლებედევის დაპატიმრება გადასახადების გადაუხდელობისა და დატაცების ბრალდებით.

2005 – „მეშჩანსკი“ სასამართლო მათთვის თავისუფლების ცხრა წლით აღკვეთის და შრომა-გასწორებით ბანაკში გამწესების გადაწყვეტილებას იღებს.

2005 – ხოდორკოვსკის პირველი, მშრალი შიმშილობა კარცერში გამწესებული ლებედევის მხარდასაჭერად.

2008 – მესამე, ორკვირიანი შიმშილობა დაავადებული პატიმრის, ალექსანიანის კლინიკაში გადაყვანის მოთხოვნით. ხოდორკოვსკის მოთხოვნა დააკმაყოფილეს.

2009 – მოსკოვის ხამოვნიკის სასამართლოში დამატებითი ბრალდებების საფუძველზე ახალი პროცესი იწყება.

მიხეილ ხოდორკოვსკის მხარდამჭერი დემონსტრაცია, 30 ოქტომბერი 2008

მაგრამ თავისუფალ სამყაროს ასეთი ადამიანები თავისუფლები ჭირდება და დროთა განმავლობაში, აღწევს ამას.

არავისთვისაა საიდუმლო, რომ ხოდორკოვსკი პუტინის პირადი პატიმარია. ასე რატომ ეშინია მას ხოდორკოვსკის გათავისუფლების? კითხულობს რუსი მიმომხილველი. ნუთუ კონკურენტად აღიქვამს? ვინ აირჩევს ასეთი წარსულის ადამიანს რუსეთში პრეზიდენტად? ხოდორკოვსკის, მისივე დამცველების გარდა, უმეტესად პატიოსანი და უჩინარი ინტელიგენცია უჭერს მხარს. არავის დავიწყებია, რომ რუსეთის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს და მის ოჯახს ცხოვრების ნირი მის საუკეთესო წლებშიც არ შეუცვლიათ და „ახალი რუსის“ სენი არ შეყრიათ. ეს დიდი იშვიათობაა ამ ქვეყანაში. ხოდორკოვსკი ამ მხრივაც ინტელიგენტი და ევროპელია. ხოდორკოვსკი ებრაელიცაა. მის „წარსულს“ ეს სამი შტრიხიც ამძიმებს.

„თუ შეიძლება, ნუ დაივიწყებთ ჩემს შვილს,“ – უთხრა პოლონელ ჟურნალისტს ხოდორკოვსკის დედამ, – „მისი ხვედრი ახალგაზრდა რუსეთის ბედს ასახიერებს.“

ახალგაზრდა რუსეთი მეტისმეტად ჭრელია და აღსაწერად ძნელად მოსახელთებელი რამეა... წელს, აპრილში, ოციოდე წლის ახალგაზრდა, ანდრეი ხარტლი სამთავრობო შავი „ჩლენოვოზების“ (როგორც ხალხში ეძახიან – რუსული ხომ გვახსოვს) კორტეჟს თავის მანქანით გადაუდგა წინ და გზა არ დაუთმო. რეჟიმის ყოვლისმხედველმა თვალმა ხარტლი შენიშნა, მაგრამ დროულად რეაგირება ვერ მოასწრო. ახლა ხარტლის ჟურნალისტები ინტერვიუს ასაღებად ესევიან. რა თქმა უნდა, რუსეთი გადაჭარბებების ქვეყანაა და ახალგაზრდა კაცი დაუყოვნებლივ გმირად აქციეს. ახლა რუსეთის მცირე, გონიერი, მაგრამ უძალო ნაწილი მოსამართლე დანილკინს ახალგაზრდა ხარტლის ახსენებს და მისგან მოულოდნელი გმირობის ჩვენებას ელის.

მოსამართლე დანილკინს ხოდორკოვსკიმაც შეახსენა, რომ მისი გადაწყვეტილება ისტორიაში შევა, და გამბედაობა უსურვა. როგორიც უნდა იყოს მოსამართლის განაჩენი, გამბედაობა მას ნამდვილად დასჭირდება. „ალბათ რომანტიკული იდიოტი ვარ,“ – ამბობს ხოდორკოვსკის ერთი ცნობილი მომხრე, – „მაგრამ 15 დეკემბერს დიდ სამოქალაქო საჩუქარს ველოდები. ნუთუ ახალი წლის წინ შეიძლება, სხვაგვარად მოხდეს?“

ულიცკაიას პასუხად გამოგზავნილი წერილები შარშან „დიალოგების“ სათაურით წიგნად გამოიცა და შარშან „ზნამიას“ ლიტერატურული პრემია ერგო. ხოდორკოვსკის გონიერი მომხრეები ჰყავს, მაგრამ უსუსური.

ციტატები მიხეილ ხოდორკოვსკის ბოლო სიტყვიდან

>>> „ქვეყანა, რომელიც ძალოვან ბიუროკრატიას სწყალობს და თავისი ინტერესებისთვის ასობით ათას ნიჭიერ მეწარმეს, მენეჯერსა და უბრალო მოქალაქეს კრიმინალებთან ერთად ციხეში ამწყვდევს |– ავადმყოფი ქვეყანაა“.

>>> „მე ვიხსენებ 2003 წლის ოქტომბერს, ჩემი თავისუფლების ბოლო დღეს. დაპატიმრებიდან რამდენიმე კვირაში შემატყობინეს, რომ პრეზიდენტმა პუტინმა გადაწყვიტა: მე რვა წელიწადი უნდა მეთქვლიფა ციხის ულუფა. მაშინ ამის დაჯერება ძალიან რთული იყო“.

>>> „მე სულაც არ ვარ იდეალური, მაგრამ ვარ ადამიანი, რომელიც იდეით ცხოვრობს. როგორც ნებისმიერს, მეც მიჭირს ციხეში ცხოვრება და არ მინდა, აქ მოვკვდე. მაგრამ თუ საჭიროა, ამაზეც თანახმა ვარ. ის, რისაც მე მჯერა, ღირს ცხოვრების დათმობად. თქვენ რის გჯერათ ოპონენტებო? იმის, რომ ბოსი ყოველთვის მართალია?“

>>> „ვიცი, რომ არიან ადამიანები, ვისაც ჩვენი სამუდამოდ ციხეში დარჩენა უნდა. ისინი არც მალავენ ამას, სავჯაროდ ახსენებენ ყველას ჩვენი საქმის „უსასრულო“ მასალების შესახებ. მათ უნდათ აჩვენონ, რომ კანონზე მაღლა დგანან, რომ ისინი ყოველთვის აისრულებენ ჩანაფიქრს. ჯერჯერობით კი საპირისპიროს მიაღწიეს – უბრალო ადამიანებისგან მათ ძალმომრეობასთან ბრძოლის სიმბოლო შექმნეს.“

>>> „ყველას ესმის, რომ თქვენი განაჩენი ამ საქმეზე, როგორიც უნდა იყოს იგი, რუსეთის ისტორიის ნაწილად იქცევა. ყველა სახელი დარჩება ისტორიაში — ბრალმდებლებისაც და მოსამართლეებისაც, როგორც იმათი, რომლებიც ცნობილი საბჭოთა პროცესების შემდეგ დარჩნენ ისტორიაში. თქვენო აღმატებულებავ, მე ძალიან კარგად მესმის, რომ ეს არ არის თქვენთვის ადვილად მისაღები გადაწყვეტილება, შეიძლება, საშიშიც კი იყოს. ამიტომ, მე გამბედაობას გისურვებთ!“

ფოტო: თემო ბარამიძე/ეკა

სერვისი ქართულად

გაყიდული საქონელი უკან აქ მიიღება!

სამომხმარებლო ბაზრის გაუმჯობესება რიგითი მომხმარებლების ხელშია.
მათ საკუთარი უფლებების დაცვა უნდა ისწავლონ.

სოფო ბუკია, ეკა ჭითანავა

გახსოვთ ისტორია ამერიკელ ქალზე, რომელმაც ცხელი ყავა გადაისხა და მესამე ხარისხის დამწვრობა მიიღო?

თებერვლის ერთ სუსხიან დილას სტელა ლიბეკმა მანქანის ფანჯრიდან „მაკდონალდსში“ 49 ცენტად ყავა იყიდა. ლიბეკმა ჭიქა მუხლებს შორის დაიდო და სახურავი მოქაჩა – ჭიქა გადავარდა და მდუღარე სითხე ფეხებზე დაესხა. დამწვრობა იმდენად მძიმე იყო, რომ ლიბეკს კანის გადანერგვაც კი დასჭირდა. ორ წელიწადში 79 წლის ქალბატონი ნახევარი მილიონის მფლობელი გახდა – ამერიკის სასამართლომ „მაკდონალდსს“ ლიბეკისთვის ფიზიკური და მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა. და ეს იმიტომ, რომ ჭიქას არ ჰქონდა გამაფრთხილებელი წარწერა – „ჭიქაში ცხელი სითხეა!“

18 წლის წინ მომხდარი ამ ინციდენტის შემდეგ, „მაკდონალდსმა“ უსაფრთხოების ზომები გაამკაცრა. ასე მოიქცნენ სხვა რესტორნებიც. სტელა ლიბეკის საქმე კი მომხმარებელთა უფლებების დაცვის ქრესტომათიულ მაგალითად იქცა.

საინტერესოა, გადაწყვეტდა თუ არა ქალბატონი ლიბეკი საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლას, საქართველოს მოქალაქე რომ ყოფილიყო?

ბევრმა არც კი იცის, რომ როცა მაღაზიაში, მაგალითად, რძეს ყიდულობს, მას „მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონი“ იცავს, რომელიც საქართველოში 1996 წელს მიიღეს.

კანონში წერია, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს, შეიძინოს უსაფრთხო და ხარისხიანი პროდუქტი.

გამყიდველი კომპანია ვალდებულია, კლიენტს დროულად მიაწოდოს პროდუქტის შესახებ ინფორმაცია და თუკი საქონელი უხარისხო აღმოჩნდება, დაიბრუნოს და მომხმარებელს თანხა აუნაზღაუროს.

თუ კანონი დაირღვა, კანონმდებლობა მომხმარებელს სასამართლოში ჩივილის უფლებას აძლევს, თუმცა ამ უფლებას საქართველოში ძალიან იშვიათად იყენებენ.

27 წლის ეკა კობიაშვილი იხსენებს, რომ ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში 80 ლარად ზამთრის ყავისფერი ფეხსაცმელი იყიდა.

„რამდენჯერმე მეცვა, მაგრამ შემდეგ წვიმაში მოვხვდი და ჩემი ყავისფერი ფეხსაცმელი თითქმის გათეთრდა. საღებავი გაეცალა. როცა მაღაზიას მივაკითხე, არც ფული დამიბრუნეს და არც სხვა ფეხსაცმელში გამიცვალეს. იურისტებთან წასვლაზე და სასამართლოში ჩივილზე არც მიფიქრია. გამყიდველებს ვეჩხუბე და წამოვედი. 80 ლარი წყალში გადავყარე,“ – ჰყვება ეკა.

უფრო მარტივად გვარდება პრობლემა, როცა საქმე სურსათს ეხება. თუ თქვენ მაღაზიას სალაროს ქვითრით მიაკითხავთ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციის მონაცემებით, 100-დან 95 შემთხვევაში, მაღაზია ვადაგასულ ან წუნიან საქონელს უკან მიიღებს და თანხას დაგიბრუნებთ.

ქვითარი (ჩეკი), რომელსაც ქართველ მომხმარებელთა დიდი ნაწილი დახლზევე ტოვებს, ის აუცილებელი დოკუმენტია, რომლითაც თქვენ საკუთარი უფლების დაცვა ბევრად უფრო თამამად შეგიძლიათ.

ვადაგასული საკვები; სახის კრემი, რომელიც თურმე ალერგიულია, მა-

სუსსათის უვნებლობა

ფოტო: თემურ ბაღაშვილი

კარაქი, რომელიც თქვენ გუშინ სუპერმარკეტში იყიდეთ, არავის შეუმოწმებია.

საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობა არც ერთ უწყებას არ ავალდებულებს, შეამოწმოს სურსათის ვარგისობა.

კონტროლის მექანიზმი მხოლოდ ევროკავშირში ექსპორტიორი სურსათის მწარმოებლებისთვის მოქმედებს. დანარჩენი საწარმოებისთვის კი, ამ მექანიზმის ამოქმედება სხვადასხვა დროს იგეგმება: მაღალი რისკის სურსათის მწარმოებლების კონტროლი 2013 წლის 1 იანვრიდან დაიწყება, სხვა სურსათის საწარმოებისთვის კი – 2015 წლის პირველი იანვრიდან.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობაზე პასუხისმგებელი სამსახური სარეალიზაციო ქსელში მავნებელი სურსათისა და ფალსიფიცირების ფაქტების გამოვლენის მიზნით კვლევებს 2006 წლიდან ყოველწლიურად ატარებს. თუმცა, 2009 წლიდან ამ სამსახურს, რომელიც ამ სფეროში ერთადერთი მაკონტროლებელია, ახალი კანონი სურსათის ხარისხის რეგულარულ შემოწმებას და საწარმოებში საკუთარი ინიციატივითა და კონკრეტული საჩივრის გარეშე შესვლას უკრძალავს. შემოწმება მხოლოდ მონიტორინგის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ხდება.

გასულ წელს ამ სამსახურმა 39 დასახელების სურსათის 1945 ნიმუში შეამოწმა, მათ შორის, სასმელი წყალიც. (ერთ სუპერმარკეტში 10 ათასზე მეტი დასახელების პროდუქციაა წარმოდგენილი).

წლის ბოლოს გამოქვეყნებული ლაბორატორიული კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ

გრამ ქართულ ეტიკეტზე ამის შესახებ არაფერი წერია; ორი კვირის წინ ავეჯის მაღაზიაში ნაყიდი და რამდენიმე დღეში მორყეული 6-ვე სკამი; წყლის გადასახადის გადაუხდელობის გამო გათიშული ელექტროენერგია; სააბონენტო გადასახადის ყოველთვიურად გადახდის მიუხედავად შეფერხებული ინტერნეტ-მომსახურება; ლუქის გარეშე დარჩენილ საკანალიზაციო ჭაში ჩავარდნილი ავტომანქანა, რომელსაც საბურავი დაუზიანდა; ერთი თვის წინ გამოცვლილი მილები, საიდანაც მეზობელს წყალი ჩასდის; ავტობუსის გაჩერებაზე ჩვეული №5-ის ლოდინი, რომელიც თურმე მერიამ უკვე ხაზიდან მოხსნა – ქართველი მომხმარებელი თითქმის ყოველდღიურად ხდება „სერვისის“ მსხვერპლი.

მიუხედავად ამისა, იურისტები ვერ იხსენებენ შემთხვევას, როცა მომხმარებელმა საკუთარი უფლებების დასაცავად სასამართლოში იჩივლა.

„ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ იურიდიული პროცედურები საკმაოდ რთული, დროში გაწელილი და ძვირია,“ – ამბობს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენელი, იურისტი ლიკა თოდუა.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ (საია) იურისტ-კონსულტანტი ქეთი კრაწაშვილი ამბობს, რომ საია-ს ხშირად აკითხავენ დაბნეული მომხმარებლები, რომლებიც სასამართლოში ჩივილისთვისაც არიან მზად, თუმცა არც ქვითარი აქვთ შენახული და არც სხვა დოკუმენტები.

ქართველი იურისტები თანხმდებიან – პრობლემა ის არის, რომ ზოგ შემთხვევაში, გამყიდველებისა და მწარმოებლების არაკეთილსინდისიერებასთან ერთად, ქართველი მომხმარებლების სამომხმარებლო კულტურაც საკმაოდ დაბალია.

„მათ არ იციან საკუთარი უფლებები. ხშირად ელემენტარულ რამეზე მირეკავენ და ვეუბნები: მიიტანეთ ქვითარი და ამირანი ახსენეთ, დაფრთხებიან, როგორც კი გაიგებენ, რომ საქმეში მომხმარებელთა ასოციაციაა ჩართული-მეთქი. მე ბევრი მიცნობს“ – ამბობს ამირან შენგელია, საქართველოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

გარდა ინდივიდუალური შემთხვევებისა, ზოგჯერ მოტყუებული შეიძლება, ერთდროულად ათასამდე მომხმარებელი აღმოჩნდეს.

ერთი წლის წინ ნაციონალურ ტელეარხებზე აქტიური სარეკლამო კამპანია გაიშალა, რომელიც თბილისელებს ირლანდიელ მოცეკვავეთა დასის „რივერ დანსის ვარსკვლავების“ კონცერტზე დასასწრებად ეპატიჟებოდა. გაიყიდა ყველა ბილეთი. 25 ოქტომბერს დიდ საკონცერტო დარბაზში, რომელიც 2 ათას მაყურებელს იტევს, „ცეცხლოვანი შოუს“ სანახავად მისულებს ლეგენდარული „რივერ დანსის“ ნაცვლად სცენაზე სრულიად სხვა დასი დახვდათ. ბილეთში გადახდილი თანხა (ფასი 200 ლარს აღწევდა) მოტყუებულ მოქალაქეებს აღარავინ დაუბრუნა.

„რივერ დანსის“ შემთხვევა თბილისის ფორუმის ინტერნეტგვერდზე ცხარე განხილვის თემად იქცა, ზოგი სასამართლოში ჩივილითაც იმუქრებოდა, თუმცა მუქარა არავის შეუსრულებია.

ოქტომბრიდან ამოქმედდა კანონი,

დარღვევები და სხვადასხვა ტიპის შეუსაბამობები 320 ნიმუშში აღმოჩნდა.

სამსახურმა 154 დადგენილება გამოიტანა სურსათის საკვებად ან სასმელად გამოყენების უვარგისობისა და ბაზარზე გატანის აკრძალვასთან დაკავშირებით.

ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მასობრივი ხასიათის დარღვევები რძის პროდუქტებში შეინიშნება.

მაგალითად, გამოკვლეული კარაქის ნიმუშების უმრავლესობაში ცხიმიანობა ნორმაზე დაბალი აღმოჩნდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ კარაქში შერეულია მარგარინი ან მცენარეული ცხიმი.

მასობრივი დარღვევებია აღმოჩენილი ძეხვეულის ლაბორატორიული გამოკვლევისას. ძეხვეულში ხშირია სახამებლის ისეთი შემცველობა, რაც მიუთითებს, რომ ფალსიფიცირებულია.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პროგრამაში, რომელშიც საქართველოც ჩართულია, ცალკე ქვეთავი და განსაკუთრებული ყურადღება სურსათის უვნებლობას ეთმობა.

თანამშრომლობის მიზანია, პროგრამის მონაწილე ყველა ქვეყნის ნაწარმი მოხვდეს ევროპის ბაზარზე.

ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის მსურველმა იმპორტიორმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი პროდუქცია არ არის მავნებელი და ის ევროკავშირის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. ეს მოთხოვნები კი სურსათის წარმოების ყველა ეტაპს მოიცავს — ნედლეულის ხარისხით დაწყებული ეტიკეტის სავალდებულო სტანდარტის ჩათვლით.

სურსათის უვნებლობის საკითხის 2017 წლამდე გადადებას ხელისუფლება ორი მთავარი არგუმენტით ხსნის – მაკონტროლებელი ორგანოს შესაძლო კორუმპირებულობითა და ადგილობრივი ბიზნესის მოუმზადებლობით.

ევროკავშირისკენ გზებს ინდივიდუალურად ეძებენ ადგილობრივი მეწარმეები და ბაზარზე გასასვლელად საჭირო სტანდარტებს თავად ნერგავენ.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი მათ სტანდარტების დანერგვას არ ავალდებულებდა, გასული წლის მონაცემებით, 24-მა ადგილობრივმა კომპანიამ სტანდარტები თავისი ინიციატივით დანერგა.

საკონსულტაციო კომპანია GDCI-ის დირექტორის, ეკატერინე ქიმერიძის თქმით, ქართული კომპანიები თავად არიან დაინტერესებულნი უვნებლობის სტანდარტების დანერგვით, რადგან ეს მათ სანდოობას ზრდის.

ფოტო: ეთერ ბაბიკაშვილი

რომლის მიხედვითაც, თუ თბილისელი მომხმარებლები არ დაფარავენ დასუფთავებისა და წყლის კომუნალურ გადასახადებს, მათ ელექტროენერგია გაეთიშებათ იმ შემთხვევაშიც კი, თუ დენის გადასახადს სრულად და დროულად დაფარავენ.

„იმის გამო, რომ სახელმწიფოს გადასახადების კონტროლის ბერკეტი არ აქვს, სხვა კომპანიასთან (ამ შემთხვევაში „თელასთან") დადებული ხელშეკრულებით ზემოქმედებს, რაც ელექტროენერგიის მომხმარებელთა უფლებების უხეში დარღვევაა", – ამბობს იურისტი ქეთი კრაწაშვილი.

ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ საია-ს უფასო იურიდიული კონსულტაციისთვის არაერთმა მოქალაქემ მიაკითხა.

„ერთ-ერთმა მომხმარებელმა სასამართლოში ჩივილიც დააპირა, მაგრამ როცა გაიგო, რა პროცედურების გავლა მოუწევდა, გადაიფიქრა," – დასძენს კრაწაშვილი.

საქართველოსგან განსხვავებით, მაგალითად მეზობელ რუსეთში, სადაც მომხმარებელთა უფლებებისთვის ბრძოლას ასევე დღეს სწავლობენ, ამ სფეროში სასამართლო დავების რაოდენობა ყოველ წელს 30 პროცენტით მატულობს.

„ნებისმიერმა ბიზნესმენმა იცის, თუ კლიენტი უკმაყოფილო დარჩა, იგი ამის შესახებ სულ მცირე ექვს მეგობარს მოუყვება, ხოლო თუ ეს კლიენტი იმ წუთას ინტერნეტშია, ამის შესახებ ერთდროულად მისი 6000 „ფრენდი" შეიტყობს."

ამერიკაში მომხმარებელთა უფლებების დაცვა სარფიანი ბიზნესია. 2009 წელს ამერიკის სასამართლოებმა მომხმარებელთა 7 566 საქმე განიხილეს. გასულ საუკუნეში, როცა მომხმარებელთა უფლებებისთვის აქტიური ბრძოლა იწყებოდა, ეს რიცხვი გაცილებით დიდი იყო. ამერიკის იურისტთა ასოციაციის მონაცემებით, იმ ადვოკატებთან კონსულტაცია, რომლებიც მსგავსი საქმეებით ინტერესდებიან, საათში 500 დოლარი ღირს, სასამართლო პროცესის მოგების შემთხვევაში კი, ისინი „წარმატების ჰონორარსაც" იღებენ.

ტერმინი „მომხმარებელთა უფლებები" 40 წლის წინ სწორედ ამერიკაში გაჩნდა.

1962 წლის 15 მარტს აშშ-ს პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ კონგრესში გამოსვლისას განაცხადა: „მომხმარებლები – ეს ჩვენ ვართ ყველანი. ეს უმსხვილესი ეკონომიკური კლასია, რომელიც ნებისმიერ კერძო თუ სახელმწიფო ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე ზემოქმედებს და ამ კლასის ხმა დღეს არსად ისმის".

15 მარტი მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღედ იქცა. კენედის მიერ ჩამოყალიბებული მომხმარებელთა ძირითადი უფლებების საფუძველზე კი 1985 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ამ სფეროში პირველი ოფიციალური დოკუმენტი მიიღო.

გაეროს თანახმად, მომხმარებლებს 8 ძირითადი უფლება აქვთ:

- უსაფრთხო საქონლის მოხმარების უფლება
- ინფორმაციის მიღების უფლება
- არჩევანის უფლება
- საკუთარი ინტერესების გამოხატვის უფლება
- ძირითადი სამომხმარებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება
- ზარალის ანაზღაურების უფლება
- სამომხმარებლო განათლების უფლება
- ჯანსაღი გარემოს უფლება

60-იანი წლების ამერიკაშივე შედგა პირველი სასამართლო პროცესი, რომელზეც ერთმა კონკრეტულმა მომხმარებელმა ისეთი კორპორატიული გიგანტი დაამარცხა, როგორიც „ჯენერალ მოტორსია". ეს „მომხმარებელი" რალფ ნეიდერი იყო – ქარიზმატული იურისტი და აქტივისტი, რომელიც დღემდე ამერიკელ მომხმარებელთა უფლებების მთავარ ადვოკატად და ამ სფეროს ლეგენდად ითვლება.

დღეს მომხმარებელთა უფლებებს ამერიკაში კანონმდებლობასთან ერთად, ასობით სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაცია იცავს. თავად მოქალაქეები კი თავიანთ უფლებებს უკვე სკოლის ასაკიდან, სხვადასხვა თამაშების და სასწავლო ფილმების საშუალებით ეცნობიან.

საქართველოში, მომხმარებელთა უფლებების დაცვა დღეს ორიოდე არასამთავრობო ორგანიზაციის საზრუნავია, რომლებიც გრანტების სიმწირის გამო მომხმარებელთა ინფორმირებასაც კი ვერ ახერხებენ. სახელმწიფო უწყება კი, რომელიც მომხმარებელთა უფლებების დაცვასა და მათ ინფორმირებას საკუთარ თავზე აიღებდა, არ არსებობს.

საქართველოში, რომელიც საშუალოზე დაბალი შემოსავლების ქვეყანაა (წელიწადში 2500 აშშ დოლარი ერთ

სულ მოსახლეზე), არჩევანი რეგულაციასა და თავისუფალ ბაზარს შორის ნიშნავს არჩევანს ხარისხიან პროდუქტსა და ხელმისაწვდომ ფასებს შორის. (მაგალითად, ხორცის ხარისხის რეგულირებამ, ეს პროდუქტი 30-40%-ით გააძვირა.)

სახელმწიფო ვერც მომსახურების სფეროში ჩაერევა და ვერც სერვისის გაუმჯობესებას აიღებს საკუთარ თავზე. როგორც მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, ხარისხიანი სერვისი დიდწილად სწორედ ეკონომიკის განვითარებაზეა დამოკიდებული და ბიზნესმფლობელებისა და გათვითცნობიერებული მომხმარებლების საზრუნავია. სამომხმარებლო ბაზრის რეგულაციის მაგალითი თანამედროვე რუსეთია – აქ ყველა მეწარმეს უამრავი ბიუროკრატიული მექანიზმის დაძლევა უწევს, მარტივი მომსახურების შეთავაზებისთვის, რაც თავისთავად კორუფციის წყაროა.

თანამედროვე მსოფლიოში, სადაც ეკონომიკის მთავარი წილი სწორედ მომსახურების სექტორზე მოდის, მომხმარებელთა უფლებების გათვალისწინება და მათთვის კომფორტის შექმნა ბიზნესის განუყოფელ ნაწილად იქცა:

„ნებისმიერმა ბიზნესმენმა იცის, თუ კლიენტი უკმაყოფილო დარჩა, იგი ამის შესახებ სულ მცირე ექვს მეგობარს მოუყვება, ხოლო თუ ეს კლიენტი იმ წუთას ინტერნეტშია, ამის შესახებ ერთდროულად მისი 6000 „ფრენდი“ შეიტყობს.“

განვითარებულ ქვეყნებში მომხმარებელთა უფლებებისთვის ბრძოლა უკვე გუშინდელი დღეა. დღეს აქ ცნობილი თუ ახალი ბრენდები ერთმანეთს კლიენტებისთვის საუკეთესო სერვისის მიწოდებაში ეჯიბრებიან.

ბრენდის პოპულარობისთვის უკვე აღარ არის საკმარისი 1985 წელს გაეროს მიერ მიღებული 8 ძირითადი უფლების გათვალისწინება. საქონლის ხარისხთან ერთად ბიზნესის წარმატებას უკვე მომსახურების დონე განსაზღვრავს.

მაგალითად, პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელში „სეფორა“ (Sephora), შე-

ჰობოჰ უნდა ღაისვას მომხმარებელმა საკუთარი უფლებები

ფოტო: თეგი ბარიძისგვლი

მაღაზიაში ნებისმიერი პროდუქტის შეძენისას, გამყიდველი ვალდებულია, გასაყიდი პროდუქტის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მოგაწოდოთ. მაგალითად, თუ ელექტროტექნიკას ყიდულობთ, გამყიდველმა უნდა მიგითითოთ მისი უსაფრთხო გამოყენების წესები.

თუ აღმოაჩენთ, რომ თქვენ მიერ ნაყიდი საქონელი დაზიანებულია და მასზე საგარანტიო ვადები არაა მითითებული, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის“ მიხედვით, შეგიძლიათ დამამზადებელს პრეტენზიებით 6 თვის განმავლობაში მიმართოთ, უძრავი ქონების შემთხვევაში კი ვადა ერთ წლამდეა.

თუ სასურსათო მაღაზიაში მალფუჭებადი პროდუქტი შეიძინეთ, მაგალითად, არაჟანი და იგი ამჟავებული აღმოჩნდა, შეგიძლიათ „გონივრულ ვადაში“ დაუბრუნოთ გამყიდველს. მას აუცილებლად უნდა წარუდგინოთ ყველა ის დამამტკიცებელი საბუთი – იარლიყი, ეტიკეტი, ან ქვითარი, რომელიც ადასტურებს, რომ საქონელი სწორედ იმ კონკრეტულ მაღაზიაში შეიძინეთ.

შეგიძლიათ, შეძენილი ნივთი 14 დღის განმავლობაში გაცვალოთ.

თუკი, ძვირადღირებულ ნივთთან დაკავშირებით გაქვთ პრობლემა, სასურველია, მოწმედ წაიყვანოთ ორი ადამიანი, რომლებიც, მოსალოდნელი სასამართლო პროცესის შემთხვევაში, დაადასტურებენ, რომ გამყიდველთან ან მწარმოებელთან მოლაპარაკება ნამდვილად სცადეთ.

იურიდიული კონსულტაციისთვის შეგიძლიათ, მიაკითხოთ მომხმარებელთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებსაც – მაგალითად, საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციას ან საქართველოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციას. ასევე, უფასო კონსულტაციას გაგიწევენ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაშიც.

თუკი მოლაპარაკების ყველა საშუალებას ამოწურავთ, და სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწევთ, მაშინ შეგიძლიათ საქალაქო სასამართლოს მიმართოთ.

ამისათვის სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სახელზე ავსებთ სპეციალურ ფორმას და კანცელარიაში აბარებთ. დოკუმენტში უთითებთ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, ასევე, იმ თანხის ოდენობას, რომელსაც ზიანის ანაზღაურებისთვის ითხოვთ. სასურველია, სასამართლოში წარდგენილი ყველა დოკუმენტის თუ საბუთის ასლი გააკეთოთ. ეს შემდეგ გაგიადვილებთ ადვოკატისთვის საქმის გაცნობას. სარჩელის შეტანისას უნდა გადაიხადოთ ბაჟი – მოთხოვილი თანხის 3 პროცენტი.

სასამართლო ვალდებულია, თქვენი სარჩელი ორიდან ხუთ თვემდე ვადაში განიხილოს.

ფოტო: ეთერ ბაღაშვილისა

გიძლია შეძენიდან 60 დღის განმავლობაში გახსნილი სუნამოც კი დააბრუნო. ამ მომსახურებაზე უარს არ გეტყვიან მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მაღაზიის კლიენტი გერქვათ. მაღაზიის მენეჯერი დარწმუნებულია, რომ თუ მომსახურებით კმაყოფილი დარჩი, სუნამოს საყიდლად ისევ „სეფორაში“ მიხვალ.

თანამედროვე ბიზნესი თითოეული კლიენტისთვის დაუნდობელ ბრძოლას გულისხმობს.

გერმანიაში შობისა და ახალი წლის შემდეგ, მაღაზიებთან მათი რიგი დგება, ვინც საშობაო საჩუქრად ორი ერთნაირი ყავის მადუღარა ან სამი ზომით დიდი სვიტრი მიიღო. არც ერთი მაღაზიის მენეჯერი, რომელსაც თანამედროვე სერვისის მნიშვნელობა ესმის, საჩუქრის უკან დაბრუნებაზე უარს არ ამბობს.

ქართული სერვისის სავალალო მდგომარეობას საუკეთესოდ აღწერს ყველაზე პოპულარული წარწერა, რომელიც ისევე ხშირად შეგხვდებათ მიწისქვეშა გადასასვლელის იაფფასიან მაღაზიაში, როგორც ძვირადღირებულ ბუტიკში: „გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება!“

„გამარჯობა, ეს ფეხსაცმელი მომწონს, მაგრამ მაინტერესებს, როგორ მოუხდება ჩემს ახალ კაბას. შეიძლება უკან მოგიბრუნოთ თუ ვერ მოვიხდინე?“ – ეს კითხვა თბილისში ფეხსაცმელების ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი მაღაზიის კონსულტანტს დავუსვით.

„არა, ჩვენ საქონელს არ ვიბრუნებთ, თუ რაიმეს მორგება ან მოხდენა გინდათ, ტანსაცმელი თან წამოიღეთ,“ – გვიპასუხა მან.

კიდევ ერთი შემთხვევა ცნობილ პარფიუმერულ მაღაზიაში, რომელიც ასევე ჩვენი ექსპერიმენტის ნაწილი იყო: შევიძინეთ ჰიგიენური პომადა, რომელიც ტესტერის გარეშე იყიდებოდა და შემდეგ მაღაზიიდან გაუსვლელადვე გადავწყვიტეთ სხვა ბრენდის უფრო ძვირადღირებულ პროდუქციაში გაგვეცვალა. „ჩეკი უკვე ამოვარტყით და ამიტომ ნივთს ველარ გაგიცვლით,“ – გვიპასუხა მოლარემ.

„ბევრნი ვიყავით, სტანდარტულ მაგიდასთან ვერ დავეტეოდით. მიმტანს გვერდზე, მრგვალ მაგიდასთან დაჯდომის ნებართვა ვთხოვეთ. უარი გვტკიცა, უფროსობის მაგიდაა და რომ მოვიდნენ, სად დავსვა ეს ხალხიო“.

ქართული სერვისის განსაკუთრებით თავბრუდამხვევი მაგალითები რესტორნებსა და კაფეებშია.

„მეგობრის დაბადების დღე იყო და პიცერიაში წასვლა გადავწყვიტეთ,“– იხსენებს ერთ-ერთი ფორუმელი, – „ბევრნი ვიყავით, სტანდარტულ მაგიდასთან ვერ დავეტეოდით. მიმტანს გვერდზე, მრგვალ მაგიდასთან დაჯდომის ნებართვა ვთხოვეთ. ცივი უარი გვტკიცა, უფროსობის მაგიდაა და რომ მოვიდნენ, მერე სად დავსვა ეს ხალხიო“.

„შეიძლება არ მქონდეს ადგილი, მაგრამ ჩემი კლიენტისთვის მას გამოვნახავ; შეიძლება, არ ვიცოდე კითხვაზე პასუხი, მაგრამ ჩემი მომხმარებლისთვის მას მაინც მოვძებნი; შეიძლება, არ მქონდეს დრო, მაგრამ ჩემი კლიენტისთვის ის აუცილებლად მექნება,“ – ეს ფრაზა ერთ-ერთი იმ ასობით ინტერნეტგვერდიდანაა ამოწერილი, რომლებზეც წარმატებული მენეჯერების გამონათქვამებია თავმოყრილი.

„ბიზნესი სამომხმარებლო სერვისის გარეშე გახვრეტილ ჯიბეში ფულის დაგროვებას ჰგავს“, „კომპანიის მიზანია, მისი სერვისი იყოს არა საუკეთესო, არამედ ლეგენდარული“, „კლიენტს ისე უნდა მოემსახუროთ, როგორც ადამიანს, რომელიც გარჩენთ და ხელფასს გიხდით.“

ამ სხარტი გამონათქვამებით თანამედროვე სერვისის გურუები თავიანთ კომპანიებში დასაქმებული თანამშრომლების მოტივირებას ცდილობენ. ამ სამყაროში იციან, რომ ნებისმიერი ნოვაცია პოტენციური მომხმარებლის მოლოდინს ერთი ნაბიჯით წინ უნდა უსწრებდეს.

ცხადია, ამერიკული, ევროპული და ქართული ბიზნესის ეკონომიკური შესაძლებლობების შედარება გულუბრყვილობაა. თუმცა, ნებისმიერ დიდ ქართულ კომპანიას, პატარა კაფეს თუ კუთხის მაღაზიას აქვს იმის რესურსი, რომ თავის მომხმარებელზე უფრო მეტად იზრუნოს. პირველ რიგში, უსაფრთხო, ხარისხიანი პროდუქციის მიწოდებით და კეთილსინდისიერი მომსახურებით. ამისთვის ხშირად ოდნავ მეტი კრეატიულობაც საკმარისი იქნებოდა – სულ მცირე, თავაზიანი ღიმილი, რომელიც ეკონომიკური მაჩვენებლებით არ იზომება.

წესები, რომლებიც დღეს თანამედროვე მსოფლიოს სამომხმარებლო ბაზარზე მოქმედებს და მომხმარებელთა უფლებებს იცავს, სწორედ რიგითი მომხმარებლების მიერ საკუთარი უფლებების აქტიური დაცვის და პატარ-პატარა გამარჯვებების შედეგია.

ვირტუალური მაღაზიები

საყიდლები.com

თბილისის მაღაზიებში არსებული მაღალი ფასები და მცირე არჩევანი ქართველ მყიდველს ინტერნეტით საზღვარგარეთ ვაჭრობისკენ უბიძგებს.

მოლი კორსო



საქართველოში ინტერნეტით ვაჭრობის მასშტაბების შესახებ ზუსტი მონაცემები მწირია, თუმცა ზოგადი დაკვირვების საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სულ უფრო მეტი მყიდველი მიმართავს ინტერნეტს და შესაბამისად, გადამზიდავ კომპანიებს. ყიდულობენ ყველაფერს – ფეხსაცმლით დაწყებული, ავტონაწილებით დამთავრებული.

გაბერილი ფასებისა და დაბალი ხარისხის გამო ქეთი სიდამონიძემ გული აიცრუა ადგილობრივ მაღაზიებზე და ინტერნეტის საშუალებით მიაკითხა ისეთ ამერიკულ ბრენდებს, როგორიცაა, მაგალითად, „Victoria's Secret". დღეს ქეთი საკუთარი სამოსის დაახლოებით 60 პროცენტს საზღვარგარეთ იძენს, რაშიც წელიწადში 900-დან 1800 ლარამდე ხარჯავს.

„აქ რაც უნდა ვიყიდო, განსაკუთრებით – ბაზრობაზე, ერთი-ორი გარეცხვის მერე გადასაგდები ხდება. სრულიად უსარგებლოა, რადგან ხარისხი დაბალია", – ამბობს ქეთი.

ონლაინ ვაჭრობის შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, ქეთი სულაც არ წარმოადგენს გამონაკლისს. ქართველების სულ უფრო მეტი ნაწილი საყიდლებზე ინტერნეტში „დადის". მხოლოდ სექტემბრის თვეში, ქართველმა მომხმარებელმა პლასტიკური ბარათების მეშვეობით უცხოეთში 15 ათასი ლარის ღირებულების პროდუქცია შეიძინა.

სექტემბერში ქართველმა მომხმარებელმა უცხოურ ვირტუალურ მაღაზიებში 67 ათასი ტრანზაქცია განახორციელა. 2009 წლის ოქტომბრიდან მიმდინარე წლის სექტემბრის ჩათვლით შესრულებული ამგვარი ტრანზაქციების რაოდენობამ კი 649 ათასი შეადგინა.

ქართველი მყიდველის ახალი მიდრეკილებები გლობალურ ტენდენციებს ეხმიანება. ამერიკის ვაჭრობის დეპარტამენტის ცნობით, ინტერნეტ გაყიდვები, ფინანსური კრიზისის მიუხედავად, 28 მილიონი დოლარით გაიზარდა გასული ოთხი წლის მანძილზე. 2000-დან 2008 წლის ჩათვლით, გაყიდვები, საშუალოდ, წლიურად 20%-ით მატულობდა.

ამანათების გადამგზავნი კომპანია USA2Georgia-სთვის, რომელსაც ოფისები თბილისსა და მინესოტაში აქვს, ეს ტენდეცია დამატებით ბიზნეს-შესაძლებლობებს ნიშნავს. USA2Georgia-ს სერვისი თვიდან თვემდე ფართოვდება და აქტიურ მომხმარებელთა რიცხვი უკვე 30 ათასს აჭარბებს, – ამბობს კლიენტების მომსახურების ოფიცერი ნათია ახვლედიანი.

ახვლედიანის თქმით, მომხმარებელი სულ უფრო იწაფება ინტერნეტვაჭრობაში, იცის, როგორ მიაგნოს სარფიან შეთავაზებებს ცნობილი ბრენდების მაღაზიებში.

„არსებობს ბევრი ვებგვერდი, რომელიც ძალიან დაბალ ფასებს სთავაზობს. ხშირად არის ფასდაკლება და მთავარია, საჭირო მომენტი გამოიჭირო", – ამბობს ახვლედიანი. „უბრალოდ, ყიდულობ ამ საქონელს და ჩამოტანის ხარჯებიანადაც კი უფრო ნაკლები გიჯდებათ, ვიდრე ამ პროდუქციის აქ ყიდვა".

USA2Georgia პროდუქციის ჩამოტანი-

სას ერთ კილოგრამ ამანათში 8 დოლარს ითხოვს. თუ ტვირთის ღირებულება 300 ლარს აჭარბებს, საჭიროა საბაჟო მოსაკრებლის გადახდა. ადრე კანონით ნებადართული იყო 1500 ლარამდე ღირებულების პროდუქციის დაბეგვრის გარეშე შემოტანა. თუმცა, კანონის გამკაცრება არ ასახულა ონლაინ ვაჭრობაზე, – აცხადებენ გადამზიდავები.

კომპანია PX Post მომხმარებლებს ნიუ-იორკსა და ლონდონში საფოსტო ყუთების დაქირავების შესაძლებლობას სთავაზობს. კომპანიის წარმომადგენლების თქმით, 2008 წელს საქმიანობის წამოწყების შემდეგ დღემდე ამ სერვისით მოსარგებლე პირთა მახასიათებლები მნიშვნელოვნად შეიცვალა. PX Post-ის მენეჯერი ელენე მაიმიძე ამბობს, რომ თავიდან კომპანიის კლიენტურა, ძირითადად, უცხოეთის მოქალაქეებისგან შედგებოდა, რომლებსაც საშობლოდან საფოსტო გზავნილებისა და პროდუქციის მიღება სურდათ. დღეს კი კომპანიის მომსახურებით სულ უფრო მეტი ქართველი სარგებლობს, ვისაც პროდუქციის საზღვარგარეთ შეძენა სურს.

PX Post თვეში საშუალოდ 50 კლიენტს ემსახურება და ზოგი მომხმარებელი შესყიდვებს ყოველკვირეულად ახორციელებს, – ამბობს მაიმიძე. „ჩვენ ბევრი ადამიანი მოგვმართავს იმიტომ, რომ ადგილობრივ მაღაზიებში რაიმეს ყიდვა, პირველ რიგში, ძალიან ძვირია და, თანაც, არჩევანიც არ არის. ამერიკის მაღაზიებში ბევრად უკეთესი კოლექციებია".

ამერიკული მაღაზიები ამერიკულ ფასებსა და პროდუქციაზე მზარდ მოთხოვნას ადეკვატურად ეხმიანებიან, – წერს გამოცემა Internet Retailer. ჟურნალის ინფორმაციით, სანადირო და სპორტული ტანისამოსის მწარმოებელი ამერიკული კომპანია Cabela-ს გაყიდვები 120%-ით გაიზარდა მას მერე, რაც კომპანიამ ფასიანი საძიებო პროგრამა აამუშავა გაერთიანებულ სამეფოში.

ქართველი საცალო მოვაჭრეებიც ადევნებენ თვალყურს ასეთ ცვლილებებს. ბერძნული ტანსაცმლის მაღაზიის „დიკას" მენეჯერის მარიჯა მარსენიჩის დაკვირვებით, სულ უფრო მეტი ქართველი მიმართავს ინტერნეტ-ვაჭრობას, მაშინ, როცა მის მაღაზიაში გაყიდვები შენელდა. „დიკა" ამ ეტაპზე არ აპირებს ონლაინ სერვისის წამოწყებას, თუმცა მარსენიჩი აღნიშნავს, რომ საზღვარგარეთ არსებული კონკურენტული ფასების გამო რუსთაველის გამზირზე არსებულ მაღაზიებს მომხმარებელი მო-

სექტემბერში ქართველმა მომხმარებელმა უცხოურ ვირტუალურ მაღაზიებში 67 ათასი ტრანზაქცია განახორციელა. 2009 წლის ოქტომბრიდან მიმდინარე წლის სექტემბრის ჩათვლით შესრულებული ამგვარი ტრანზაქციების რაოდენობამ კი 649 ათასი შეადგინა.

2010 წელს გაყიდვები 20 %-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით. ინტერნეტით ვაჭრობის პოპულარობის ზრდასთან ერთად, ეს შედეგი სხვა ისეთმა ფაქტორებმაც განაპირობა, როგორიცაა ფინანსური კრიზისი და ლარის კურსის ვარდნა ევროსთან მიმართებაში, – ამბობს მარსენიჩი. მისი თქმით, ონლაინ ფასები გრძელვადიანად იმოქმედებს ძვირადღირებულ ქართულ მაღაზიებზე.

„დიკა", რომელსაც საქმიანი ტანსაცმლის საკუთარი ხაზი გააჩნია, საქართველოში შემოვიდა 2006 წელს, როდესაც კომპანიამ ბიზნეს-შესაძლებლობები დაინახა ადგილობრივ ბუტიკებში არსებული მაღალი ფასების ფონზე. „როდესაც ჩვენ პირველად შევისწავლეთ ქართული ბაზარი, გაგვაკვირვა იმ ფასებმა, რომლებიც ჩვენ აქ დაგხვდა," – ამბობს მარსენიჩი. „მათ შემოაქვთ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და აქსესუარები ევროპიდან და არანორმალურ ფასებს ადებენ. მე ჩამომაქვს 80-ევროიანი კოსტუმი და ვყიდი 100-110 ევროდ. მათ კი პროდუქცია ერთ დოლარად შემოაქვთ და 50 დოლარად ყიდიან. ერთი-ორჯერ ადამიანი მიჰქარავს და იყიდის ასეთ პროდუქციას, მაგრამ მესამეჯერ აღარ დაუშვებს იმავე შეცდომას."

ქეთი სიდამონიძე ამბობს, რომ მას ურჩევნია საყიდლებზე თბილისის მაღაზიებში იაროს, სადაც ონლაინმაღაზიებისგან განსხვავებით, ტანსაცმლის ჩაზომებასაც შეძლებს. „საქმე ის კი არაა, რომ მე აქ არ მინდა რაიმეს ყიდვა. დიდი სიამოვნებით შევიძენდი ყველაფერს აქ," – ამბობს სიდამონიძე, მაგრამ აქვე დასძენს, რომ ამისთვის ადგილობრივმა მაღაზიებმა ფასი ხარისხს უნდა გაუთანაბრონ. „მე არ ვაპირებ უზარმაზარი თანხები ვიხადო ტანსაცმელში, რომლის ბევრად უფრო იაფად ყიდვა შემიძლია ინტერნეტით. მე ვიცი ამ პროდუქციის რეალური ფასეულობა და ეს ამად არ ღირს."

რუსეთის სავარაუდო აგენტების დაკავება

ტელეჯაშუშები - "ენვერის" ისტორია

ერთკვირიანი ანონსის შემდეგ შეპირებული ჯაშუშების პრეზენტაცია გასულ პარასკევს, ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტროში შედგა, იმავე საღამოს კი ამ ამბის სრულმეტრაჟიანი პრემიერა რუსთავი 2-ს ეთერში გაიმართა.

გიორგი ლომსაძე

რუსთავი2-სა და შსს-ს შემოქმედებითი თანამშრომლობა წარმატებული გამოდგა. ჟანრის მოყვარულებს იმედები არ გაუცრუვდათ: ფილმში „ენვერი“, რომელსაც მთელი კვირის განმავლობაში აანონსებდნენ, იყო ყველაფერი: ფარნებში ჩამონტაჟებული სადაზვერვო მოწყობილობები, დაშიფრული გზავნილები, ორმაგი აგენტი რთული არჩევანის წინაშე, ზღვისპირა სასტუმროში საიდუმლო შეხვედრები.

რუსეთის ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი 13 პიროვნების დაკავების ოპერაცია შსს-მ ჯერ კიდევ 15 ოქტომბერს დაიწყო. ინფორმაცია, რომელიც პირველად 29 ოქტომბერს საერთაშორისო სააგენტო „როიტერმა“ გაავრცელა, ძალიან მწირი იყო. გარდა იმისა, რომ დაკავებულები რუსეთის სასარგებლოდ ინფორმაციას აგროვებდნენ, მთელი ერთი კვირის განმავლობაში არაფერი იყო ცნობილი.

„ენვერი“ – ასე ერქვა სპეცოპერაციას, რომელზეც საქართველოს კონტრდაზვერვის სამსახური 4 წლის განმავლობაში მუშაობდა.

დოკუმენტურ ფილმში, რომელიც საღამოს 10 საათზე გადაიცა, სპეცოპერაციის დეტალები პროფესიონალი მსახიობების დახმარებით იყო გაცოცხლებული. ასევე ნაჩვენები იყო ჯაშუშობაში ეჭვმიტანილთა დაკავების ამსახველი ოპერატიული მასალა.

ფილმის მთავარი გმირი და ინფორმაციის მთავარი წყარო ყოფილი საბჭოთა ოფიცერი „ენვერია“, რომელიც საქართველოს კონტრდაზვერვამ ე.წ. გრუ-ში „ჩანერგა“.

ენვერის ნაამბობიდან ირკვევა, რომ საქართველოში პატიოსან მოქალაქეებად შენიღბული რუსეთის აგენტები აქტიურად მუშაობდნენ და ქვეყნისთვის ზიანის მომტან ინფორმაციას რუსულ სადაზვერვო სამსახურს უზიარებდნენ.

40 წუთის განმავლობაში რუსთავი-2-ის მაყურებელი სწორედ ინფორმაციის გაზიარების ტექნოლოგიების კარგად ილუსტრირებულ სქემას ადევნებდა თვალს: ტექსტის დაშიფრვა, ფოტო და ვიდეო გამოსახულებებში ინფორმაციის შენიღბვა, შიფრის ამომცნობი დაუჯერებელი პროგრამები, უსაფრთხოების რთული კომბინაციები.

„ორი თუთიყუში გამოფრინდა გალიიდან," ასეთი შიფრით შეატყობინა საქართველოს შეირაღებული ძალების მფრინავმა უსტალიშვილმა გრუ-ს აგენტებს ორი სამხედრო შვეულმფრენის აფრენის შესახებ. დაკავებული გაბრიელ უსტალიშვილი ჰყვება, რომ აგვისტოს ომის დროს რუსეთის დაზვერვას ბორჯომის ხეობაში ქართული ვერტმფრენების შესაძლო დისლოცირების შესახებ ინფორმაციას აწვდიდა. ეს ცნობები შემდგომში ხეობაში ტყეების გადაწვის მიზეზი გახდა.

ვერტმფრენების ადგილმდებარეობის გარდა, თუ რა ინფორმაცია გადიოდა დაშიფრული ფორმით საქართველოდან, ფილმში ამაზე ცოტა რამ ითქვა. ცნობილი გახდა, რომ გრუ-ს საიდუმლო ტექნოლოგიით ყოფილი სამხედრო ექსპერტი, ჯაშუშობისთვის 2009 ქართველოს კონტრდაზვერვას მიმართავენ და აღიარებენ უცხო ქვეყნის სასარგებლოდ მუშაობას, მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოეხსნებათ. შსს-ს კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსის მოადგილემ ოთარ ორჯონიკიძემ მოუწოდა შემორჩენილ ჯაშუშებს, ჩაბარდნენ, დაუკავშირდნენ შსს-ს „ვებგვერდზე მითითებულ ტელეფონზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე". დამატებითი ბონუსის სახით, რუსთავი-2-ს ეთერში გავარსკვლავების პერსპექტივაც არსებობს.

მეორე აუდიტორია საქმეში ნაკლებად ჩახედული ტელემაყურებელია.

ჯაშუშების დაკავება მაყურებელს საინფორმაციო გამოშვების ნაცვლად დოკუმენტური ფილმის სახით, დადგმული სცენებით და ვრცელი განმარტებებით მიაწოდეს. ასე ტელემაყურებელს ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გამოააშკარავეს. თუმცა, ამერიკაში ჩანერგილ აგენტებს სამხედროზე მეტად სამოქალაქო ამოცანები ჰქონდათ დასახული – რიგითი ამერიკელების სახელებს ამოფარებულ აგენტებს ვაშინგტონის პოლიტიკურ ელიტაში უნდა შეეღწიათ.

ეს შემთხვევა არც რუსეთ-საქართველოს შორის იქნება პირველი აგენტურული სკანდალი. 2006 წელს, როდესაც საქართველომ რუსეთის ჯაშუშების პირველი თაობა გამოააშკარავა, კრემლმა საპასუხოდ საქართველოსთან საკომუნიკაციო კავშირები გაწყვიტა, ხოლო რუსეთში მცხოვრებ ქართველებს ერთგვარი ბართლომეს ღამე მოუწყო. რუსმა სამართალდამცავებმა მაშინ ქართველები სატვირთო თვითმფრინავით გამოყარეს კავკასიონის აქეთ.

შსს-ს კონტრდაზვერვის სამსახურმა მოუწოდა შემორჩენილ ჯაშუშებს, ჩაბარდნენ, დაუკავშირდნენ შსს-ს „ვებგვერდზე მითითებულ ტელეფონზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე". დამატებითი ბონუსის სახით, რუსთავი-2-ს ეთერში გავარსკვლავების პერსპექტივაც არსებობს.

წელს დაკავებული ვახტანგ მაისაიაც სარგებლობდა. შსს-ს ინფორმაციით, მან აგვისტოს ომის დროს რუსეთს 3000 გვერდამდე საიდუმლო მასალა გადასცა.

ფილმის მიხედვით, რუსეთის დაზვერვის ინტერესის მთავარი სფეროები საქართველოში იყო სამხედრო რეფორმები და შესყიდვები, პორტების უსაფრთხოება, პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები, დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობა.

ჯაშუშების ამბავს რამდენიმე საშინაო და საგარეო ამოცანა აქვს. ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდების ფორმიდან გამომდინარე, აგენტურული ქსელის გამოაშკარავება სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიაზე იყო გათვილი.

პირველი, რუსეთის დაზვერვის სხვა აგენტები, ენვერის კოლეგები არიან. შინაგან საქმეთა სამინისტროს მათთვის მკაფიო გზავნილი აქვს: თუ საარებელს ქართული კონტრდაზვერვის წარმატებული ოპერაციის ჩახლართულ დეტალებში გარკვევის საშუალება მიეცა.

მესამე ადრესატი რუსეთია. „გაფერმკრთალებული დღესასწაული" – ასე უწოდა რუსთავი-2-ის ჟურნალისტმა 5 ნოემბერს, რუსეთის სამხედრო დაზვერვის დღეს. გაფერმკრთლებული იმიტომ, რომ რუსეთის ხელისუფლებას ეს დღესასწაული ქართულმა სამართალდამცავებმა მათი აგენტურული ქსელის გაშიფრვით „ჩააშხამეს". აგენტების ისტორიის გაშუქებისას ნაციონალურმა ტელევიზიებმა ერთი ძირითადი ხაზი განავითარეს – საქართველომ საბოლოოდ დაანგრია მითი რუსული დაზვერვის ყოვლისშემძლეობის შესახებ.

ბოლო ოთხი თვის განმავლობაში ეს მეორე შემთხვევაა, როცა რუსეთის დაზვერვა დიდ სკანდალში ეხვევა. რუსული აგენტების ქსელი გასულ ზაფხულს ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გამოააშკარავეს. თუმცა, ამერიკაში ჩანერგილ აგენტებს სამხედროზე მეტად სამოქალაქო ამოცანები ჰქონდათ დასახული – რიგითი ამერიკელების სახელებს ამოფარებულ აგენტებს ვაშინგტონის პოლიტიკურ ელიტაში უნდა შეეღწიათ.

რუსეთის მთავრობის ოფიციალური რეაქცია ცნობილია – საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში მოსკოვმა ყველაფერს საქართველოს ხელისუფლების ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფი უწოდა. რუსეთის განცხადებით, საქართველოს მთავრობა ანტირუსულ ნიადაგზე შეიშალა და სენი ჯაშუშომანიის საშიშ ფორმას ღებულობს.

რუსეთიდან მუქარამაც გაიჟღერა. სათათბიროს საგარეო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელმა კონსტანტინ კოსაჩოვმა განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაცია იტოვებს უფლებას სამხედრო ძალა გამოიყენოს საკუთარი მოქალაქეების „ტყვეობიდან" დასახსნელად. „ეს უნდა ახსოვდეთ მათ, ვინც ეს პროვოკაცია ჩაიფიქრა," – განაცხადა კოსაჩოვმა.

ენვერის ისტორია ამ ფილმით არ დასრულებულა. წინ დაკავებული ჯაშუშების სასამართლო პროცესებია.

უძილობა

თეთრი ღამეები

უძილობით შეწუხებული მსოფლიო იძულებული გახდა, ძილი მედიცინის ცალკე დარგად ექცია. ქართველი უძილოები კი ამ სენს ავტოთერაპიით ებრძვიან.

დიანა ჩაჩუა

„დილა მშვიდობისა. უკვე მეოთხე ღამეა, ვმონაწილეობ პროექტში „ძილი, როგორც გამოწვევა“. ცოტ-ცოტა მიღწევებიც მაქვს. თითქმის დავემსგავსე იმ ადამიანებს, თვალის გახელისთანავე ცხოვრება რომ უხარიათ და მთქნარების გარეშე აკეთებენ საქმეს (არადა, ასეთების დახრჩობა მინდოდა, უძილობის დროს).

რა დამეხმარა? პატარა ნიუანსებიც კი შველის: მაგალითად, ჩავიცვი ის ვარდისფერი აბრეშუმის პიჟამო, რომელიც კომოდის სიღრმეში მქონდა შეგდებული; ჩავიცვი და მივხვდი, რომ ძილისთვის განმაწყო. მობილური ტელეფონი დასატენად საძინებლიდან შორს შევაერთე, ნიუსების კითხვა შუაღამისას რომ არ დამეწყო. და ყავა! – საღამოს აღარ ვსვამ ყავას. თუ შემნიშნავთ ყავის ფინჯნით ხელში, ისე მომექეცით, როგორც პოლიციელი – ქურდს. თუნდაც თითების მომტვრევა დაგჭირდეთ, წამართვით ყავით სავსე ჭიქა“.

ეს არის ნაწყვეტი ერთი ქალბატონის ბლოგიდან, რომელიც სხვა ამერიკელ ქალებთან ერთად 2010 წლის დასაწყისიდან ერთ ორიგინალურ წამოწყებაში მონაწილეობს, სახელად – Sleep Challenge 2010 (ძილი, როგორც გამოწვევა – 2010).

პროექტის მონაწილეები ცდილობენ, კარგად გამოიძინონ და შემდეგ დაწერონ ბლოგები იმის შესახებ, თუ რის ფასად შეძლეს ეს.

უძილობა – ეს სენია, რომელიც პოსტინდუსტრიულ ეპოქაში პლანეტის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს აწუხებს. მეცნიერები ინსომნიას თანამედროვე ცხოვრების „გვერდით ეფექტსაც“ კი უწოდებენ.

სხვადასხვა კვლევის მიხედვით, და-

ახლოებით 40 მილიონი ამერიკელი ღამეებს სტაბილურად თეთრად ათენებს. დამატებით 30 მილიონი კი – უძილობის შეტევებით პერიოდულად მაინც იტანჯება.

კვლევებით დასტურდება, რომ ადამიანებს, რომელთაც არასაკმარისად ძინავთ, უფრო ხშირად ემართებათ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი და ნერვული აშლილობა, კონცენტრაციისა და რაციონალური განსჯის უნარი უქვეითდებათ და ჭარბი წონის პრობლემაც უფრო ხშირად აწუხებთ. თავის მხრივ, უძილობის გამომწვევ მეორად მიზეზებად – ართრიტს, სიმსივნეს, პარკინსონს, ფიბრომიალგიას და სხვა მწვავე დაავადებებს ასახელებენ.

თუმცა, ექიმები ამბობენ იმასაც, რომ თითოეულ ამ შემთხვევაში უძილობის ძირეული მიზეზი უმეტესად ფსიქოლოგიური ფაქტორია, რადგან

კავშირი დეპრესიას, აღგზნებასა და ინსომნიას შორის ძალიან დიდია.

ერთი-ერთი კვლევის მიხედვით, მუდმივად გამოუძინებელი ადამიანები უფრო ახალგაზრდები კვდებიან, ვიდრე ისინი, ვისაც დღე-ღამეში 6.5-7.5 საათი ძინავს.

უძილო ადამიანები უფრო ხშირად ხვდებიან ავტოავარიებშიც. აშშ-ს ტრანსპორტის დეპარტამენტის მონაცემებით, გამოუძინებელი მძღოლების მიზეზით ყოველწლიურად 200 ათასამდე ავტოავარია ხდება, რა დროსაც გაცილებით მეტი მგზავრი იღუპება, ვიდრე – მთვრალი მძღოლების გამო მომხდარ საგზაო შემთხვევებში.

ძილის კომპლექსური კვლევა მეცნიერებმა თითქმის საუკუნის წინ დაიწყეს. შედეგად, დღეს მსოფლიოს უდიდეს ლაბორატორიებში ტვინში ქვეცნობიერი ტალღების მოძრაობის ათასობით საათის ჩანაწერი ინახება, პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი ექიმები აკონტროლებენ მძინარე ადამიანის სუნთქვას, ინიშნავენ და ალაგებენ უძილობის გამომწვევ მიზეზებს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არსებობს პასუხი ყველაზე მარტივ კითხვებზეც კი, მათ შორის: მაინც რატომ გვძინავს? რატომ ვერ ვძლებთ ძილის გარეშე?

ასეა დასაბამიდან. ადამიანის ორგანიზმის ბიოლოგიური საათი ღამით ძილს მოითხოვს. იყო დრო, როდესაც ადამიანები ბუნებასთან ერთად, თითქმის შებინდებისთანავე იძინებდნენ, შუქი ქრებოდა და მზის ამოსვლამდე ქვეყნიერება დუმდებოდა.

თუმცა, უკვე ათწლეულებია, განვითარებული სამყაროს ქვეყნები ლამის დღე-ღამის 24-ვე საათს სიფხიზლეში ატარებენ. აფთიაქები, მაღაზიები, რესტორნები, კაფეები, კლუბები – უწყვეტ რეჟიმში მუშაობს, ინტერნეტტექნოლოგიების განვითარებამ კი ციფრული ადამიანების მთელი თაობა წარმოშვა. მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მომხდარი ცხელი ნიუსის წაკითხვა, სოციალურ ქსელებში ახალ-ახალი სტატუსებისა და პოსტების შემოწმება, აუქციონებში მონაწილეობა, ონლაინვაჭრობა თუ ვირტუალური ნარდის თამაში – უძილო ადამიანების ტვინი ახალ საუკუნეში ღამითაც ისეთივე ინტენსივობით მუშაობს, როგორც – დღისით.

ქართველი უძილოების „აღრიცხვა“ ყველაზე უკეთ სოციალურ ქსელებში შეიძლება. როდესაც მამლის ყივილამდე ერთი საათით ადრე Facebook-ზე ასობით ადამიანი „ანათებს“, ეს შეიძლება, ნიშნავდეს იმას, რომ ინსომნია ჩვენთანაც პრობლემაა და მოსახლეობის დიდ ნაწილს უკიდურესად არასწორი რეჟიმით ძინავს.

ასეთივე დასკვნა გამოაქვს საქართველოს ძილის კვლევისა და ძილის მედიცინის კავშირის სპეციალისტებსაც. კავშირი, რომელიც 2007 წელს გაიხსნა, საქართველოში სწორედ უძილობის პრობლემას იკვლევს. ვრცელი და ამომწურავი სტატისტიკა არ აქვთ, თუმცა, მათი უხეში დათვლით, ინსომნია საქართველოს მოსახლეობის 21 პროცენტს ტანჯავს. „ზუსტი სტატისტიკა რომ გვქონდეს, არ არის გამორიცხული, უფრო დიდი მაჩვენებელიც კი მივიღოთ“, – ამბობს ძილის კვლევისა და ძილის მედიცინის კავშირის დირექტორი, სოფიო კასრაძე.

დასაქმებული ადამიანები ისევე ცხოვრობენ ღამის ვირტუალური ცხოვრებით, როგორც – უმუშევრები. ძილისთვის განკუთვნილი საათების ინტერნეტთან გატარებას ადამიანების ორივე კატეგორია ერთი და იმავე მიზეზით, სტრესით, ხსნის. დასაქმებულ ადამიანებს დაძაბული სამუშაო გრაფიკის შემდეგ აღგზნებული ტვინების „გამორთვა“ უჭირთ, უმუშევრები კი ღამის აქტიურ ცხოვრებას იმით ამართლებენ, რომ დილას წასასვლელი არსად აქვთ.

არსებობენ, ბუნებრივი „ბუებიც“ – ეს ადამიანები ამტკიცებენ, რომ ღამით უფრო „ნაყოფიერად ღვიძავთ“, ვიდრე დღისით გააკეთებდნენ საქმეს – „ტოროლებისგან“ განსხვავებით. ამ ადამიანების უმრავლესობას გააზრებული არ აქვს, რომ უძილობა არა მხოლოდ ცხოვრების წესი ან ახირებული ჩვევაა, არამედ – დაავადებაც.

ამას თბილისის ფორუმის თემების სახელწოდებებიც ადასტურებს. თემა – „უძილობა“ – ერთადერთი ადამიანის პოსტს უტრიალებს, რომელიც უძილობით იტანჯება. იმავე ფორუმზე 2008 წელს გახსნილ თემაში – „ტოროლა ხარ თუ ბუ“ – კი ასობით ადამიანი უზიარებს ერთმანეთს უძილობის საკუთარ გამოცდილებას, თუმცა, მხოლოდ თავშესაქცევი, გასართობი ტონით.

ვირტუალური უძილოები წერენ:

„გვიან ვიძინებ და ადრე ვდგები! ძილი

შეიძლება თუ არა ადამიანი უძილობით მოკვდეს?

არსებობს თეორია, რომ ადამიანის ორგანიზმმა შეიძლება, უძილოდ 11-დან 18 დღემდე გაძლოს. თუმცა, ძალიან მცირე სამეცნიერო კვლევა არსებობს იმის შესახებ, თუ რა ემართება ადამიანის ორგანიზმს ხანგრძლივი უძილობის შემდეგ. მსოფლიოში არც ერთი ლაბორატორია არ დათანმხდება მსგავსი ექსპერიმენტის ჩატარებას, თუმცა, უკვე დაგროვებული ცოდნიდან გამომდინარე შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ ადამიანის ორგანიზმი უბრალოდ გამოირთვება. უძილობით სიკვდილზე უფრო საშიში კი ქრონიკული ინსომნიაა, ანუ მოკლე, ფხიზელი, წყვეტილი ძილი, რომელიც წლობით შეიძლება გაგრძელდეს.

არ მიყვარს, დროის კარგვის ფობია მაქვს და...“

„როცა ვიღლები, ერთი სული მაქვს, ლოგინამდე როდის მივალ, მერე კი აღარ მეძინება... ღამით თავთან მარტო ვრჩები და ეს მეხმარება უკეთესად შევიგრძნო რეალობა...“

„დილის 11 საათამდე ავტოპილოტით დავდივარ. 12-ისკენ ვიწყებ გაღვიძებას. მაგრამ მაინც ისეთი უსიცოცხლო ვარ, საღამოს 8 საათამდე ღამის ვხოხავ... მაგრამ, ასე 9-სკენ ნელ-ნელა მომდის უაზრო ენერგია და ფხიზელი ვყურყუტებ ღამის 2-3 საათამდე... ადრე არ ვუჩიოდი, მაგრამ ახლა უკვე ნერვებიც ვეღარ მიძლებს“.

„მძინავს 2-3 საათს – დილის 6-იდან 9-მდე. მერე ვმუშაობ მთელი დღის მანძილზე, თან საკმაოდ დიდი გონებრივი დატვირთვა მაქვს. ასეა, უკვე წლებია, ანუ წლებია, სულ მინდა ძილი. მაგრამ რა ვქნა – საღამოს 6-დან ძილი აღარ მეკარება და შანსი არაა, დამეძინოს დილამდე“.

„დაახლოებით საღამოს 10 საათისთვის ვფხიზლდები. მეწყება მუზების მოზღვავება. არასრულფასოვნების კომპლექსი უკვალოდ ქრება და მზად ვარ, მთები გადავდგა...“

„არც ერთი წამალი არ მაძინებს, არც არანაირი აქტივობა. ექსპერიმენტიც კი ჩავატარე, დიაზეპამი ვხიე დიდი დოზა, მაგრამ იმანაც არ მიშველა... რაც უნდა დაღლილი ვიყო, დილის 5-მდე ვერ ვიძინებ მაინც“.

ნევროპათოლოგების თქმით, უძილობის პრობლემას საქართველოში სწორედ საძილე აბების თვითნებური გამოყენება ართულებს. სააფთიაქო ქსელებში ყველაზე დიდი პოპულარობით სომნოლი, სომნორიცი, აზოპიკლონი და სომნოგამი სარგებლობს. სააფთიაქო ქსელი GPC-ი თვეში 2300-მდე საძილე აბს ჰყიდის. ხშირად, კლიენტები ამ წამლებს არა ექიმის რეცეპტის, არამედ თვითნებურად დასმული დიაგნოზის გამო ყიდულობენ.

ჩვენთან არ არსებობს არც ძილის კულტურა და არც ფსიქოლოგთან საუბრის ჩვევა. ადამიანები არც ცხოვრების სტილის მართვას ცდილობენ და საკუთარი დღის განრიგს ისევ მოძველებული – ბუსა და ტოროლას – ტიპოლოგიით ხსნიან. ეს ტიპები სამედიცინო სფეროში მართლაც აღიარებულია, მაგრამ უძილობის პრობლემის ასახსნელად ახლა უკვე აღარ გამოგვადგება. ახალ რეალობაში, უკვე ტოროლებიც კი აღარ უგდებენ ყურს საკუთარ ბიორიტმს და ბუებთან ერთად ღამის ცხოვრებაზე არიან გადასული, – ამბობენ ნევროპათოლოგები.

ექიმების თქმით, ფუჭია უძილობის თვითნებური „მართვა“ ყავის ორმაგი დოზით ანდა დილით ლოგინში გვიანობამდე დარჩენით. „ამ არასწორი მეთოდების გამო, ინსომნია კიდევ უფრო მძაფრდება, იმედგაცრუება მატულობს და ადამიანი ჩაკეტილ წრეში ექცევა“, – წერენ ჰარვარდის სამედიცინო სკოლის სახელმძღვანელოს ავტორები.

თუმცა, უძილობის მკურნალობის დროს შეცდომებს უშვებენ ექიმებიც. ზუსტი დიაგნოზის დასმა განვითარებულ ქვეყნებშიც კი პრობლემაა. თუმცა, ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დგას საქართველოში, სადაც ძილის მედიცინას, როგორც დამოუკიდებელ დარგს, ახლა ეყრება საფუძველი.

„ჩვენთან ჯერ კიდევ არ არსებობს უძილობის მკურნალობის სტანდარტები და მოდელები, არ გვაქვს არც სათანადო კვლევები და იშვიათად მოიძებნებიან ექიმები, რომელთაც ძილის მედიცინის საფუძვლები ესმით“, – აცხადებს სოფიო კასრაძე.

ამიტომ პაციენტებს ძილის პრობლემის მოსახსნელად ჩვენთან ხშირად საძილე აბებს უნიშნავენ ისე, რომ ღრმად არც იკვლევენ უძილობის გამომწვევ მიზეზებს და მის კავშირს სხვა დაავადებებთან.

შეიძლება თუ არა ძილი იყოს გენეტიკური ფაქტორი?



„სასიკვდილო ოჯახური ინსომნია“ (fatal familial insomnia (FFI) – ასე ჰქვია უიშვიათეს გენეტიკურ დაავადებას, რომელიც შეიძლება, თაობიდან თაობას გადაეცეს. ამ დაავადების მატარებელი ადამიანი რამდენიმე თვის განმავლობაში ზომბივით ცხოვრობს, ბოლოს კი, დაახლოებით 15 თვის თავზე, მისი ტანჯვა სიკვდილით მთავრდება. 2006 წელს გამოიცა ნიუ იორკელი ჟურნალისტისა და ესეისტის დენიელ მაქსის წიგნი „ოჯახი, რომელსაც ძილი არ შეეძლო“. ავტორი თავის ვრცელ ნაშრომში აღწერს მე-18 საუკუნეში მცხოვრები იტალიური ოჯახის საგას, რომლის წევრებიც სწორედ სასიკვდილო ინსომნიით იტანჯებოდნენ.

ამ დაავადების სიმპტომები გამორჩეულად სასტიკია, წერს მაქსი: „ერთ დღეს დაავადებულს ეწყება გაძლიერებული ოფლიანობა... თვალის გუგები ნემსის წვერივით უპატარავდება, თავი კი უცნაურად დაჭიმულად უჭირავს. ხშირია გაუვალობის პრობლემაც, ქალებს ეწყებათ მენოპაუზა, მამაკაცებს – იმპოტენცია... რამდენიმე თვის თავზე მათი ორგანიზმი წარმოუდგენლად იფიტება და იღლება. ქრონიკული უძილობის ფონზე ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა სწრაფად უარესდება, ბოლოს კი ყველაფერი სიკვდილით მთავრდება.“

დღემდე მსოფლიოში ამ დაავადების გენი გავრცელებულია მხოლოდ 50-მდე ოჯახში.

ეს კი, უკეთეს შემთხვევაში, უძილობას ცოტა ხნით შველის, უარეს შემთხვევაში კი, საძილე აბებზე შეჩვევას იწვევს.

21 წლის ზაზას ნევროპათოლოგმა ანტიდეპრესანტი მელიპრამინი დაუნიშნა. თვენახევრის შემდეგ უძილობა დასჩემდა. ექიმთან განმეორებითი ვიზიტის შემდეგ დამატებით, ძილის წინ, კლონაზეპამი უნდა მიეღო. თუმცა, ამ საძილე მედიკამენტმა თავბრუსხვევა და დაქანცულობა გამოიწვია. ზაზას ისე სტანჯავდა უძილობა, რომ მზად იყო, თავბრუსხვევისთვის გაეძლო, მაგრამ თან შიშობდა წამლის ასეთი უარყოფითი გავლენის გამო.

„დამღუპა ექიმმა?!“ – აინტერესებდა სტუდენტს.

მეცნიერები ამბობენ, რომ საძილე საშუალებები ყველაზე ეფექტური სიტუაციური უძილობის სამკურნალოდაა, ვთქვათ, თვითმფრინავით ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ. ქრონიკული ინსომნიის დროს კი მათ დანიშნას ერიდებიან.

საქართველოს ძილის კვლევისა და ძილის მედიცინის კავშირის სპეციალისტები, პირველ ეტაპზე, პაციენტებს „ძილის ჰიგიენის“ დაცვას ურჩევენ. ამ დროს ხშირად იყენებენ გვირილისა და მუხის ქერქის თბილ აბაზანებს, პაციენტებს უნიშნავენ ძილის წინ თაფლიან წყალსაც. საჭიროა საძინებელი ოთახის მაქსიმალურად განტვირთვაც ე.წ. გამღიზიანებლებისგან. საღამოს შვიდი საათის შემდეგ ფიზიკური დატვირთვაც არასასურველია. „ბევრს ჰგონია, რომ საღამოს საათებში სირბილი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, სინამდვილეში კი, ეს მშვიდ ძილს უშლის ხელს“, – ამბობს სოფიო კასრაძე.

მიუხედავად ამისა, დასავლეთის ქვეყნებშიც კი, ბუნებრივ საშუალებებზე მეტად პოპულარული საძილე აბებია. მხოლოდ 2008 წელს ამერიკელებმა 600 მილიონი დოლარი დახარჯეს ურეცეპტოდ გაყიდვად საძილე აბებში, იმავე წელს კი ქრონიკული უძილობით შეწუხებულ ადამიანებისთვის ექიმებმა 50 მილიონი რეცეპტი გამოწერეს.

როგორც ცნობილი გახდა, უძილო ღამეები წლების განმავლობაში სტანჯავდა მაიკლ ჯექსონსაც. მისი გარდაცვალების მიზეზი კი ანესთეზიური საშუალების – პროპოფოლის ჭარბი დოზით მიღება გახდა.

იკურნება თუ არა უძილობა?

მეცნიერები დაზუსტებით მხოლოდ იმას აცხადებენ, რომ უძილობას ადამიანის ორგანიზმი მხოლოდ მედიკამენტებით ვერ დაამარცხებს. სედატიურ-ჰიპნოტური წამლებით შეიძლება, პრობლემა მხოლოდ დროებით მოვაგვაროთ, მაგრამ არ განიკურნება ინსომნიის გამომწვევი მიზეზი და მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ კიდევ უფრო აფორიაქებული, ფხიზელი ღამეები ისევ უკან დაბრუნდება. სწორედ ამიტომ დღეს დასავლეთში ინსომნიის სამკურნალოდ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მეთოდად კოგნიტური, ანუ გაცნობიერებული ქცევის თერაპია ითვლება.

ვის უფრო მეტად ანუხებს უძილობა?

ამერიკის ძილის მედიცინის აკადემიის მონაცემებით, ქალებს მამაკაცებთან შედარებით უფრო ფხიზლად სძინავთ და უფრო იოლად ეღვიძებათ. ისინი უფრო ხშირად იღვიძებენ გამოუძინებლობის შეგრძნებით, ვიდრე მამაკაცები. ასე ხდება მაშინაც კი, როდესაც მთელი ღამის განმავლობაში უწყვეტი ძილის საშუალება აქვთ. ქალების ფხიზელი ძილის მიზეზი ხშირად ბავშვებია. ატირებული პატარას დაწყნარება კი ნიშნავს ძილის შეწყვეტას და ახალი დღის დაწყებას დაღლილობის შეგრძნებით.

ფხიზელი ძილი, ჩაძინების პრობლემა, ძილის შეწყვეტა – ძილის აშლილობის მრავალგვარი ფორმა არსებობს. მეცნიერები ამბობენ, რომ როგორც კი მსგავსი სიმპტომები სამ კვირაზე მეტ ხანს გასტანს, აუცილებელია ექიმთან მისვლა, რათა თავიდან ავიცილოთ ქრონიკული უძილობის საფრთხე, რომელიც თავის მხრივ, შეიძლება, მრავალ სხვა დაავადებასთან იყოს კავშირში.

სოფიო კასრაძის თქმით, მშვიდი ძილისთვის სტანდარტული რეცეპტი არ არსებობს. მნიშვნელოვანია არა ძილში გატარებული საათების რაოდენობა, არამედ ძილის ყველა ეტაპის ბოლომდე გავლა, რადგან ყველა ადამიანს ძილის ინდივიდუალური ციკლი აქვს.

„შეიძლება ადამიანს ისე ეძინოს რამდენიმე საათის განმავლობაში, რომ ძილის ერთი ციკლიდან მეორეში ვერც გადავიდეს. ამიტომაცაა, რომ ზოგს ოთხი საათის ძილიც ჰყოფნის, ზოგს კი სავალდებულო შვიდი საათის შემდეგ მაინც გამოუძინებლობის შეგრძნება რჩება“, – განმარტავს სოფიო კასრაძე.

ყოფილი უძილო, რომელმაც საკუთარ მავნე ჩვევებს დიდი ნებისყოფით აჯობა, დღეს ამბობს: „თავიდან ვერაფრით დავიჯერე, რომ უძილობა ჯანმრთელობის თითქმის ყველა პრობლემასთანაა კავშირში. ვიცოდი, რომ გარკვეული დაავადებების თავიდან აცილება სწორი კვებითა და ფიზიკური ვარჯიშით შეიძლებოდა, მაგრამ დილაობით ძუნძული და დიეტის დაცვა ბევრს არ შეუძლია, ძილი კი – ეს ხომ იოლია“.

გამოდის, ერთადერთი გამოსავალი სწორი რეჟიმით ცხოვრებაა. ეს კი სტრესულ ყოველდღიურობაში მართლაც რთული მისაღწევია, თანაც ისე, რომ ძილისთვის მზადება მტანჯველ თვითდისციპლინად კი არა, სასიამოვნო პროცესად იქცეს. თუ მოინდომებთ და დაწოლის წინ სწორ განწყობას შეიქმნით, 8-საათიანი ჯანსაღი ძილი შეიძლება კომოდის სიღრმეში შეჩურთულმა ვარდისფერმა აბრეშუმის პიჟამომ ან ჭიქა თაფლიანმა წყალმაც მოგგვაროთ.

ტკბილ ძილს გისურვებთ!

ამერიკელი ახალგაზრდების საყვარელი "პოლიტიკოსი"

30 ოქტომბერს ვაშინგტონში უცნაური მიტინგი გაიმართა. „აქციას საღი აზრის აღდგენისათვის“ ორი ცნობილი ლიბერალი – იუმორისტი ჯონ სტიუარტი და სტივენ კოლბერი – უძღვებოდნენ.

გიორგი ცხადაია

ის, რომ 30 ოქტომბერს დიდი მიტინგი იგეგმებოდა, ჯონ სტიუარტის მაყურებელმა თითქმის ორი თვით ადრე გაიგო – მას შემდეგ, რაც მხარდამჭერების გრანდიოზული შეკრება ლინკოლნის მემორიალთან ცნობილმა კონსერვატორმა ტელეწამყვანმა – გლენ ბეკმა გამართა.

საბოლოოდ, მიტინგს „საღი აზრის აღდგენისათვის“ ათობით ათასი ამერიკელი დაესწრო და ის მეინსტრიმ მედიასაშუალებებმა აქტიურად გააშუქეს. ცნობილი ლიბერალური ვებპორტალის „ჰაფინგტონ პოსტის“ მფლობელმა არიანა ჰაფინგტონმა მიტინგზე დასწრების მსურველებისთვის სპეციალური ავტობუსებიც კი გამოყო, რომლებსაც ნიუ-იორკიდან ვაშინგტონში აქტივისტები გადაჰყავდა.

30 ოქტომბრის აქციაში იუმორისტებთან ერთად პოპულარულმა მომღერლებმაც (მათ შორის, მაგალითად ოზი ოზბორნმა) მიიღეს მონაწილეობა და თავიანთი ცნობილი სიმღერები შეასრულეს.

„მიტინგი საღი აზრის აღდგენისთვის“ ერთგვარი იუმორისტული პასუხი იყო გლენ ბეკის მიტინგზე, რომელსაც „ღირსების აღდგენა“ ერქვა.

რამ გამოინვია ორი ტელეწამყვანის დაპირისპირება?

შეიძლება ითქვას, რომ გლენ ბეკი და ჯონ სტიუარტი ერთი მედლის ორი მხარეა – ორი რადიკალური პოლიტიკური პლატფორმის ფიგურა. ჯონ სტიუარტი თვლის, რომ იმას, რასაც გლენ ბეკი თავის პოლიტიკურ შოუში ამბობს, მხოლოდ იუმორისტული რიტორიკით შეიძლება ვუპასუხოთ.

რადიკალური დაპირისპირება ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის ეკონომიკური კრიზისის, ბუშის ადმინისტრაციის უხეში შეცდომების, ობამას არჩევის, მსხვილი ინდუსტრიების გადარჩენის აქტისა და

იუმორისტები ჯონ სტიუარტი და სტივენ კოლბერი, 30 ოქტომბერი 2010

ფოტო ჯეიმსონ ლეონ / Reuters

რადიკალური მემარჯვენე მოძრაობის – „ჩაის მსმელების“ გამოჩენის ფონზე კიდევ უფრო გამწვავდა. ყველა ეს მოვლენა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ამერიკის მედიაზეც და მას უფრო და უფრო პოლარიზებულს ხდის.

ამომრჩევლების გარკვეული ნაწილი პოლიტიკოსთა კინკლაობით და რადიკალიზმით დაიღალა და სურს, რომ ირაციონალურ დაპირისპირებას წერტილი დაუსვას.

კინკლაობის მაგალითი იუმორისტებმა – სტიუარტმა და კოლბერმა – „საღი აზრის აღდგენის“ მიტინგზე გამართულ პერფორმანსში გაათამაშეს. სტივენ კოლბერი კონსერვატორ აქტივისტს თამაშობს, რომელიც ამერიკის ნაციონალური იდეებისა და მემარჯვენე ღირებულებების გადარჩენისთვის იბრძვის. თავდაპირველი ჩანაფიქრით, მას სტიუარტის საპირისპირო მიტინგი უნდა გაემართა სახელწოდებით „გავავრცელოთ შიში“, თუმცა ბოლოს გადაწყდა, რომ ერთი მიტინგი გაიმართებოდა და „დაპირისპირებული“ მხარეები იქ აჩვენებდნენ საზოგადოებას, თუ როგორ აბსურდულად იქცევიან ხოლმე პოლიტიკური ოპონენტები. „ლიბერალი“ ჯონ სტიუარტის მიერ მოწვეულ მომღერლებს „კონსერვატორი“ კოლბერი სიმღერას აწყვეტინებდა და პირიქით. ამ ყველაფერმა იმდენად სპონტანური და მოულოდნელი იერი შეიძინა, რომ რიგით მაყურებელს ნამდვილი არეულობის და ქაოსის შთაბეჭდილება შეუქმნა.

ქაოსური და აგრესიული მუხტის მატარებელი იყო სტიუარტის შოუს კორესპონდენტების ჩართვაც. ვაიატ სენაკმა და ჯეისონ ჯონსმა, რომლებიც მიტინგზე შეკრებილი ხალხის რიგებიდან ჩაერთვნენ, შეკრების ორი რადიკალური სურათი დახატეს. პირველმა განაცხადა, რომ მიტინგი ცივილურობის, სამოქალაქო აქტივიზმის, მაღალი იდეალების წარმატებული დემონსტრაცია იყო, ხოლო მეორემ კი „ფოქს ნიუსის“ ის კორესპონდენტები გააშარჟა, რომელიც,

ლიბერალების აზრით, შიშის და სიძულვილის გავრცელებით არიან დაკავებული.

სტიუარტი ცდილობდა, კოლბერი „შემოერიგებინა“, მაგრამ თითქმის ყველა შემთხვევაში, ეს კრახით მთავრდებოდა.

სტიუარტის თქმით, მიტინგის ძირითადი სამიზნე მედია იყო, რომელიც მისი აზრით, „ადიდებს“ პრობლემებს და ამახინჯებს რეალობას. პანიკა და პოლიტიკური დაყოფები საზოგადოებაში პრობლემების გადაჭრის გზა კი არა, მათი გამძაფრების საშუალებებია. სინამდვილეში კი, ამერიკის მოქალაქეები ყოველდღე მუშაობენ ერთად იმისთვის, რომ წარმატებას მიაღწიონ. სტიუარტის აზრით, ერთადერთი ადგილი, სადაც ეს ერთიანობა არ იგრძნობა – ტელევიზიაა.

მიუხედავად იმისა, რომ მიტინგს აპოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, უკვე დაიწყო საუბარი, იქცევა თუ არა ცნობილი იუმორისტი სერიოზულ საჯარო ფიგურად. ერთ-ერთმა მისმა გულშემატკივარმა, მოგვიანებით, ისიც კი თქვა, სიამოვნებით ვიხილავდი ჯონ სტიუარტს პოლიტიკოსის ამპლუაშიო.

მიტინგი, რომელიც ზომიერების მხარდაჭერას ეძღვნებოდა, ძირითადად ერთი მხარის: ახალგაზრდა დემოკრატების და ლიბერალების შეკრების ადგილი იყო. ყველაფერი ისე ჩანდა, რომ გლენ ბეკის ტელეაუდიტორიას სტიუარტის ტელეაუდიტორიამ ღირსეული რევანში აუღო.

თუმცა ეს მოჩვენებითი რევანში იყო. პრობლემა ისაა, რომ სტიუარტისა და ბეკის აუდიტორიებს ერთმანეთისგან ასაკობრივი განსხვავებაც ყოფს. ახალგაზრდა ამერიკელების დიდი ნაწილი, ისინი, ვინც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ობამას უჭერდნენ მხარს, ჯონ სტიუარტის შოუს აქტიურ მაყურებლად ითვლება. (27 ოქტომბერს, მიტინგამდე 3 დღით ადრე, სტიუარტის „დეილი შოუში“ თავად ბარაკ ობამამ მიიღო მონაწილეობა). შუალედურ არჩევნებში კი გადამწყვეტი არა ახალგაზრდების, არამედ ხანში შესული ამომრჩევლის ხმა აღმოჩნდა. მთლიანი ამომრჩევლების დაახლოებით 23% სწორედ 65 წელს გადაცილებული ადამიანები იყვნენ. ახალგაზრდა თაობა კი, როგორც ჩანს, იუმორისტ კერპებს უფრო ენდობა, ვიდრე პროფესიონალ პოლიტიკოსებს.

ევროპული აჰმია

ბოლო დროს სამი ისეთი მოვლენა მოხდა, რომლებიც ევროპაში დიდ ცვლილებებს გამოიწვევს. ეს ცვლილებები საქართველოსთვისაც ძალზე მნიშვნელოვანი იქნება.

მარკ მალენი

დევიდ კამერონი და ნიკოლა სარკოზი, საფრანგეთი, 2 ნოემბერი 2010

თავდაპირველად ვთქვათ, თუ რა უნდა საქართველოს ევროპისგან. საქართველოს, უპირველეს ყოვლისა, უნდა უსაფრთხოება. ამის მიღწევას საქართველო რამდენიმე გზით შეეცადა. შევარდნაძის დროს, ოფიციალური პოლიტიკა გულისხმობდა ყველაფრის გაკეთებას იმისთვის, რომ რუსეთის გაღიზიანება თავიდან აეცილებინა. საქართველოს უსაფრთხოების მდგომარეობა იმ პერიოდში არ გაუარესებულა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არაფერი ხდებოდა; ყველაფერი, უბრალოდ, ლპებოდა.

11 სექტემბრის თავდასხმის შემდეგ, ამერიკამ უსაფრთხოების საკითხებში საქართველოსთან უფრო სერიოზული თანამშრომლობა დაიწყო, რამაც, შევარდნაძის გადადგომის შემდეგ, დღის წესრიგში უკვე ნატო-ს საკითხიც დააყენა. ნატოს პროექტი ჩაფლავდა, რადგან საქართველომ და ბუშის ადმინისტრაციამ რუსეთის დასაბალანსებლად ევროპელების მხარდაჭერის მოპოვება ვერ მოახერხეს. აგვისტოს ომის წინ, საქართველოში ფიქრობდნენ, რომ ეუთო და გაეროს მონიტორინგის მისია ბევრს არაფერს აკეთებდნენ. მათ ვერ შეძლეს ომის შეჩერება, ვერაფერი გააკეთეს ომის დროს და ქვეყანაც მალე დატოვეს. საქართველოს მთავრობამ კი ევროკავშირს მიმართა, ნაწილობრივ, იმის გამოც, რომ სხვა პარტნიორები უბრალოდ არ ჰყავდა.

პირველი მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც მოხდა, ევროს ზონას შეეხება. საერთაშორისო ფინანსურმა კრიზისმა და მისმა შედეგებმა საბერძნეთში, ირლანდიაში, ესპანეთში, ლატვიასა თუ სხვა-

გან ევროზონის წევრები უპრეცედენტო მაკროეკონომიკურ თანამშრომლობამდე მიიყვანა. წარმოიშვა პრობლემა და მის გასაჭრელად ისინი ერთად შეიკრიბნენ. მართალია, იმას ვერ ვიტყვით, რომ ევროპელებმა სწრაფი რეაგირება მოახდინეს ან იდეალური გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ რაც გააკეთეს, ორი წლის წინ ესეც კი წარმოუდგენელი იყო. ევროკავშირს ახლა ეროვნულ ბიუჯეტებზე გარკვეული კონტროლი გააჩნია, ეს კი ისეთი ცვლილებაა, როგორიც ევროპაში კარგა ხანია, რაც არ მომხდარა.

ზოგადად, ევროპა ყოველთვის წარმატებით ახერხებდა საერთო წესებსა და სტანდარტებზე შეთანხმებას, ასევე ადამიანების, კაპიტალისა და საქონლის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფას, მაგრამ სუვერენული სახელმწიფოებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხების დათმობა აქამდე არ მომხდარა. სახელმწიფოები კი ყველაზე მეტად ბიუჯეტებზე ზრუნავენ. მსოფლიოში არაფერია უფრო მეტად პოლიტიკური და მგრძნობიარე თემა, ვიდრე ბიუჯეტი. ევროკავშირის საბიუჯეტო კონტროლი დიდი ცვლილებაა.

თუ საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება ნამდვილად უნდა, ისინი მომავალში ამისთვის მოითხოვენ საქართველოს ბიუჯეტის წარდგენას და მოგვიწევს დალოდება, თუ რას იტყვიან მასზე.

მეორე სიახლე EUMM-ია. ევროპული მონიტორინგის მისია საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია. იმისათვის, რომ მისი მნიშვნელობა ადეკვატურად გავიაზროთ, თავი უნდა დავანებოთ იმაზე ფიქრს, თუ რას ნიშნავს აღნიშნული მისია საქართველოსთვის და იმაზე ვიფიქროთ, თუ ინსტიტუციურად რას ნიშნავს ის ევროკავშირისთვის. გაერო-სა და ეუთოსგან განსხვავებით, რუსეთს EUMM-ის პირდაპირი გაკონტროლება არ შეუძლია. ეუთოსა და გაეროს შემთხვევებში მთავარი პრობლემა მისიების მოუქნელობა იყო. ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე, რასაც ისინი აკეთებდნენ, წევრი სახელმწიფოებისთვის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმირება იყო. ისინი მოგვიანებით სხვა საქმიანობებში ჩაერთვნენ და მთავარი მოვლენებიდან ყურადღება გადაიტანეს. ფაქტობრივად, ისინი ყველაზე მნიშვნელოვან მისიაში ჩაფლავდნენ.

როდესაც რუსეთი შემოიჭრა, ინფორმაციის გავრცელება ფერხდებოდა. ევროკავშირის მონიტორინგის მისია კი სპეციალურად იმისთვის არის შექმნილი, რომ ევროკავშირის წევრებს სიტუაციის შესახებ სწრაფად და გასაგებად მოახსენოს. ეს კი საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გასული წლიდან მისია გრძელვადიანი გახდა. „მუდმივი“ შეიძლება, ცოტა გადაჭარბებული ნათქვამია, მაგრამ ამ ეტაპზე, მისია საკმაოდ გრძელვადიან პერსპექტივაში განიხილება და ევროკავშირი ამისთვის მართლაც ზედგამოჭრილი გუნდია.

ბოლო 65 წლის მანძილზე ამერიკა ევროპის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი გახლდათ. ატლანტიკის ორივე მხარე ამგვარი მოწყობით, სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარე, უკვე დაიღალა.

და ბოლო მოვლენა: წინა კვირას საფრანგეთსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის უპრეცედენტო თავდაცვის შეთანხმება გაფორმდა. ამ ორ ქვეყანას ევროპაში საუკეთესო თავდაცვის სტრუქტურა აქვს, თუმცა მათ გადაწყვიტეს, რომ სასურველ შედეგს ცალ-ცალკე ვერ მიაღწევენ. გაითვალისწინეთ, რომ ფრანგებს და ინგლისელებს ერთმანეთი არ უყვართ, განსაკუთრებით იმ ხალხს, ვინც ჯარში მსახურობს. მათ ერთმანეთისგან 30 კილომეტრიანი სრუტე ჰყოფთ, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთს იპყრობდნენ და ერთმანეთი კულტურულადაც აღიზიანებთ. ახლა კი, მსოფლიოს ორმა უდიდესმა სამხედრო სისტემამ არმიების გაერთიანებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა.

ეს ყველაფერი ათ წელიწადში, ან ოც წელიწადში საერთო ევროპულ არმიამდე მიგვიყვანს. ბოლო 65 წლის მანძილზე ამერიკა ევროპის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი გახლდათ. ატლანტიკის ორივე მხარე ამგვარი მოწყობით, სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარე, უკვე დაიღალა. სწრაფი თანამშრომლობის პრაქტიკა, რაც ევროპამ ევროს კრიზისის დროს შეიძინა, საქართველოში ევროპული მონიტორინგის მისიის წარმატება და ორი დიდი ევროპული არმიის შეერთება, საბოლოოდ ევროპული არმიის შექმნისკენ მიგვიყვანს. ისინი ალბათ თავიანთ ჯარს პირდაპირ „ევროპულ არმიას“ არ დაარქმევენ, რადგან ევროპელებს, ამერიკელებისგან განსხვავებით, უწყინარი სახელები უყვართ. ერთიანი ვალუტითა და შრომით ბაზრით, ლისაბონის ხელშეკრულების ფარგლებში მეტი პოლიტიკური თანამშრომლობითა და საერთო ჯარით, ისე ჩანს, რომ დაჩქარებულ ტემპში, ევროპის გაერთიანებული შტატების კონტურები იკვეთება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ როდესაც დაჩქარებულ ტემპებზე ვსაუბრობთ, ათწლეულებს ვგულისხმობთ და არა საუკუნეებს.

ევროპაში ცოტას თუ უნდა ბალკანეთის ქვეყნების თავიანთ კლუბში მიღება, უფრო ცოტას – თურქეთის. საქართველოს თურქეთამდე ევროკავშირში გაწევრიანების არანაირი შანსი არ აქვს. ბრიუსელში ბევრი ფიქრობს, რომ რუმინეთისა და ბულგარეთის მიღებაც შეცდომა იყო. თუ ჩემი მსჯელობა მართებულია და ევროპის გაერთიანებულ შტატებს უახლოეს ათ ან ოც წელიწადში საერთო არმია ეყოლება, საქართველოს წინაშე მნიშვნელოვანი საკითხი დადგება. შეეძლება თუ არა ამ დროისათვის საქართველოს ევროკავშირთან მიმართებაში თანასწორ ან თითქმის თანასწორ პარტნიორად თავის წარმოჩენა?

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ.

მაშასადამე, მე ვარ საქართველო!

კონტექსტიდან ამოვარდნილის წერილი ამერიკიდან.

ნინია კაკაბაძე

ედვარდ მიუროს საერთაშორისო პროგრამა ჟურნალისტებისათვის – ასე ჰქვია ჩემს ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქ მყოფი ხუთი ან ექვსი ჯგუფი რეგიონების მიხედვითაა დაყოფილი – აზია, აფრიკა, ევროპა და ა.შ.

ჯგუფებს სხვადასხვა პროგრამა აქვს, ამიტომ სხვების ასავალ-დასავალი არ ვიცი. მხოლოდ ერთხელ შევხვდით და თვალი მოვკარი პოსტსაბჭოთა სივრციდან წამოსულ ჩემს კოლეგებს. მაგალითად, რუსეთიდან ორი ჟურნალისტია, ერთი ORT-ს წარმოადგენს, მეორე გაზეთ „იზვესტიას“. არიან ჟურნალისტები მოლდოვადან, უკრაინიდან, ყაზახეთიდან და ა.შ. ამ პროგრამაში მათი მონაწილეობის შესახებ მანამდე არ ვიცოდი, მაგრამ როგორც კი აღმოვაჩინე, ერთი-ორად ამაყი გავხდი. მე ევროპის ჯგუფში ვარ, მაშასადამე, ჩავთვალე – მეც ევროპელი ვარ!

პროგრამის ფარგლებში უამრავ შეხვედრაზე მოვხვდი, სხვადასხვა შტატში, ტელევიზიების, პრესისა თუ რადიოს წარმომადგენლებთან. ძირითადი პრობლემა, რაზეც ამერიკული მედიის წარმომადგენლები საუბრობენ, ეკონომიკური კრიზისია და ამ კრიზისის შედეგად სამსახურიდან დათხოვნილი ადამიანები.

ბლოგერებთან შეხვედრაზე კი გავიგეთ, რომ ამერიკაშიც არის მოვლენები, რომელსაც მედია არ უთმობს სათანადო ყურადღებას. ასეთ ამბებს ისინი, ძირითადად, ბლოგებიდან უზიარებენ ერთმანეთს – მაგალითად, ხანძარი კოლორადოში. „ამ დღეს ჩვენ 15 ათასი მნახველი გვყავდა“ – ამბობს ერთ-ერთი ბლოგერი – „რადგან ჩვენ ყველაზე დეტალურად გავაშუქეთ ხანძარი და ინფორმაციას წუთობრივად ვაახლებდით“.



რესპუბლიკელი დინო როსი, 2 ნოემბერი 2010

ერთი სიტყვით, ამერიკული მედიის საწუხარი ოდნავ სასაცილოდ გამოიყურება. (თუმცა, პრობლემები მაინც არის – ეს ხომ ის ქვეყანაა, სადაც FOX NEWS მაუწყებლობს – ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული ტელეარხი, რომელიც „რესპუბლიკული პარტიის“ გაცხადებული მხარდამჭერია და მყვირალა, ისტერიული წამყვანებითაა ცნობილი).

პრესის წარმომადგენლები, ვისაც ჩვენ ვხვდებით, განუწყვეტლივ საუბრობენ ბეჭდური მედიის მომავალზე. მათი თქმით, „პრინტი“ მთლიანად გადაინაცვლებს ინტერნეტის ვირტუალურ სივრცეში. პირველ რიგში კი – ის გაზეთები, რომელიც ე.წ. ნიუსზე მუშაობენ.

ერთ-ერთი შეხვედრა კაროლინას უნივერსიტეტის სტუდენტებთან მოეწყო. აქ როლები დროებით შეიცვალა – ინფორმაციას ჩვენგან ელოდნენ. სტუდენტები ევროპული მედიის პრობლემებით დაინტერესდნენ.

ჩვენს ჯგუფს, რომელიც ევროპის 21 ქვეყნის წარმომადგენლისგან შედგება, 4 მთავარი მომხსენებელი ჰყავდა. გაირკვა, რომ ევროპელი ჟურნალისტების მთავარი საწუხარიც ეკონომიკური კრიზისია.

„მაშინ, როდესაც სტრასბურგში ან ბრიუსელში სხდომა იმართება, ჩვენს გაზეთს არ აქვს შესაძლებლობა, ყველა მათგანზე გაგვიშვას დასასწრებად და ხშირად, ჩვენ ვბეჭდავთ თავად ბრიუსელიდან თუ სტრასბურგიდან მოწოდებულ პრესრელიზს, რაც დამღუპველია თანამედროვე ჟურნალისტიკისათვის“. კი, პათოსი ასეთი იყო. მახსენდება ჩვენი ერთსაათიანი პირდაპირი ჩართვები, მაგალითად, პრეზიდენტის სასახლიდან და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ნამდვილი ევროპელი ვარ.

შეხვედრის ბოლოსკენ საქართველოზე საუბრის დროც დადგა. მოვყევი, რომ ჩვენთან საბჭოთა კავშირის პირობებში, არ არსებობდა ჟურნალისტიკის სკოლა,

რომ ახლა ვსწავლობთ ეთიკის ნორმებს, რომ ქართული მედია ქართულ საზოგადოებასთან და სახელმწიფოსთან ერთად ყალიბდება და ა.შ.

სტუდენტები ყველა ჩვენგანს ეკითხებიან, რამდენად ცდილობს ჩვენი ქვეყნების ხელისუფლება მედიაზე გავლენის მოხდენას, ანუ ცენზურას. გერმანული ტელეარხის (RTL/N-TV) წარმომადგენელი ამბობს, რასაკვირველია ცდილობენ ჩვენს მოტყუებას, მაგრამ მეორე საკითხია რამდენად ახერხებენ ამასო. ისევ ჩემი ჯერი დადგა. რას მიშველიან სტუდენტები, თორემ დავიჩივლებდი: „არც ერთი ნაციონალური მაუწყებლის რეალური მფლობელის ვინაობა არ არის გამჭვირვალე. მთავრობის წარმომადგენლები დღის განმავლობაში ოჯახის წევრებზე ხშირად, საინფორმაციო გამოშვების პროდიუსერებს ურეკავენ. რამდენიმე მაღალჩინოსანი პირადად ზრუნავს პოლიტიკური ტოკ-შოუების შინაარსზე და ამერიკაში წამოსვლის წინ წამყვანმა ტელეარხებმა დაახლოებით 28 წუთიანი სიუჟეტი მაჩვენეს იმის შესახებ, თუ როგორ იბანავა და შემდეგ ითამაშა ჩემი ქვეყნის პრეზიდენტმა ზღვის სანაპიროზე.“

ვიცოდი, ამ ამბების თხრობას ბევრი დამატებითი კითხვა მოჰყვებოდა. ამიტომ აქაც ზოგადი შეფასებებით შემოვიფარგლე – ცენზურა, თვითცენზურა, გაუნათლებლობა, არაპროფესიონალიზმი და ა.შ. ვამბობ – ჩვენ ახლა ვაშენებთ ჩვენს მედიას, სახელმწიფოს, საზოგადოებას (განზრახ ვიმეორებ ამ წინადადებას, არ გეგონოთ, დამავიწყდა, ზემოთ უკვე რომ დავწერე.)

თუმცა, ჩემი ჯგუფის წევრებთან გულახდილად ვსაუბრობ ქართული მედიის პრობლემებზე და სამწუხაროა, რომ თუნდაც პოლონეთში და ჩეხეთში, ანალოგიების პოვნა უჭირთ. ამბობენ, შესაძლებელია, 90-იანი წლების დასაწყისში მსგავსი სურათი იყოო, მაგრამ ვატყობ, ჩემი აღმოსავლეთევროპელი კოლეგებისთვისაც კი დღევანდელი ქართული მედიარეალობა ერთგვარი ეგზოტიკაა. მათი პრობლემები კი ჩემთვის არის არარელევანტური.

რესპუბლიკელი შერონ ანგლი, 2 ნოემბერი 2010

ერთი სიტყვით, ამერიკული მედიის საწუხარი ოდნავ სასაცილოდ გამოიყურება. (თუმცა, პრობლემები მაინც არის – ეს ხომ ის ქვეყანაა, სადაც FOX NEWS მაუწყებლობს – ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული ტელეარხი, რომელიც „რესპუბლიკული პარტიის“ გაცხადებული მხარდამჭერია და მყვირალა, ისტერიული წამყვანებითაა ცნობილი).

რამდენიმე დღის წინ, დენვერში ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში ვიყავით, რომელიც კოლორადოში ემიგრანტების უფლებებზე ზრუნავს. იქ ემიგრანტებს ამერიკულ საზოგადოებასთან ინტეგრაციის წესებს ასწავლიან და წუხან, რომ მეტს ვერაფერს აკეთებენ მათთვის.

„ჩვენ მათ ვასწავლით, როგორ უნდა იცხოვრონ, რომ ამერიკის ნაწილი გახდნენ და არ გაუჭირდეთ აქ. თუმცა არავინ იცის, რატომ არ ვსწავლობთ ჩვენ მათ კულტურას“.

შესანიშნავი ორგანიზაციაა, შესანიშნავი თანამშრომლებით. ცეკვიდან დაწყებული, ინგლისური ენით დასრულებული, ყველაფერს ასწავლიან ემიგრანტებს. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებს აინტერესებთ, როგორ ეპყრობიან ჩვენს ქვეყნებში ემიგრანტებს. ბუნებრივია, სიძულვილის ენის პრობლემა ყველგან დგას და სწორედ ამაზე მიდის სჯა-ბაასი. საქართველოში ჩინელი ემიგრანტების არსებობის წყალობით, მეტ-ნაკლებად ჩავჯექი საერთო ევროპულ კონტექსტში. თუმცა, ამ საუბრის დროს უფრო ის მახსენდებოდა, რამდენი ქართველია წასული საბერძნეთში, ამერიკაში, იტალიაში თუ სხვაგან და რამდენად რთულ პირობებში უწევთ ცხოვრება იმისთვის, რომ საქართველოში დატოვებული ოჯახი გამოკვებონ.

ერთი სიტყვით, ბუნებრივია, განგების და ამერიკის საელჩოს მადლობელი ვარ, რომ ევროპის ჯგუფში მოვხვდი, მაგრამ, იქნებ ჯობდა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ერთად ვყოფილიყავი, სადაც თავს მართლა ყველაზე დემოკრატიული, ყველაზე ლიბერალური ქვეყნის მოქალაქედ ვიგრძნობდი. აქ კი მუდმივად კონტექსტიდან ამოვარდნილი ვარ მეც და ჩემი სამშობლოც, რომელიც, ხომ არ იცით, მაშასადამე, რატომ არის ევროპა?

რუსული კინოს ფესტივალი თბილისში

ასი დღე ომისა და ბავშვობის შემდეგ

დავით ბუხრიკიძე

ელდარ რიაზანოვი რუსული კინოს ფესტივალის გახსნაზე, თბილისი, ნოემბერი 2010

ფოტო: ბაბა ბოგვერაძისა

დიდებს, რა თქმა უნდა, გვახსოვს... პირველ რიგში, ელდარ რიაზანოვი! მუდმივი სატელევიზიო ახალი წლით, აბანოთი, არყით, პუგაჩოვას პირველი სიმღერებით და ბარბარა ბრილსკას ფილოლოგიური იმიჯით. გვახსოვს საბჭოთა ვაგზალიც (არა მარტო ორისათვის)! მეხსიერებაში თითქმის გაფერმკრთალებული ტატიანა დრუბიჩი – რეჟისორ სერგეი სოლოვიოვის მუზა, რომელიც ფილმში „ასი დღე ბავშვობის შემდეგ“ პიონერისათვის შეუფერებელი მელანქოლიით კითხულობდა ნინას მონოლოგს ლერმონტოვის „მასკარადიდან“. გვახსოვს გლებ პანფილოვის „დასაწყისიც“, მისი „კერძო“ მუზა და შესანიშნავი მსახიობიც – ინა ჩურიკოვა, რომელიც თანაბარი გულწრფელობით თამაშობდა „ბაბა იაგას“ და ჟანა დარკს...

ყველაფერი კარგად გვახსოვს – ისინი, რომლებიც ორი წლის წინანდელ ომს თავის სახელი უწოდა და ისინიც, ვისაც რუსული ოკუპაცია და რუსული ფილმების პირველი ფესტივალი თბილისში მხოლოდ პარალელური სივრცეების მოვლენა ჰგონიათ. გასულ კვირას, თბილისში დაწყებული თანამედროვე რუსული ფილმების ფესტივალი უცნაურია არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენი უახლოესი წარსულის პროეცირებას ახდენს, არამედ იმიტომაც, რომ ნებით თუ უნებლიეთ, ჩვენი თვითრეფლექსიის მიზეზიც ხდება.

თბილისში ჩამოსული სტუმრები აღფრთოვანებით საუბრობენ საუკუნოვან მეგობრობაზე „წრფელი ზრახვებითა და სუფთა გულით“ (ელდარ რიაზანოვის გამოსვლიდან ფესტივალის გახსნაზე) და მეორე მხრივ, ვერ წარმოუდგენიათ, რომ რუსული ტანკები და ბლინდაჟები აქვე, ორმოც კილომეტრში, ახალგორთან, რაიმე დისკომფორტს უქმნის ათასობით ქართველ ლტოლვილს.

თითქოს უხმოდ შევთანხმდით, რომ ფესტივალის დროს ყველაფერზე არ ვილაპარაკებთ, რადგან ჩამოხრჩობილი ჯერ კიდევ აქვე ჰკიდია და თოკზე საუბარი ცოტა უხერხულია. ამიტომ ორმხრივი, თან ფრთხილი, ზრდილობიანი და თანაც გულწრფელი ტექსტები ფსიქოთერაპიის სეანსს და დიპლომატიურ ლექსიკონს ემსგავსება. ისინი: „ძველებურად გვიყვარხართ, მაგრამ ახალი რეალობის გათვალისწინებით!“ ჩვენ: „ძველებურად გვითხარით, რომ გიყვარვართ და არ გვატყუებთ!“

ეს უცნაური, დროის მიერ დადგენილი წესებით თამაშია – არც ომი, არც მშვიდობა. თითქოს ელდარ რიაზანოვი, სერგეი სოლოვიოვი, ვალერი ტოდოროვსკი, ალექსეი ფედორჩენკო და რუსეთის სხვა ცნობილი რეჟისორები, მსახიობები თუ ჟურნალისტები თბილისში შემოვლითი, ანუ „პარტიზანული“ გზებით კი არ ჩამოვიდნენ, არამედ პირდაპირ მოსკოვიდან, როგორც ადრე, თვითმფრინავის ბილეთი 37 მანეთი რომ ღირდა!

ხელოვნებისა და კულტურათშორისი დიალოგის საერთაშორისო ფონდის მიერ ორგანიზებული რუსული კინოს პირველი ფესტივალი (4-8 ნოემბერი) თბილისში ყველაზე დიდი აქციაა ორი ქვეყნის ურთიერთობაში 2008 წლის ომის შემდეგ. ცნობილი რუსი რეჟისორების ფილმების ჩვენება კინოთეატრ „რუსთაველის“ რამდენიმე დარბაზში, თავისთავად საინტერესო პრეცედენტია. ზედმეტად ოპტიმისტებს მიაჩნიათ, რომ სადღაც ზემოთ ყინული გადნა და ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის ამგვარი კულტურული აქციის შემდეგ ცოტათი გაუმჯობესდება. პესიმისტები კი რიაზანოვის, სოლოვიოვის, ზვიაგინცევისა და ტოდოროვსკის ფილმების ჩვენებას რუსეთის კულტურული ელიტის მიერ საკუთარი ქვეყნის იმიჯის აღდგენას უკავშირებენ. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთმა ყველაფერი მიიღო, რაც სურდა და უამრავი საშინელებისა თუ შეცდომის შემდეგ „ახლა სულიერების და კულტურის დრო დადგა“. დიახ, ეს სიტყვა-სიტყვით გაიმეორა სერგეი სოლოვიოვმა ფილმ „ნაზი ასაკის“ ჩვენების წინ.

ეს ფილმი რეჟისორმა ორი საუკუნის გასაყარზე გადაიღო. პრემიერა 2001 წელს გაიმართა და სცენარი შვილთან, დიმიტრი სოლოვიოვთან ერთად დაწერა. საბედისწერო შეცდომები, თაობათა შორის ურთიერთობის კრიზისი და ჩეჩნეთის სისხლიანი ომის გამოძახილი „ნაზი ასაკის“ მთავარი თემებია. სოლოვიოვი ამჯერადაც, სილამაზის დაღუპვის თუ სულიერების დაცემის თემებს უტრიალებს. ის თითქოს რუსი დეკადენტი პოეტივით ირეკლავს რეალობას – შორსაა პროზაული სიმდაბლისგან, მაგრამ მის გარეშე არ შეუძლია. „თქვენ თავად დაღუპეთ საკუთარი მომავალი და ახლა ვალების გასტუმრებას მამებს თხოვთ“ – ეუბნება მასწავლებელი ბავშვებს, რომელთა ცხოვრების გზა ჩეჩნეთზე პროსტიტუციაზე და ნარკომანიაზე გადის.

მაყურებლის გარკვეული კატეგორია, ალბათ, სოლოვიოვის მომდევნო ფილმებითაც, „ასა-2“, „ანა კარენინა“ და „თანაკლასელები“ დაინტერესდება. პირველი 80-იან წლებში გადაღებული მისი საბჭოთა საკულტო ფილმის, „ასას“ გაგრძელებაა, რომელშიც ცნობილი მსახიობების ტატიანა დრუბიჩისა და სერგეი მაკოვეცკის დუეტი იქცევს ყურადღებას. მეორე კი ტოლსტოის რომანის ზედმეტად ესთეტიზირებული ეკრანიზაციაა, სადაც ანას სახეს დრუბიჩი ხელოვნურად „ნაკეთი“ მელანქოლიით ქმნის, ხოლო ვრონსკის როლისათვის ოლეგ იანკოვსკის სიკვდილის შემდეგ, 2009 წელს პრემია „ნიკა“ გადაეცა მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

რიაზანოვის პოეტურ-ექსცენტრული კომედიის („ბებერი ჯაგლაგები“) დაგვიანებული თბილისური პრემიერა, ალბათ, საბჭოთა „ადამიანური“ კინოს რეინკარნაციის მცდელობას ჰგავდა. თუმცა ლუდმილა გურჩენკოს, ლია ახეჯაკოვას, ირინა კუპჩენკოსა თუ ვალენტინ გაფტის მონდომებული ტრიუკები და თამაში ისევ იქ, იმ დროში დარჩა. აღვნიშნავთ, რომ ფილმი ცნობილმა ქართველმა ოპერატორმა ლომერ ახვლედიანმა გადაიღო. სამწუხაროდ. კინემატოგრაფი დროისა და ესთეტიკის მიმართ ულმობელია და „ჩამორჩენას“ ღვაწლმოსილ კლასიკოსებს უფრო მეტად არ ჰპატიობს.

ფესტივალის გახსნის დღეს ნაჩვენები ვალერი ტოდოროვსკის ფილმი „სტილიაგები“ ახალი, „გახსნილი რუსული კინოს“ ნიმუშია. ყოველ შემთხვევაში, ასე ამიხსნა ერთმა ქართველმა რეჟისორმა 50-იანი წლებით შთაგონებული, არცთუ უნიჭო, მაგრამ ციტატებით თუ დასავლური კალკებით სავსე მიუზიკლის მნიშვნელობა. ჯაზი, რომელსაც მღერიან მოსკოველი „სტილიაგები“, ისევე როგორც საგანგებოდ დასწავლილი და ამერიკული მიუზიკლებიდან გადმოღებული სცენები, ფერადოვანია და სატელევიზიო ესთეტიკით ზედმეტად გაჯერებული. იმდენად, რომ „ოპტიმისტურად მოდელირებული“ რუსული ტელევიზიის ერთ დიდ და შთამბეჭდავ კლიპს მოგაგონებთ.

ფესტივალი უცნაურია არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენი უახლოესი წარსულის პროეცირებას ახდენს, არამედ იმიტომაც, რომ ნებით თუ უნებლიეთ, ჩვენი თვითრეფლექსიის მიზეზიც ხდება.

რაც შეეხება ოცდამეერთე საუკუნის რუსული კინოს ცნობილ რეჟისორებს – გლებ პანფილოვს, ანდრეი ზვიაგინცევსა თუ კირა მურატოვას, მათი ფილმების აღწერა ცალკე მსჯელობის საგანია. მიღებული პრიზებისა და პრემიების მიღმა, სურვილის შემთხვევაში მრავალი საინტერესო დოკუმენტური, მოკლემეტრაჟიანი თუ ანიმაციური ფილმის „აღმოჩენა“ შეიძლება. ბოლოს და ბოლოს, განვლილი ომისა და დავიწყებული საბჭოთა ბავშვობის შემდეგ, ასი დღე უკვე გავიდა. ტრაგიკული დროითი დისტანცია „ნაზ ასაკზე“ უფრო ფაქიზია და „ანა კარენინას“ კლასიკურ ტექსტზე უფრო მნიშვნელოვანი.

ჩემი პირველი (ელექტრონული) წიგნი

რიდერები – ვარგა? გვინდა? (მგონი კი!)

ნიკო ნერგაძე

არც ერთ ტექნოლოგიაზე არ მქონია ისეთი გაორება, როგორც ელექტრონული წიგნების მკითხველ მოწყობილობებზე (სიმარტივისთვის, მოდი, ე-რიდერებად ან, უბრალოდ, რიდერებად მოვიხსენიოთ).

ერთი მხრივ, ძალიან მოსახერხებელი რამ ჩანს – წახვალ ზღვაზე და თან, თუ გინდა, 5 წიგნს წაიღებ და თუ გინდა – ორმოცდაათს. ერთ პატარა ხელსაწყოში ეტევა.

მეორე მხრივ – აბა, სად ნამდვილ, ქაღალდის წიგნს რომ ფურცლავ და სად პლასტმასებს რომ აჭერ ხელს და ეკრანს შეჰყურებ.

გაორება მეტწილად გიქრება, როგორც კი რიდერს ხელში იჭერ. ჩემს შემთხვევაში ეს „ამაზონის“ Kindle გახლავთ. სრულიად გადასარევი და ლამაზი ნივთი. სიფრიფანაა, მსუბუქი და ქურთუკის ჯიბეში ეტევა. მართალია, ჩემს ქურთუკს დიდი ჯიბე აქვს, მაგრამ, მაინც... მთავარი კი მაინც ეკრანია, რომელზეც ცოტა ხანს კი უნდა შევჩერდეთ.

რიდერებს (Kindle-ის გარდა კიდევ რამდენიმე კარგი არსებობს) სხვა ელექტრონული ხელსაწყოებისგან სწორედ ეკრანი განასხვავებს. წიგნს მონიტორზეც წაიკითხავ, აიპედშიც და მობილურ ტელეფონშიც, მაგრამ საეჭვოა, რომ დიდი სიამოვნება მიიღო. ბევრს თვალებს ტკენს, მე – არა, მაგრამ მომკალი და „ის“ ვერაა. ბოლო “ჰარი პოტერი“ Nokia N81-ით წავიკითხე. თვალები არ დამღლია, მაგრამ

რომანში „ჩართვა“ ძალიან მიჭირდა. ერთია, რომ ეკრანია პატარა, მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, წიგნი არ უნდა ანათებდეს. წიგნი წიგნს უნდა ჰგავდეს.

რიდერი წიგნს ჰგავს. ეკრანი მონიტორებისგან განსხვავებული ტექნოლოგიითა დამზადებული, რომელსაც ელექტრონული მელანი ჰქვია. შეხედავ და გგონია, რომ ფურცელს უყურებ. არც ანათებს და არც არაფერი. ანუ, ნამდვილი წიგნივით სჭირდება გარე განათება – სიბნელეში ასოებს ვერ გაარჩევ. ისეთი კარგი რამაა, რომ კითხვას განდომებს.

ასეთი ეკრანის მქონე ხელსაწყოს ბატარეაც მეტ ხანს ჰყოფნის. ჩვეულებრივი USB შნურით იმუხტება სამ საათში. თითო დატენვა კარგა ერთ თვემდე ჰყოფნის.

კი, მაგრამ, რა შეიძლება წაიკითხო რიდერით? ქართულად მგონი, ბევრი ვერაფერი, მაგრამ, თუ ინგლისურად კითხულობ, თავი ქუდში გაქვს.

ჯერ, ერთი, კლასიკური ლიტერატურის დიდი ნაწილის საავტორო უფლებებს ვადა აქვს გასული და მათი ჩამოტვირთვა უფასოდ შეიძლება. რაც შეეხება ბოლო ხანებში გამოსულ მხატვრულ ლიტერატურას – თითქმის ყველაფერი იყიდება ელექტრონულ ფორმატშიც.

„ამაზონზე“ 600 ათასზე მეტი „ვირტუალური“ წიგნია და მათი უმეტესობა 10 დოლარზე ნაკლები ღირს. თუ სინდისი არ გაწუხებს, ბესტსელერების დიდი ნაწილის მეკობრულად, უფასოდ ჩამოწერაც შეიძლება.

რუსულად ელექტრონული წიგნები კიდევ უფრო იაფია. როდესაც არ ვიცი, რა წავიკითხო, აკუნინს მივასკდები ხოლმე. გადავხედე და რუსულ ინტერნეტმაღაზიებში „ერასტ ფანდორინის“ სერიის ბოლო რომანის (ნიკოლაი ფანდორინები არ მიყვარს) ელექტრონული ვერსია დაახლოებით დოლარნახევარი ღირს. რუსებისთვის ფულის მიცემას რა ვუთხარი, თორემ წიგნში 3 ლარის გადახდა, წესით, არ უნდა დაგენანოს.

ჰოდა, ფასებს რაც შეეხება. რიდერების გავრცელების მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი სწორედ მათი სიძვირე იყო – კარგა ხნის განმავლობაში, 200 დოლარის „მიდამოებში“ ღირდა. საქართველოსთვის ეს ორმაგი პრობლემა იყო. ერთი, რომ უბრალოდ, ძვირია (200 დოლარად კარგა ბლომად წიგნი მოგივა). მეორეა, რომ 300 ლარზე ძვირიანი საქონლის შემოტანისას ბაჟი უნდა გადაიხადო, რაც ნივთს კიდევ უფრო აძვირებს და თან ხათაბალას გმატებს.

მაგრამ ეს ვიდრე ახალი Kindle 3 გამოვიდოდა. ამ რიდერის მესამე თაობა წინამორბედებზე ბევრად ლამაზია (წინა მუტანტ „ბლექბერის“ ჰგავდა), მსუბუქია და, რაც მთავარია, ნაკლები ღირს – 140 დოლარის ფარგლებში, ანუ ბაჟს არ იხდი. თუ ჩემსავით შუამავალ ფირმას ჩამოატანინებთ, ტრანსპორტირების 7 ლარი დაემატება. იაფი მაინც არ გამოდის, მაგრამ წინანდელ ვითარებას ბევრად სჯობს.

ყველაზე კარგი შეგრძნება კი აი, რა იყო – ვუყურებ ამ Kindle-ს და ვფიქრობ – იქნებ ახლა მაინც დავჯდე და რამე წავიკითხო. თორემ თვეები იქნება, წიგნი არ გადამიშლია. „გადაშლა“ არც ახლა გამომივა, მაგრამ, ხომ გამიგეთ, არა?

„ამაზონზე“ 600 ათასზე მეტი „ვირტუალური“ წიგნია და მათი უმეტესობა 10 დოლარზე ნაკლები ღირს. თუ სინდისი არ გაწუხებს, ბესტსელერების დიდი ნაწილის მეკობრულად, უფასოდ ჩამოწერაც შეიძლება.

ლიბერალი

სპეციალური შეთავაზება

მხოლოდ 2010 წლის 31 დეკემბრამდე
შეგიძლიათ გამოიწეროთ
ჟურნალი „ლიბერალი“
თითქმის ნახევარ ფასად!

წლიური ხელმოწერა
მხოლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით,
გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“
და მიიღეთ თქვენი ჟურნალი
ყოველ ორშაბათს
თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად
დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
(899) 48 62 41
ან მოგვაწოდეთ თქვენი
საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტით: **info@liberali.ge**

JUST TIKUNEBI

რატი ამაღლობელი

მე-20 საუკუნის მიწურულს, კერძოდ კი, შავბნელი 90-იანი წლების ბოლოს და 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე (ეს სიტყვა სწორედ მე-20 საუკუნის რუდიმენტია) საქართველოში მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია გაჩნდა, აგრეთვე, საერთაშორისო ფონდები, ფირმები, ფილიალები, წარმომადგენლობები, საელჩოები, შესაბამისად – მათი ოფისები. და აი, ამ ახალ სივრცეებში საქართველოში ჩამოსულ უცხოელებთან ერთად ქართველი ხალხი, მისი გამორჩეული და ევროპულად ორიენტირებული ნაწილიც დასაქმდა.

ამ პროცესმა უამრავ ახლებურ სოციალურ და ყოფით ქცევებთან ერთად, ახალი ე.წ. NGO და საოფისე სლენგი დაამკვიდრა. მაგალითისთვის: „დედლაინი“ და აქედან „დავადედლაინოთ“, „ბრეიკი“ და „წავიკოფიბრეიკოთ“, ან „ვილანჩაოთ“, „ვიბრეინშტორმინგოთ“.

„ტრენინგები“, „სქილები“, „დასკრეპება“, „დალინკვა“ და „გაფოკუსჯგუფება“ უკვე კლასიკაა.

ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ამგვარი სლენგი ბუნებრივი პროცესია სამომხმარებლო და საოფისე ენაში და ამავე დროს, თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრად უფრო ეგზოტიკური მოვლენაა, ვიდრე არქაული – „საუკუნის გარიჟრაჟი“, ან „რუდუნება“.

ხსენებული სლენგისთვის, ცნობიერად თუ არაცნობიერად, მეც არაერთხელ მიმიმართავს, მაგრამ არის ცხოვრებისეული სიტუაციები, სადაც მსგავსი ფრაზები სრულიად არაადეკვატურია. მაგალითად, ორი ქართველი პირად საუბარში რომ წამოიძახებს – „ხუ ნოუზ“, „ვერი ნაის“, ან „ბაი ზე ვეი“. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ასეთ დროს საუბრის თემა სრულიად „ეროვნული“, „ქართული“ და „მამაპაპურია.“

დაახლოებით ამგვარი: – გუშინ მაგარი ხინკალი იყო!

■ მსგავსი ენობრივი კეკლუცობანი მე-20 საუკუნეში რუსულად წარიმართებოდა, რატომღაც ითვლებოდა, რომ კარგი მორუსულე განვითარებული და სოციალურად დაწინაურებული არსება იყო. ასეთი ფრაზებიც მომისმენია ბავშვობაში: „Я хом тебе гаварила“.

- კი, „ვერი ნაის“, „დილიშეზ“.

მსგავსი ენობრივი კეკლუცობანი მე-20 საუკუნეში რუსულად წარიმართებოდა, რატომღაც ითვლებოდა, რომ კარგი მორუსულე განვითარებული და სოციალურად დაწინაურებული არსება იყო. ასეთი ფრაზებიც მომისმენია ბავშვობაში: „Я хом тебе гаварила“.

მოკლედ, დიდი არაფერი. უბრალოდ, ამაზე ვფიქრობდი და გაგიზიარეთ, წერის დროს კი რამდენიმე შემთხვევა გამახსენდა, როდესაც უცხოეთში, ევროპაში სარფიანად გათხოვილი ქართველი ქალი, კულტურულ და ეგზისტენციურ შოკში მყოფ საკუთარ შვილს ზევსისეულ რისხვას ატეხდა თავს იმის გამო, რომ საკუთარ დედას ქართულად მიმართავდა. ევროკავშირში ახალგათხოვილი დედა, როგორც დანაშაულს და სამარცხვინო ფაქტს, ისე მალავდა საკუთარი შვილის მშობლიურ ენას. ბავშვი ქართულად ეკითხებოდა, დედა კი ჰოლანდიურად პასუხობდა და მეუღლეს უღიმოდა შეშინებული თვალებით.

„მოგიკვდეს დედა!“ – შემეცოდა ბაღანა.

რა ვქნა, იქნებ მართლაც ძალიან ძველმოდური ვარ. მაგრამ მსგავსი არაბუნებრივი და ხელოვნური ინტეგრაცია ევროპასთან ისევე მაშფოთებს, როგორც შერეული ქორწინებების დროს, კათოლიკე, ან პროტესტანტი ნეფის ან პატარძლის გადმონათვლის, მისი ცეცხლითა და მახვილით გამართლმადიდებლობის ჯიუტი სურვილი.

მრავალგზის მომხდარა ისე, რომ ჩვენი ევროპელი „რძლები“ და „სიძეები“ მომავალი მეუღლის სიყვარულისა და ერთგვარი დელიკატურობის მიზეზით და არა აღმსარებლობითი იდენტობისა და არჩევანის გამო, მართლმადიდებლად მონათლულან და ჯვარი დაუწერიათ. ამ ორი უკიდურესობის მიზეზი კეკლუცობა მგონია. უფრო ზუსტად კი, შინაგანი რეფლექსიისა და კულტურის არქონა.

მსგავსი კეკლუცობანი უკიდურეს კომიზმამდეც მისულა. როდე-

საც რომელიმე უმნიშვნელო ოფისის უცხოელი მენეჯერი, ვინმე ნაიჯელი, ან თუნდაც ჯონათანი, ამ ოფისებში მომუშავე ქართველი ქალბატონებისგან ისეთი ხშირი ციტირების ობიექტი ხდება, რომ შეიძლება ეჭვიც გაგიჩნდეთ, ეს ნაიჯელ-ჯონათანი სინამდვილეში, რომელიმე დიდი ბრიტანელი ან ამერიკელი მწერალი ხომ არაა, გვარის გარეშე რომ უნდა ახსენო... როგორც ილია, ვაჟა, გალაკტიონი.

აი, ასე – „ჯონათანი ამბობს – შეიცადეთ და ყველაფერი გამოსწორდება; ნაიჯელი კი ვერ იტანს მოღრუბლულ ამინდს, მისი აზრით, ყველა გადადებული საქმე ეშმაკისაა“.

როდესაც აღმოაჩენთ, რომ ჯონათანი არ არის სვიფტი და არც ნაიჯელია სერ ლორინგი, არტურ კონანის ამავე სახელწოდების რომანის გმირი – სრული გაკვირვება და გაუგებრობა დაისადგურებს. თქვენზე მეტად კი, მციტირებლები შეიძლება გაოცდნენ, რომ არ გაგიგიათ ამ ხალხის შესახებ და ჯეროვან პატივს არ მიაგებთ ოფისების ღვთაებებს.

საქართველოში ევროპული ქვეყნების საკონსულოებში და უცხოურ ფირმებში მომუშავე ზოგიერთი ქართველისაგან მომდინარე ზიზღზე და აგრესიაზე შემდეგში ვისაუბროთ, და მეორე მხრივ, იმაზეც, რომ ვიზების შემვსები ბიუროები ჯერ კიდევ არსებობს საქართველოში, ანუ როგორც ჩანს, ჯერ კიდევ გვიჭირს ამ, ერთი შეხედვით, მარტივი პროცედურის შესრულება, რასაც ვიზის მისაღებად საჭირო ფურცლების შევსება ჰქვია.

ამ ჩემს აბდაუბდას კი ვუძღვნი ერთ ჩემს „facebook“-ისმიერ მეგობარს, რომელსაც აი, ასე – Just-tikunebi Just-tikunebi ჰქვია. სწორედ ასე: ორჯერ.

ლეგიონია ჩემი სახელი ვინაიდან მრავალნი ვართ

(ეძღვნება თბილისელ მძღოლებს)

კახა თოლორდავა

...დღესაც გავიმარჯვეთ. ჩემი ანგარიში შვიდით სამია. იმ სამსაც არ გავმაზავდი, მაგრამ ძალიან ახალგაზრდები იყვნენ და გადამასწრეს, სწრაფად დარბიან ეგ შობელძაღლები! ღამე ჯერ გოგიას გადავურეკე, მერე კი ფრიდონას, სპარტაკას, რამაზიჩს, კოლიას, მარადონას, კაროჩე – ყველას. იმეებსაც უკვე გადარეკილი ქონდათ სხვებთან და იმ სხვებსაც – დანარჩენებთან. ჩვენთან ტყუილი გამორიცხულია, მოიგე – მოიგე, წააგე – წააგე! არაფერს მალავ, ყველაფერს ამბობ. ამიტომაც მჯერა, რომ ჩვენი ბიჭებიდან არავინ ტყუის და დღეს ჩვენი დღეა. იმ ბანძი პეშეხოდების განადგურების და გაცამტვერების დღე! ვის უნდა გადაასწრონ იმ ქაჯებმა? ჩვენ? ან კი გადასწრების რა გაეგებათ რო? უსწავლიათ? უფიქრიათ ამაზე იმდენი, რამდენიც ჩვენ? რა თქმა უნდა, არა და ამიტომაცაა, პასტაიანა რომ ასხამენ. ეხლა, ზემოთ იმ სამზე რომ ვთქვი, მაგათ რამე კი არ იცოდნენ, უბრალოდ პავეზლო რა, მალადოები არიან-თქო, ხომ ვთქვი, თანაც შუქნიშანზე რომ ვმდგარიყავი, პონტი არაა, ვერაფერს იზამდნენ. თითქმის ცარიელ ტრასაზე ვიყავი, შორიდანვე შემამჩნიეს, მოტვინეს შორს რომ ვიყავი და დავაი, დაგაზეს. დაგაზვით კი დაგაზეს, მაგრამ ტრაკებით მაინც იგრძნეს ჩემი მანქანის მოსჩი. ხო გამიგეთ? ჰა, ჰა და ჩემ ფეხებს გადამასწრებდნენ. ისეთი გაზი მივეცი, ასფალტს ცეცხლი მოეკიდა! სუ ეგრე ვაკეთებ ხოლმე, ეგეთ უტრაკო მეტრაკეებს რომ დავინახავ. თან გადასწრება უნდათ, თან ეშინიათ, მაგრამ მაინც დერზკობენ. ჰოდა, გარბიან რაც ძალა და ღონე აქვთ, მაგრამ იმ შიშს რას უზამენ რო? მანქანაში რომ არ ვიჯდე, ალბათ მაგათ სუნსაც ვიგრძნობდი, მაგრამ ეგ მთავარი არაა. მთავარი ისაა, რომ ერთხელ რო გადაგასწრებენ, გლოტკაზე არიან და, ადრე თუ გვიან, კიდევ გაბედავენ. აი, მანდ ერხევათ ხოლმე! ჩვენ რა, იმის ჩიტები ვართ, ორჯერ ერთი და იგივე პონტში წავაგოთ? ეგეთი ფრაერების მოსარჯულებლად იმდენი ფოკუსები გვაქვს, რომ სირბილშივე ვაშეშებთ ხოლმე, თანაც სიკვდილიანობის ან ეგეთი რამეების თითქმის არც ერთი შემთხვევა არ გვქონია. ერთი-ორჯერ ვიღაც-ვიღაცეებმა ჩვენებიდან პატარა ჰაერში კი ააგდეს ეგ სლაბები, მაგრამ ყველა გადარჩა და მორჩა, ვერც ვერასდროს გაგვიბედავენ რამეს. ისე კი, ახალგაზრდები ჯანდაბას, მაგრამ ის ბებერი კუანები სად მოძვრებიან ხოლმე?! ჩადი რა, ბებო, პადზემკაში, რას მიყურებ შეყვარებულის თვალებით რო? რას

ფიტი მარკა ქოჩაკიძეს

მთხოვ რო? გინდა გაგატარო? რატო, ძმაო? მე ვინ გამატარებს რო?! ჰოდა, დაყენდით რა, ბებრებო, რას მიფართხუნობთ რო?! ამასწინებზე ერთი შლაპიანი ფრანტი ჩამიჯდა. გამოველაპარაკე და იცით, რა მითხრა მაგ ჩემისამ? თბილისი ერთადერთი ქალაქია მსოფლიოში, სადაც პეშეხოდების დანახვაზე მძღოლები ტორმუზის მაგივრად გაზს აჭერენ ფეხსო! ტოჟე მნე სპინოზა! ნაფიქრალი ქონდა ვითომ რამეებზე! მაგას მარტო ის უნდოდა ეთქვა, ვ ზაგრანიცე ნამყოფი ვარო! მიდიან ტო სადღაც, მერე ბრუნდებიან და გვასწავლიან ჭკუას აქ! იმას კი ვერ ტვინავენ, აქაურობას თავისი წესი, რიგი და რაც მთავარია, ტრადიციები რო აქვს. ის კი ვკითხე, მიაგკათ, ასეთმა კოლუმბებმა ის რატომ არ იცით, რო პეშეხოდებისათვის პადზემკები არსებობს-თქო? რაღაცას მიედ-მოედო, ზოგჯერ ასეა, ზოგჯერ ისეო, კაროჩე როშავდა, რა! ისე კი შუქნიშნებზე მაგარი ცუდი შედეგები აქვთ! თანაც თუ პირველ რიგში დგეხარ, პონტი არაა, გადაგასწრონ, ყვითელი აინთება თუ არა, დავაი და ნუ მიყურებ ვლიუბლიონივით-თქო, რა! არ გაგატარებთ! არასდროს გაგატარებთ! რატომ? ხელს გვიშლით, ძმაო და იმიტომ! ქალაქი ჩვენია, გზები გინდა, ტროტუარები გინდა, ტრასები გინდა. კაროჩე, ამას წინათ დემონამ როგორც გვითხრა, ერთად ვსვამდით რა, სადღაც წაუკითხავს, ლეგიონია ჩვენი სახელი, ბრატ, იმიტომ, რო ბევრნი ვართ, გაიგეთ?

თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი	FM 105.5
გორი, ქარელი, ხაშური	FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია	FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი	FM 101.0
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი	FM 101.9



WWW.LIBERALI.GE